პალიტრა მედია

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

4 მარტი სამშაბათი 2014

№041(14 262) ფასი 80 თეთრი



## მილტონ პაიბმა ბორჯღალოსნებს საესპანეთოდ დარაზმა!

13

### საქართველოს ნაკრები საფრანგეთში მოემზადება

# ახალი სეზონი ახალი კაპიტანი ახალი ეკიპირება ახალი ფეხბურთიც?

2



გურამ კაშიამ (მარცხნივ) და თემურ ქეცბაიამ გუშინ პრესკონფერენციაზე ეროვნული ნაკრების ახალი ეკიპირება წარადგინეს



თორნიკე ოქრიაშვილი

## ოქრიაშვილი ქეცბაიას ცენტრში შეხვდა

ლიხტენშტაინთან მატჩისთვის მოსამზადებლად საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ** გუნდი პირველად გუშინ „მიხეილ მესხზე" ავარჯიშა. მწვრთნელს საზოგადოებისთვის სტადიონის კარი ადრეც სულ 15 წუთს გაუღია და მოედნის ირგვლივ ხალხის ტევა არ ყოფილა, მაგრამ ახლა უჩვეულო სიწყნარე იდგა...

ეროვნული გუნდის ვარჯიშს მოედნის განაპირას ოდენ ნაკრების პერსონალი უცქერდა და ერთი-ორი კამერა აფიქსირებდა. მყუდროება მხოლოდ მაშინ დაირღვა, როცა დაგვიანებით მოედანზე ოდესის „ჩერნომორეცის" ფეხბურთელი **თორნიკე ოქრიაშვილი** გამოჩნდა. ის ჯერ განაპირას მყოფთ მიესალმა და შემდეგ მოედნის ცენტრისკენ, მწვრთნელებთან შესახვედრად წავიდა.

ოქრიაშვილის გამოჩენა მოძუნძულე თანაგუნდელებს არც შეუმჩნევიათ. თემურ ქეცბაია და **სოსო ჭედია** ფეხბურთელს მიესალმნენ და... სასწრაფოდ, გასახდელის გასაღებით, აფორიაქდა პერსონალი - მწვრთნელმა დაგვიანებულ შეგირდს ვარჯიშს ნება დართო. ოქრიაშვილმაც მყის გასახდელს მიაშურა, ნაკრების ახალი ამუნიცია მოირგო და პარტნიორებს შეუერთდა.

საქართველო-ლიხტენშტაინი ამავე სტადიონზე 5 მარტს, 18 საათზე დაიწყება. ბილეთები 3 ლარი ღირს.

კობა ინასარიძე

# ბრძოლა მესამე ადგილისთვის

## რატომ უნდა დავამარცხოთ ლუქსემბურგი

### ალექსანდრე ჩივაძის პრესკონფერენცია

2



საქართველო-ლიხტენშტაინი. ამხანაგური მატჩი

# თემურ ქეცბაია: მე მაქვს ფეხბურთელებთან პრობლემა?!



თემურ ქეცბაია
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**სეზონის პირველი შეკრება საქართველოს ნაკრებმა გუშინ საწვრთნელ ცენტრ „ბასაში" დაიწყო. თემურ ქეცბაიამ 22 რჩეული ნაშუადღევს დაიბარა და ისე მოხდა, რომ ჟურნალისტები და ფეხბურთელები ბაზაზე ერთდროულად შევიკრიბეთ. ჩვენ, ცხადია, ჩვენი საქმე გვქონდა - მწვრთნელი ახალი ამბების სათქმელად გველოდა. ფეხბურთელებს კი ფედერაციამ „ადიდასის" სამოსი დაახვედრა, რითიც ყველა კმაყოფილი დარჩა. უკმაყოფილო არც ქეცბაია იყო, გამოძახებულთაგან ყველა ფეხბურთელი მის განკარგულებაში იყო (შეკრებაზე ჩამოსვლა მხოლოდ თორნიკე ოქრიაშვილს დაუგვიანდა), „ვიტესის" მცველი გურამ კაშია კი სულაც გვერდს უმშვენებდა პრესკონფერენციაზე...**

- ახალ სეზონს ლიხტენშტაინთან მატჩით ვიწყებთ და ცდას არ დავაკლებთ, რომ წარმატებას მივაღწიოთ, - ასე დაიწყო ქეცბაიამ გუშინდელი პრესკონფერენცია, - ეროვნულ გუნდში რამდენიმე დებიუტანტი გვყავს და ვეცდებით, 5 მარტის ამხანაგურ მატჩში ყველას მივცეთ თავის გამოჩენის საშუალება. შესარჩევი ციკლი ორ წელიწადს გრძელდება, ამ პერიოდში კი, ცხადია, მხოლოდ ერთი შემადგენლობით ვერ ვითამაშებთ, დანაკლისიც გვექნება და სწორედ ამხანაგურ მატჩებში უნდა ვნახოთ ის ფეხბურთელები, რომლებსაც შემდგომში გამოვიყენებთ...

...შესარჩევი ეტაპის წილისყრას რაც შეეხება, უკვე ვთქვი, რომ ფავორიტი გერმანიაა და ეს სალაპარაკოც არ არის, მეორე-მესამე ადგილებისთვის კი ირლანდია, შოტლანდია, პოლონეთი და ჩვენ ვიბრძოლებთ. მეტოქეებს არაფერს დავუთმობთ და ვეცდებით, ამ გუნდებს შორის საუკეთესო შედეგს სწორედ ჩვენ მივაღწიოთ... ამხანაგური მატჩების ჩატარება მხოლოდ ჩვენს სურვილზე არ არის დამოკიდებული. ხდება, როცა მეტოქეს აქ ჩამოსვლა არ სურს და ამიტომაც გვიწევს გასვლაზე თამაშები. თუ მოვახერხეთ ისე, რომ რომელიმე ნაკრები ჩამოსვლაზე დავითანხმოთ, ხომ კარგი, თუ არა და, სხვა რა გზა გვაქვს - ან სტუმრად ვთამაშობთ, ან ვისვენებთ. მსოფლიოს ჩემპიონატის წინ კი, იმედი გვაქვს, ერთი-ორი ამხანაგური მატჩის ჩატარების საშუალება მოგვეცემა და, ალბათ, ნეიტრალურ მოედანზე ვითამაშებთ. რომელ მეტოქეს აქვს ამხანაგური მატჩის მხრივ ჩვენი „ვალი", არ ვიცი, მაგრამ იმას კი გეტყვით, რომ ირლანდიაში როცა ვითამაშეთ, ეს სწორედ მათი დამსახურება იყო. გეხსომებათ, ერთხელ ირლანდიელებთან შესარჩევი მატჩი გერმანიაში გავმართეთ, ჰოდა, მაშინ უთქვამთ, ერთი ამხანაგური მატჩისთვის დუბლინში მიგიწვევთო. ასე ვითამაშეთ ირლანდიაში ამხანაგური მატჩი და მერე, იქვე, დანიასთან შეხვედრის ვარიანტიც გამოჩნდა...

...ფეხბურთელებთან მე მაქვს პრობლემა?! არანაირი პრობლემა არ მაქვს! ვისაც ნაკრებში თამაში არ სურს, მე რა ვქნა?! პირიქით, ყოველთვის ვცდილობდი, რომ ფეხბურთელების გვერდით ვყოფილიყავი, წარმატებული ხვალინდელი დღის იმედით რთული გადაწყვეტილებების მიღებაც მომიხდა, მაგრამ რაც გამოვიდა, ყველა ხედავს. ვისაც ნაკრებში თამაში არ სურს, წარმატებას ვუსურვებ, აქამდე ჩატარებული მატჩებისთვის კი მადლობას ვეტყვი...

...თამაშს ტაქტიკა კი არა, მოედანზე თავდადებული ბრძოლა იგებს. ნაკრებში ჩემი მუშაობის ოთხწლიან პერიოდში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, რაც გაკეთდა, ის იყო, რომ გუნდს მებრძოლი სული ჩამოუყალიბდა, თითოეული ფეხბურთელი მოედანზე შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებს და უბრძოლველად არაფერს თმობს. მომავალ შესარჩევშიც ასე გავაგრძელებთ და ვეცდებით, ჯგუფიდან გასვლის შანსი ბოლომდე შევინარჩუნოთ...

...სადღეისოდ, ნაკრებში 5-6 შემტევი ფეხბურთელი გვყავს, თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან თანამედროვე ფეხბურთი ისეა, რომ შეტევისას მთელმა გუნდმა უნდა შეუტიოს, ბურთის დაკარგვისას კი თავდამსხმელებიც უკან უნდა ჩავიდნენ. ფეხბურთელმა წინ და უკან თამაში უნდა იცოდეს და საამისოდ მომზადებულიც იყოს. ჩვენი პრობლემა ის არის, რომ მეტოქეს უფრო ვაფასებთ, ვიდრე საკუთარ თავს. თუ არ მოინდომებ და შეცდომებს დაუშვებ, ყველა მეტოქე სახიფათო იქნება, მათ შორის - შოტლანდიაც და ირლანდიაც. უხეში შეცდომები რომ არ დაგვეშვა, წინა შესარჩევის მესამე ტურის შემდეგ უკვე გარანტირებული გვექნებოდა მესამე ადგილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთმა შეცდომებმა შესარჩევი მეოთხე ადგილზე დაგვამთავრებინა, რასაც ზოგიერთი მეხუთე ადგილისგან ვერ ანსხვავებს.

...შესარჩევი ციკლის კალენდარი უეფამ კი შეადგინა, მაგრამ ეს პირადად მე რომ გამეკეთებინა, უკეთესს ნამდვილად ვერ მოვიფიქრებდი. ჩვენთვის თითქმის იდეალური კალენდარია. შესარჩევის პირველი თამაში შინ უშუალო კონკურენტთან გვაქვს. როგორც იტყვიან, 6-ქულიანი თამაშია და წაგება დამღუპველი იქნება. რაც შეეხება მეორე ტურის შემდეგ შოტლანდიიდან გიბრალტარში მგზავრობას, გეტყვით, რომ ყველაფერი ჩვენს გემოზე ვერ იქნება, თანაც, მეორე ტურში გიბრალტარსაც გასვლა აქვს და ჩვენთან მატჩის წინ ისინიც ნამგზავრები იქნებიან.

...ეროვნულ ნაკრებში ჩემს მოსვლამდე, გუნდს ორი წლის განმავლობაში არ ჰქონდა მოგება და ამიტომ, ნაკრებში ჩემი მუშაობით კმაყოფილი ვარ. სხვებისთვის კი ჩემი საქმე მაშინ შეფასდება, როცა ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჩაიბარებს.

...ნაკრების კაპიტნის ვინაობა გადაწყვეტილია, მაგრამ ახლა არ გეტყვით, ლიხტენშტაინთან ყველა ნახავთ.

საქართველოს ნაკრებისა და ჰოლანდიური „ვიტესის" მცველ **გურამ კაშიას** ბევრი არ ულაპარაკია:

- რთულ შესარჩევ ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ საქართველოს ნაკრებს შესწევს ძალა, რომ წარმატებას მიაღწიოს. საამისოდ, მთავარია, საშინაო მატჩებში ქულები არ დავკარგოთ, რაშიც ჩვენი ერთგული ქომაგის დახმარების იმედი გვაქვს. ფავორიტი გერმანიაა, სხვა გუნდებში მაღალი კლასის მოთამაშეები არიან, თუმცა არც საქართველოს ნაკრებს ჰყავს ურიგო ფეხბურთელები.

U21. პრესკონფერენცია

# ჩივაძემ ქეცბაიას შეგირდები მოუმზადა

## ანუ ახალგაზრდული ეროვნულში და ბრძოლა მესამე ადგილისთვის

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ხვალ გორში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩში ლუქსემბურგს დაუპირისპირდება. ჩვენებმა კონტინენტის პირველობაზე მოხვედრის შანსი შინ, ასევე გორში, სლოვაკეთთან ნოემბერში წაგებული მატჩის შემდეგ დაკარგეს, თუმცა ახლა პრესტიჟის საქმეა და ალექსანდრე ჩივაძის გაწვრთნილმა გუნდმა ჯგუფში მესამე ადგილისთვის უნდა იბრძოლოს.

ლუქსემბურგთან მატჩის გარდა, ახალგაზრდულ ნაკრებს ჰოლანდიაშიც ექნება სათამაშო. ამ მატჩებისთვის კი ჩივაძემ პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა და ახალგაზრდულში იმ ჭაბუკებს აწინაურებს, რომლებიც მომდევნო შესარჩევისთვის შესაბამისი ასაკისანი იქნებიან... დანარჩენი კი ახალგაზრდული გუნდის თავკაცმა ალექსანდრე ჩივაძემ სასტუმრო „ბომონ გარდენში" გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა:

### რა იქნებოდა უშეცდომოდ?...

- ჯგუფში პირველი ორი მატჩის შემდეგ ოპტიმისტურად ვიყავით განწყობილნი და ვფიქრობდით, რომ ევროპის ჩემპიონატის საგზურს მოვიპოვებდით, მაგრამ მომდევნო შეხვედრებში ზედიზედ დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა, სამწუხაროდ, წარმატების მიღწევის შანსი მოგვისპო. კარგად დავიწყეთ მატჩი თბილისში ჰოლანდიასთან, მაგრამ უპატიებელი და ელემენტარული შეცდომების გამო წავაგეთ; თითქმის მოგებულ მატჩი გამარჯვებამდე ვერ მივიყვანეთ შოტლანდიაში, სადაც მასპინძლებმა ანგარიში თამაშის ბოლო წუთებზე გაგვითანაბრეს; მოსაგები გვქონდა და ვიგებდით კიდეც სლოვაკეთთან გორში, მაგრამ ბოლოს დავმარცხდით. ვფიქრობ, წასაგები თამაში არც მეორე ტურში, სლოვაკეთში გვქონდა.



ალექსანდრე ჩივაძე
ფოტო: www.gff.ge

### შესრულებული მისია

- ჯგუფში წარმატების შანსი აღარ გვაქვს და ახლა უკვე მომდევნო შესარჩევზე ვფიქრობთ. ამიტომ, ლუქსემბურგთან მატჩისთვის გუნდი გადავახალისეთ და 1994 წელს დაბადებული 10 ფეხბურთელი გამოვიძახეთ. ახალგაზრდული ნაკრების უპირველესი მისია კი მგონი კარგად შევასრულეთ - ეროვნულ გუნდს კარგი ფეხბურთელები მოვუმზადეთ და ისინი თემურ ქეცბაიამ უკვე გამოიძახა კიდეც.

### ილურიძე ისევ ტრავმირებულია

- ამ მატჩისთვის გვსურდა სპლიტის „ჰაიდუკის" ფორვარდის გიორგი ილურიძის გამოძახება, მაგრამ ის ტრავმირებული ყოფილა. ის უკვე იმ დონეზე თამაშობს, ეროვნულ გუნდსაც გამოადგება. არ იქნება ილურიძე, მაგრამ, სამაგიეროდ, იქნება პოლონეთში მოთამაშე ნიკა ძალამიძე და ნიკა ტარყაშვილი, რომელიც უკვე სტაბილურად ჩანს ბელგიის ჩემპიონატში. ახალგაზრდულ ნაკრებში მოვიწვიეთ ასევე გია ცეცაძის ნაკრების შემტევები - ფანცულაია, არაბული და ზიბზიბაძე. გვსურდა ასევე პაპუნაშვილის, ცინცაძისა და ჯიქიას გამოძახება, მაგრამ ისინი ვასილ მაისურაძესთან შეთანხმების შედეგად 19-წლამდელთა ნაკრებს დავუთმეთ, რომელსაც თურქეთში ამხანაგური მატჩები აქვს დაგეგმილი.

### ვინ ვინ შეცვალა?

- „ზესტაფონის" ნახევარმცველი კუხიანიძე ადრე გვყავდა გამოძახებული, ახლა კი, როგორც ვთქვით, თავის გამოჩენის შანსი სხვა და უფრო უმცროს ფეხბურთელებს მივეცით. თავად კუხიანიძე კარგი ფეხბურთელია და წარმატებას ვუსურვებ.

### რატომ უნდა მოუგოს ახალგაზრდულმა ლუქსემბურგს?

- ლუქსემბურგის დამარცხება მნიშვნელოვანი იმიტომაც არის, რომ ჯგუფში მესამე ადგილის დაკავება გვსურს. ჩვენი მეტოქე კი ის გუნდია, რომელსაც ჰოლანდიამ 1:0 მოუგო და ისიც - პენალტით გატანილი გოლით.

### დარჩება თუ არა?

- რაც შეეხება ახალგაზრდულ ნაკრებში ჩემს მომავალს, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული ვარ, რომ მოსალაპარაკებლად შესარჩევი ციკლის დამთავრების შემდეგ დავსხდებით და გადავწყვეტთ, გავაგრძელებ თუ არა მუშაობას ახალგაზრდულ ნაკრებთან.

ეკიპირება



გურამ კაშია და თემურ ქეცბაია ახალი მაისურის პრეზენტაციისას
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# მაინც, რატომ ლურჯი?!

## ქეცბაია: ნაკრებში კარიერა ადიდასით დავიწყე და ადიდასით ვამთავრებ!

საქართველოს ნაკრები ახალ სეზონს ხვალ, ლიხტენშტაინთან ამხანაგური მატჩითა და ახალი სათამაშო ფორმით იწყებს. ვეჭვობთ, ჩვენების წარმატება ახალ სამოსზე იყოს დამოკიდებული, მაგრამ, დაგვეთანხმებით, არც ისაა უმნიშვნელო, ნაკრებს „იაკო" აცვია თუ „ადიდასი". ჰოდა, ახალ შესარჩევ ციკლში ჩვენს გუნდს ეკიპირებით სწორედ საქვეყნოდ განთქმული „ადიდასი" მოამარაგებს.

ახალი ფორმის პრეზენტაცია საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ** და მცველმა **გურამ კაშიამ** მოაწყვეს. ცოტა არ იყოს, უცნაურია, რომ მაისურა, რომელიც მწვრთნელმა და ფეხბურთელმა გვიჩვენეს, ჩვენი ნაკრებისთვის უცხო, ლურჯ-თეთრ ფერებშია გადაწყვეტილი. ამის თაობაზე ქეცბაიას ვკითხეთ კიდეც - ეს, ალბათ, ნაკრების სათადარიგო ფორმა იქნება-მეთქი, თუმცა სავარაუდო პასუხში შევცდით - მწვრთნელმა გვიპასუხა, რომ „თეთრ-ლურჯი" ეროვნული გუნდის ერთ-ერთი სათამაშო ფორმა იქნება და სწორედ ამ ფერებით დაუპირისპირდება ეროვნული გუნდი ხვალ ლიხტენშტაინელ სტუმარს.

ახალ მაისურაზე, ფედერაციის ლოგოს ნაცვლად საქართველოს გერბის გამოსახულებაც გვეუცნაურა, თუმცა ეს მხოლოდ დროებითი ყოფილა. საქმე ისაა, რომ ფეხბურთის ფედერაციაში, თურმე, რებრენდინგი მიმდინარეობს და ძველიდან ახალ სიმბოლიკაზე გადასვლამდე, ნაკრების მაისურა სწორედ ეროვნული გერბით იქნება დამშვენებული და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე გუნდი სწორედ ასეთი მაისურებით ითამაშებს.

ფედერაციაში თქვეს, რომ ნაკრებს სათამაშო ფორმის ორი კომპლექტი ექნება - „თეთრ-წითელი" და „ლურჯ-თეთრი". საიდან გაჩნდა ეროვნული გუნდის ამუნიციაში ლურჯი ფერი, ვერაფერს გეტყვით. იმედია, ნაკრების ფერთა გამაში „ლურჯი" მხოლოდ რებრენდინგის დასრულებამდე იქნება, თორემ ვეჭვობთ, „ადიდასის" პალიტრა ისეთი ღარიბი იყოს, საქართველოს ნაკრებისთვის ეროვნული დროშის ფერები ვერ შეეხამებინა ერთმანეთისთვის.

ისე, კარგია და პლუსი ფეხბურთის ფედერაციას, რომ „იაკო" „ადიდასით" შეცვალა, რაზეც ფორმის წარდგენის შემდეგ ეროვნული გუნდის მწვრთნელმა მოსწრებულად შენიშნა - 20 წლის წინ საქართველოს ნაკრებში ჩემი კარიერა „ადიდასით" დაიწყო და „ადიდასით" მთავრდებაო...

გვერდი მოამზადა
**კობა ინასარიძემ**

# სტადიონების ძებნაში...

...ყველა სხვა „სიკეთესთან“ ერთად, ჩვენი ჩემპიონატი ერთობ არაპროგნოზირებად ტურნირადაც იქცა: წინა ტურში ორი სენსაციური შედეგი ხომ დაფიქსირდა, ამაზე არანაკლები მოულოდნელობები ახლახან დასრულებულ ტურშიც გველოდა.

მოკლედ, მართლაც დამაინტრიგებლად განახლდა XXV ჩემპიონატი და პირველი ეტაპის ბოლომდე დარჩენილი ორი ტურიც საკმარისზე მეტ ინტრიგას გვპირდება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ზედა ექვსეულის სამი ვაკანტური ადგილისათვის ოთხი გუნდი („სიონი“, „გურია“, „მეტალურგი“, „დილა“) იბრძვის, უფრო ზუსტად, ხუთი - „ტორპედოს“ სენსაციურმა გამარჯვებამ ხომ ქუთაისელთა გუნდს ზედა ექვსეულში მოხვედრის თეორიული შანსები დაუბრუნა.

ისე, არ არის გამორიცხული, რომ პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ რამდენიმე გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდეს და დამატებითი მაჩვენებლებიც ერთობ აქტუალური იქნება (ურთიერთშეხვედრები, მოგებათა რაოდენობა და ასე შემდეგ); თუმცა, მანამდე სჯობს, რომ ისევ გასული ტურის გამორჩეული ფაქტები თუ მოვლენები გავიხსენოთ.

## მატჩ(ებ)ი სად ტარდება?..

ტურის ყველა მატჩი კვირას იყო დანიშნული, თუმცა რამდენიმე შეხვედრის ჩატარების ადგილის გარკვევა გაჭიანურდაო რომ ვთქვათ, აშკარად რბილად ნათქვამი გამოგვივა! ჰო, ხუთშაბათიდან შაბათის ჩათვლით, მოვლენები წამდაუწუმ იცვლებოდა და, ფაქტობრივად, მხოლოდ ტურის წინა დღეს (!) გაირკვა, რომ „გურიას“ ლანჩხუთში უნდა ემასპინძლა „სპარტაკისათვის“ (არადა, თავდაპირველად ცნობილი იყო, რომ ეს შეხვედრა ქუთაისში უნდა ჩატარებულიყო), ასევე ტურის წინა დღეს გადაწყდა „ჩიხურა“-“დინამოს“ დაპირისპირების... ზესტაფონში გამართვა, უფრო ადრე კი „სიონი“-“ტორპედოს“ მატჩის ჩატარების ადგილის შესახებ მივიღეთ ზუსტი ინფორმაცია და ასე შემდეგ.

აი, ასეთმა გაურკვევლობამ კი ის გამოიწვია, რომ ტურის არც ერთი მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟი არ ყოფილა; არადა, „ჩიხურა“-“დინამოს“ მართლაც დამაინტრიგებელი დაპირისპირების ჩატარების ადგილი რომ ადრე გარკვეულიყო, ზესტაფონიდან პირდაპირ ტელერეპორტაჟს წინ არაფერი დაუდგებოდა.

საერთოდაც, ეს არახალი პრობლემაა და ქართული ფეხბურთის განვითარებაზე გული ვისაც შესტკივა, აუცილებლად უნდა მიეხედოს ამ საკითხს; ჰო, მართლაც არანორმალური სიტუაციაა, როცა უმაღლესი ლიგის გუნდების თითქმის ნახევარი საშინაო მატჩებს... ნეიტრალურ მოედნებზე ატარებს!

ახლა „გაგანია“ სეზონია და ვეჭვობთ, რაიმე შეიცვალოს, აი, მომავალი ჩემპიონატისათვის კი კლუბების (გნებავთ, სტადიონების) ლიცენზირების საკითხი მაქსიმალურად უნდა გამკაცრდეს და საერთოდაც, უმაღლეს ლიგაში მხოლოდ და მხოლოდ იმ გუნდებმა იასპარეზონ, რომლებიც ამ მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ.

თორემ, ცოტა არ იყოს, კომიკური სიტუაცია იქმნება, როცა ამა თუ იმ გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელებს მატჩამდე ორი დღით ადრე ჯერ ერთ სტადიონს „შეურჩევენ“, მეორე დღეს - კიდევ სხვა ადგილს და ასე შემდეგ...

## სრული რეაბილიტაცია

წინა ტურში „სიონთან“ საშინაო მარცხის მერე „დინამოსა“ და უახლოეს მდევარს შორის სხვაობა ოთხ ქულამდე დავიდა. ჰოდა, ამაზე მეტი ინტრიგა რალა უნდა ყოფილიყო, როცა „დინამოს“ სწორედ იმ მდევართან (თანაც - სტუმრად) უწევდა თამაში.

თუმცა, „ჩიხურამ“ ვერც ამ ჯერზე შეძლო „დინამოს“ დამარცხება და ამ ორი გუნდის ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიაში თბილისელთა ისედაც სოლიდური უპირატესობა კვლავაც გაიზარდა. „სიონთან“ წაგებული მატჩის შემდეგ დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა **მალხაზ ჟვანიამ** გარკვეული გადაადგილებები მოახდინა: ძირითადში გამოჩნდნენ **მათე ცინცაძე, გიორგი პაპუნაშვილი** და **ოთარ მარცვალაძე,** ხოლო დაცვის მარჯვენა ფლანგზე ჰოლანდიელი **იენს იანსეს** ნაცვლად **გიორგი პაპავა** დააყენა.

როგორც გაირკვა, ეს გადაადგილებები ეფექტიანი გამოდგა და უახლოეს მდევართან სხვაობა ამჟამად უკვე 7 ქულა შეადგინა. თანაც, ერთი კვირის მერე „დინამოს“ კვლავაც უწევს იმერეთში სტუმრობა და ქუთაისში 9 მარტს დანიშნულ „ქართულ კლასიკოს“ მშვენიერ ხასიათზე შეხვდება.

## ჩისკო!

ზამთრის პაუზამდე 18 ტური ჩატარდა და ამ დროის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ დაფიქსირდა „ჰეთ-თრიქი“ და ორჯერვე „დინამოს“ ფეხბურთელებმა (**ჩისკო, დორინ გოგა**) შეძლეს ერთ მატჩში სამი გოლის გატანა. აი, ჩემპიონატი განახლდა და ზედიზედ მეორე ტურია, „ჰეთ-თრიქს“ ვხედავთ: წინა ტურში „ზესტაფონის“ ახალწვეულმა **ნიკა საბანაძემ** გამოიჩინა თავი, ახლა კი - **ჩისკომ!**

ანუ, ჩისკო ერთადერთი ფეხბურთელია, ამ სეზონში მეორედ რომ შეძლო მატჩში სამი გოლის გატანა და ამით თავისი შარშანდელი შედეგიც (1 „ჰეთ-თრიქი“) გააუმჯობესა. ყველაზე საინტერესო კი, ალბათ, ის ფაქტია, რომ შარშანდელი „ჰეთ-თრიქიც“, და წლევანდელი ორი შემთხვევაც ერთი და იგივე გუნდთან მოხდა: ანუ, 33 წლის ჩისკომ საქართველოს ჩემპიონატში სამჯერ გააჩერა „ჰეთ-თრიქი“ და სამივეჯერ „ჩიხურასთან“ მატჩებში!

...ჩემპიონატის განახლების მერე ჩისკომ უკვე 4 გოლი გაიტანა და საუკეთესო ბომბარდირთა დავაში 1 ბურთითღა ჩამორჩება **დიმიტრი ტატანაშვილს...**

## შეწყვეტილი სერიები

ოთხი თვე გრძელდებოდა „სიონის“ წაუგებელი სერია, რომელიც ამ ტურში შეწყდა! ჰო, ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ „დინამოსთან“ გამარჯვების მერე „სიონი“ ესოდენ საჭირო ქულებს თუ დაკარგავდა (თანაც ისეთ მატჩში, რომლის პირველი ტაიმიც თავის სასარგებლოდ დაამთავრა).

თუმცა, თასსა თუ ჩემპიონატში ეს თერთმეტმატჩიანი დაუმარცხებელი სერია სწორედ იქ შეწყდა, სადაც არავინ ელოდა: **რევაზ ძოძუაშვილის** მიერ დამოძღვრილმა „ტორპედომ“ მეორე ტაიმში თამაში „შემოუტრიალა“ ბოლნისურ გუნდს და ზედა ექვსეულში მოხვედრის თეორიული შანსიც დაიტოვა!

აი, ასეთი წავსიანი გამოდგა ახალი საფეხბურთო არენა **ლადო ბურდულის** გუნდისათვის: „სიონი“„-ტორპედოს“ დაპირისპირება ხომ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის ახალ, სათადარიგო მოედანზე გაიმართა.

## ზესტაფონმა გაინაღდა!

„დინამოსა“ და „ჩიხურას“ მსგავსად ზედა ექვსეულში ასპარეზობა უკვე გაინაღდა „ზესტაფონმაც“: **გია გეგუჩაძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე იმერულმა კლუბმა ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო „მშრალი“ ანგარიშით და ახლა უკვე მეორე ადგილის (შესაძლოა, უფრო მეტისაც) მოპოვებაზეც გაუჩნდა სამართლიანი პრეტენზია.

„ზესტაფონმა“ გასულ ტურში ახალგაზრდულ „ვიტ ჯორჯიას“ სტუმრად აჯობა (2:0) და ორივე გოლი გუნდის ახალწვეულმა, 21 წლის **გიორგი კუხიანიძემ** გაიტანა. აღსანიშნავია, რომ პირველ ეტაპზე, „ტორპედოში“ ასპარეზობის დროს კუხიანიძეს 2 გოლი ჰქონდა გატანილი, ახლა კი იმდენივე ერთ მატჩში შეძლო...

## გოლი+გაძევება

გასულ ტურში სტადიონების „ადგილმონაცვლეობის“ გარდა ერთობ აქტუალური იყო სამსაჯო საკითხიც; ასე მაგალითად, არბიტრების ქმედებით უკმაყოფილონი დარჩნენ „ჩიხურას“ და „მერანის“ წარმომადგენლები; ამას გარდა, მსაჯებს ორი ფეხბურთელის გაძევებაც მოუხდათ და საინტერესოა, რომ მანამდე ორივემ... გოლის გატანა მოასწრო!

„სპარტაკის“ 21 წლის გარემარბი **თორნიკე თუხარელი** გამორჩეული გახლდათ „გურიასთან“ მატჩში და მისმა ერთადერთმა გოლმაც **კახა კაჭარავას** გუნდს უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოუტანა; თუმცა, თუხარელს მოედნის ნაადრევად დატოვებამ მოუწია, ხოლო „დილას“ ახალწვეული **ვახტანგ კვარაცხელია** მატჩის ბოლო წუთზე გააძევეს. არადა, 25 წლის ფორვარდმა უმაღლეს ლიგაში გოლი სამწლიანი პაუზის მერე გაიტანა...

## სადებიუტო მატჩები, გოლები...

ისე როგორც წინა ტურში, ამჯერადაც რამდენიმე ფეხბურთელს ჰქონდა საქართველოს ჩემპიონატში დებიუტი: 29 წლის **ნუგზარ კვირტიას** („გურია“), 23 წლის **ნიკოლოზ ხარაბაძეს** („ტორპედო“). ასევე წინა ტურის მიმოხილვაში დაშვებული შეცდომა გვინდა გამოვასწოროთ და „ვიტ ჯორჯიას“ 21 წლის მარჯვენა მცველის, **ლევან საბაძის** დებიუტიც აღვნიშნოთ.

აი, რაც შეეხება სადებიუტო გოლს, ასეთი ამ ტურში მხოლოდ ერთი იყო: თავი გამოიჩინა თბილისის „დინამოს“ 18 წლის ნახევარმცველმა **გიორგი პაპუნაშვილმა.**

**გია ტუხაშვილი**



სიონი-ტორპედო 1:2

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

## ტურის სიმბოლური ნაკრები




## დუბლების ჩემპიონატი

### XIX ტური

| | |
|---|---|
| სპარტაკი-ჩიხურა | 1:1 |
| დილა-გურია | 2:0 |
| ზესტაფონი-ზუგდიდი | 7:1 |
| მეტალურგი-ვიტ ჯორჯია | 2:2 |
| ტორპედო-მერანი | 1:1 |
| დინამო-სიონი | 7:0 |

### XX ტური

| | |
|---|---|
| ჩიხურა-დინამო | 1:2 |
| მერანი-მეტალურგი | 0:2 |
| ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი | 1:0 |
| გურია-სპარტაკი | 3:0 |
| ზუგდიდი-დილა | 5:3 |
| სიონი-ტორპედო | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 20 | 15 | 2 | 3 | 52-25 | 47 |
| 2. დინამო | 20 | 15 | 1 | 4 | 54-23 | 46 |
| 3. ზუგდიდი | 19 | 10 | 2 | 7 | 35-38 | 32 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 20 | 8 | 6 | 6 | 34-36 | 30 |
| 5. მერანი | 19 | 8 | 5 | 6 | 22-23 | 29 |
| 6. ჩიხურა | 20 | 7 | 6 | 7 | 35-25 | 27 |
| 7. დილა | 20 | 7 | 3 | 10 | 35-41 | 24 |
| 8. ტორპედო | 19 | 6 | 5 | 8 | 35-29 | 23 |
| 9. ზესტაფონი | 20 | 6 | 3 | 11 | 29-34 | 21 |
| 10. სპარტაკი | 20 | 5 | 5 | 10 | 28-40 | 21 |
| 11 სიონი | 19 | 5 | 3 | 11 | 19-42 | 18 |
| 12. გურია | 20 | 4 | 3 | 13 | 23-45 | 15 |

## პირველი ლიგა

### XIV ტური. A ზონა

| | |
|---|---|
| კახეთი-მესახეთი | 1:0 |
| ადელი-ჩხერიმელა | 1:2 |
| იმერეთი-საპოვნელა | 1:0 |
| სძური-ალგეთი | 1:0 |
| მერცხალი-კოლხეთი (ფ) | 0:1 |
| გაგრა-დინამო 2 (თბ) | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლხეთი (ფ) | 13 | 11 | 1 | 1 | 29-7 | 34 |
| 2. შუქურა | 12 | 9 | 2 | 1 | 42-11 | 29 |
| 3. საპოვნელა | 13 | 8 | 2 | 3 | 23-11 | 26 |
| 4. დინამო 2 | 13 | 7 | 2 | 4 | 31-15 | 23 |
| 5. ალგეთი | 13 | 7 | 1 | 5 | 16-12 | 22 |
| 6. გაგრა | 13 | 5 | 6 | 2 | 24-14 | 21 |
| 7. მესახეთი | 13 | 5 | 3 | 5 | 23-21 | 18 |
| 8. ჩხერიმელა | 13 | 5 | 3 | 5 | 21-24 | 18 |
| 9. სძური | 13 | 4 | 1 | 8 | 15-29 | 13 |
| 10. იმერეთი | 13 | 3 | 3 | 7 | 11-26 | 12 |
| 11. ადელი | 13 | 2 | 2 | 9 | 14-37 | 8 |
| 12. კახეთი | 13 | 2 | 2 | 9 | 12-32 | 8 |
| 13. მერცხალი | 13 | 1 | 2 | 10 | 8-30 | 5 |

### B ზონა

| | |
|---|---|
| დილა 2-სტუ | 0:4 |
| სამტრედია-სამგურალი | 3:1 |
| კოლხეთი (ხ)-საბურთალო | 1:0 |
| ლოკომოტივი-სულორი | 9:0 |
| სასკო-დინამო (ბთ) | 1:0 |
| ჭიათურა-ბეთლემი | 2:0 |
| ბახმარო-მაჭახელა | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 14 | 11 | 1 | 2 | 28-14 | 34 |
| 2. დინამო (ბთ) | 14 | 10 | 1 | 3 | 26-9 | 31 |
| 3. მაჭახელა | 14 | 9 | 4 | 1 | 25-8 | 31 |
| 4. ჭიათურა | 14 | 9 | 1 | 4 | 21-14 | 28 |
| 5. სასკო | 14 | 8 | 1 | 5 | 24-12 | 25 |
| 6. სამგურალი | 14 | 6 | 3 | 5 | 26-26 | 21 |
| 7. ბეთლემი | 14 | 6 | 1 | 7 | 18-19 | 19 |
| 8. საბურთალო | 14 | 5 | 2 | 7 | 20-17 | 17 |
| 9. დილა 2 | 14 | 5 | 2 | 7 | 19-28 | 17 |
| 10. ლოკომოტივი | 14 | 5 | 1 | 8 | 27-23 | 16 |
| 11. კოლხეთი (ხ) | 14 | 4 | 3 | 7 | 16-29 | 15 |
| 12. სტუ | 14 | 4 | 1 | 9 | 26-30 | 13 |
| 13. ბახმარო | 14 | 0 | 7 | 7 | 13-32 | 7 |
| 14. სულორი | 14 | 1 | 2 | 11 | 7-35 | 5 |

შუქურა ისვენებს

ჩიხურა


ჩიხურა-დინამო. მარცხნიდან დავით ოდიკაძე, გია კვარცხელია, გიორგი მერებაშვილი

# ორი კითხვა საჩხერიდან: სად გვათამაშეთ?! ან ეს მსაჯობა იყო?!

საჩხერეს „ჩიხურასა" და თბილისის „დინამოს" შეხვედრამ ნომინალურ მასპინძელთა უკმაყოფილება გამოიწვია. საჩხერელები ჯერ იმით იყვნენ გაკვირვებულები, რომ „დინამოს" ივანწმინდას სტადიონზე მილების საშუალება არ მიეცათ, უშუალოდ შეხვედრის დროს კი პროტესტი მსაჯობის მიმართ გამოხატეს.

„ლელომ" კომენტარი „ჩიხურას" დირექტორმა **ბერიკა შუკაკიძემ** სთხოვა: „შეთქმულების თეორიების მომხრე არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ გაუგებარი ამბები მოხდა. ჯერ იყო და, ერთი წლის დასვენებულ მოედანზე დიდი სამუშაო ჩავატარეთ, მაგრამ გვითხრეს, რომ მოედნის საფარი სტანდარტებს არ პასუხობდა. იქნებ მეშლება, მაგრამ ასე მგონია, რომ უარეს მოედნებზეც გვითამაშია. არ მინდა იმის თქმა, რომ ფედერაციას მიზეზი არ ჰქონდა, უმიზეზოდ დაგვჩაგრეს და ამ ყველაფრის მიღმა რაიმე ჩანაფიქრი იყო - ასეთი რამ ჩვენთვის მიუღებელია. მაგრამ მოედანი საშინელ მდგომარეობაში არ ყოფილა. მეორე მიზეზი ისაა, რომ მაყურებლისთვის ორი საპირფარეშო არ გააკეთეთო. გარდა ამისა, მატჩზე 6 მსაჯი მოდიოდა და მათი გასახდელი 24 კვადრატულ მეტრზე ნაკლებიაო. ჩვენი სტადიონის არქიტექტორმა შეცდომა დაუშვა, მაგრამ არა მგონია, „დინამოსა" და „ტორპედოს" სტადიონების გარდა, ამ მოთხოვნებს ბევრი სხვა სტადიონი აკმაყოფილებდეს. რას ვიზამთ, მდგომარეობას გამოვასწორებთ და იმედია, საკუთარ სტადიონზე მალე ვითამაშებთ. არადა, საჩხერეში პატარა საფეხბურთო ზეიმის მოლოდინში ვიყავით. უნდა გენახათ, რა აჟიოტაჟი იყო, სტადიონზე მოსვლას დაახლოებით 5 ათასამდე ადამიანი აპირებდა, მაგრამ... ვერ მოხერხდა".

საჩხერელთა დირექტორმა „დინამოსთან" შეხვედრაზეც ილაპარაკა: „სულაც არ ვარ დარწმუნებული, რომ საჩხერეში მატჩის გამართვა ჩვენი გამარჯვების გარანტია იქნებოდა - ასეთი ილუზია არ მაქვს. თბილისელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს და მატჩის შემდეგ მეტოქეს წარმატება მივულოცე კიდეც. მაგრამ მსაჯობამ ბევრი კითხვა დაბადა - ჩვენს ერთ მოთამაშეს თავი გაუხეთქეს, მეორეს ტუჩი გაუსკდა, მსაჯმა კი ამ დარღვევებზე ყვითელი ბარათიც არავის აჩვენა. სადავო იყო ჩვენს კარში დანიშნული პენალტიც, რომელზეც კარის უკან მდგომმა მსაჯმა ვადაჭკორიას უთხრა, რომ წესები არ დარღვეულა. ამ დროს 1:1 იყო. მეორე ნახევარში, როცა უკვე 1:3-ს ვაგებდით, „დინამოს" მცველმა გველესიანმა ბურთი ხელით გაისწორა და ჩვენი აზრით, არც ეს ეპიზოდი შეფასდა სწორად. ვიმეორებ, ამის გამო არ წაგვიგია, მეტოქემ ნამდვილად გვაჯობა. მსაჯიც შეიძლება შეცდეს და სულაც არ ვაბრალებ, რომ შეგნებულად გააკეთა ასე. მაგრამ კითხვა მებადება - ყველა საკვანძო ეპიზოდში გადაწყვეტილებას მეტოქის სასარგებლოდ რატომ იღებდა? ფაქტია, რომ თამაში გააფუჭა. მოვითხოვთ, რომ ეს მსაჯობა ფედერაციამ განიხილოს და თუ აღმოჩნდება, რომ ვცდები, ვადაჭკორიას ბოდიშს მოვუხდი".

**გია კვარაცხელია**, „ჩიხურას" ფეხბურთელი: „1:5 წავაგეთ და თავის მართლებას არ ვაპირებთ. „დინამოს" ფეხბურთელებს სულითა და გულით ვულოცავ გამარჯვებას. წაგება ფეხბურთში ტრაგედია არაა. მაგრამ ჩვენს ფეხბურთს ასეთი მსაჯობა არ წაადგება. ვადაჭკორიას პატიოსან ადამიანად ვიცნობდი, ახლა კი გული გვატკინა და ძალიან ცუდად გვიმსაჯა. თამაშის ბედი 1:1-ზე დანიშნულმა პენალტმა გადაწყვიტა. დამხმარე მსაჯმა უთხრა, პენალტი არააო და მაინც დანიშნა, რატომ? მეორე ტაიმში კი 1:3-ზე „დინამოს" მცველს ბურთი ხელზე მოხვდა და ამბობს, ვერ დავინახეო. არადა, დამხმარე მსაჯმა უთხრა, ჯარიმა იყოო. ვერც ის გავიგეთ, ზესტაფონში რატომ გაგვიშვეს... მოკლედ, ყველაფერი ერთმანეთს აეწყო და წაგებაც ლოგიკური იყო - ასეთ ვითარებაში განწირულები ვიყავით, შანსი არ გვქონდა".

**მერაბ მამულაშვილი**

U19

# ელიტრაუნდამდე ჯერ თურქეთია

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს 25, 27 და 30 მაისს ელიტრაუნდის შეხვედრები ელის - შვეიცარიასთან, კვიპროსსა და ისრაელთან ბრძოლაში **ვასილ მაისურაძის** გაწვრთნილი ეს თაობა ევროფინალის საგზურის მოპოვებას მეორედ შეეცდება.

ცნობილია, რომ მწვრთნელმა გუნდის ბირთვი თბილისის „ლოკომოტივში" შეკრიბა და თებერვალში მოსამზადებელი ეტაპი ესპანეთში ჩაატარა. დღეს კი ნაკრები თურქეთში გაემგზავრება, სადაც საწვრთნელი შეკრება და ორი ამხანაგური მატჩია დაგეგმილი. სფფ-ის პრესსამსახურის ცნობით, ამ შეკრების ორგანიზებაში ფედერაციას **შოთა არველაძე** დაეხმარა.

5 მარტს, სტამბოლში, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები „გალათასარაის" 20-წლამდელთა გუნდს დაუპირისპირდება, 7 მარტს კი - „ქასიმფაშას" ასაკობრივ გუნდს. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თურქეთში ეს ფეხბურთელები წაიყვანა:

მეკარეები - **ოთო გოშაძე, ლაზარე კუპატაძე (ორივე - საბურთალო);**

მცველები - **გიორგი თევზაძე, ჯემალ ტაბიძე (ორივე - საბურთალო), ნიკა ჭანტურია (ლოკომოტივი), ალექსანდრე გურეშიძე (დინამო), ზურაბ გელაშვილი (ტორპედო).**

ნახევარმცველები - **გიორგი გაფრინდაშვილი, გიორგი ბერიძე, ლევან შენგელია (ყველა - დილა 2), გიორგი გოროზია, გიორგი აბურჯანია (ორივე - ლოკომოტივი), მათე ცინცაძე, გიორგი პაპუნაშვილი (ორივე - დინამო), გიორგი ხარაიშვილი (საბურთალო);**

თავდამსხმელები - **ლუკა ზარანდია, ალეკო მზევაშვილი, დავით ჯიქია (ყველა - ლოკომოტივი), აკაკი შულაია (მერანი).**

შესარჩევი ციკლის შემდეგ მაისურაძის გუნდში რამდენიმე ახალი მოთამაშეა: ქუთაისის „ტორპედოს" მარჯვენა მცველი **ზურაბ გელაშვილი**, რომელსაც **რევაზ ძოძუაშვილი** წლეულს შემადგენლობაში სისტემატურად ათამაშებს; ახლები არიან „საბურთალოს" შემტევი ნახევარმცველი **გიორგი ხარაიშვილი;** „ლოკომოტივის" თავდამსხმელი **ალეკო მზევაშვილი** (რომელმაც 2012 წელს სლოვენიაში ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა), მარტვილის „მერანის" თავდამსხმელი **აკაკი შულაია,** რომელმაც მიმდინარე სეზონში რამდენიმე შთამბეჭდავი თამაში ჩაატარა, და კიდევ ორი ახალი სახე „დილა 2"-დან - ნახევარმცველები **გიორგი გაფრინდაშვილი და გიორგი ბერიძე.**

არც ის დაგვავიწყდეს, რომ გუნდის წევრობის კანდიდატია **დავით დარციმელიაც,** რომელმაც ახლახან კონტრაქტი გააფორმა უკრაინის პრემიერლიგელ „სევასტოპოლთან". მზევაშვილის მსგავსად, 2012 წელს სლოვენიაში ევროპის ჩემპიონატზე დარციმელიამაც იასპარეზა.

19-წლამდელთა ნაკრები თბილისში 8 მარტს დაბრუნდება. ელიტრაუნდამდე კი აპრილში ვასილ მაისურაძის გუნდს პორტუგალიური ოთხთა ტურნირი ელის, სადაც „ჯვაროსნებს" მუდმივად იწვევენ.

**მერაბ მამულაშვილი**


ვასილ მაისურაძის გუნდი ელიტრაუნდისთვის მზადებას აგრძელებს

ფეხბურთი ყველასათვის

# ახალი ტურნირი

საქართველოს უნივერსიტეტის სპორტული სკოლის მენეჯერის **გივი ნეფარიძის** თაოსნობით, გასულ წელს დაფუძნდა და შარშანვე პირველად ჩატარდა მოზარდთა შორის ფეხბურთში „მშვიდობის თასის" გათამაშება. წლევანდელი ასპარეზობა თბილისის ფეხბურთის ფედერაციის თანადგომით უკვე სამ ასაკობრივ ჯგუფში გაიმართა 18 გუნდის მონაწილეობით.

2002 წელს დაბადებულთა შორის პირველობა წილად ხვდა სპორტულ კლუბ „ჩემპიონს" (მწვრთნელები: **გია მაჭარაშვილი, გია ჩარკვიანი**), ერთი წლით უმცროსებში - „მთვარის გლობუსს" (მწვრ. **იგორ კოროტკოვი**), 2004 წლებში გამარჯვებული გამოვიდა „ბასა-1" (მწვრ. **გიორგი პაპინაშვილი, გელა ბანცური**).

სამივე ასაკში გამოვლინდა საუკეთესო მეკარე და მოთამაშე. გუნდებს და გამორჩეულ ნორჩ ფეხბურთელებს სპონსორის საჩუქრები გადაეცათ.

**„ლელოს" კორ.**


ჩემპიონი


ბასა-1


მთვარის გლობუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXVI ტურის შეჯამება

# ატლეტიკო ცოცხალია

## მადრიდში არავინ გადამწვარა



სახალისო ეპიზოდი მადრიდულ დერბიში

გასულ უქმეებზე „ატლეტიკოსა“ და „რეალს“ შორის გამართული მადრიდული დერბი არა მარტო ესპანეთის, მთელი საფეხბურთო სამყაროს ერთ-ერთი მთავარი თემა გახლდათ. სატურნირო თვალსაზრისით, ასეთი მნიშვნელოვანი დედაქალაქური დერბი წლებია, არ ყოფილა. ძალიან დაძაბული და ამავდროულად ლამაზი მატჩი გამოვიდა და საბოლოოდ, გუნდები ერთმანეთს დაუზავდნენ. ეს შედეგი მეტ-ნაკლებად ხელს აძლევდა „ბარსელონას“, რომლისთვისაც მთავარი იყო, „რეალს“ არ მოეგო.

საინტერესო იყო ისიც, რომ სევილიურმა გუნდებმა აუტსაიდერმა „ბეტისმა“ და მოყოჩაღებულმა „სევილიამ“ გვარიანად წაუკრეს ხელი „ბილბაოს“. პირველმა გასვლაზე „ვილიარეალთან“ არ წააგო, ხოლო მეორემ „სოსიედადს“ მოუგო. შედეგად, ბილბაოელებმა მნიშვნელოვნად გაიმყარეს პოზიციები მეოთხე საფეხურზე

### ანჩელოტის ყველაფერი გათვლილი აქვს

**კრიშტიანო რონალდო** მატჩამდე ამბობდა, ჩვენ ვართ მადრიდიო და სწორედ პორტუგალიელმა უშველა „რეალს“ და 82-ე წუთზე გაათანაბრა. იქამდე „ატლეტიკო“ იგებდა და ახლოს იყოს 1999 წლის მერე „ვისენტე კალდერონზე“ „რეალის“ წინააღმდეგ პირველი გამარჯვების მოპოვებასთან. თვალშისაცემი გახლდათ ისიც, რომ **დიეგო სიმეონემ** მხოლოდ ერთი ცვლილება გამოიყენა, ისიც ბოლოსკენ. მან საერთოდ არ ათამაშა **დავიდ ვილია**, რომელსაც მცირე ტრავმაც აწუხებდა და თან ეს „ჩოლოს“ ტაქტიკური ჩანაფიქრიც გახლდათ. სიმეონემ კინაღამ ჩემპიონატის მეორე მატჩიც მოუგო კარლო ანჩელოტის, რომელიც საკმაოდ შემტევი შემადგენლობით თამაშობდა. ბოლოდროინდელი სათამაშო ფორმისა და შედეგების გათვალისწინებით, უმეტესობა „სამეფო გუნდის“ გამარჯვებას ელოდა, მაგრამ...

„თავიდანვე გავუშვით, მაგრამ კარგი რეაქცია გამოვავლინეთ. მეორე ტაიმშიც მშვენივრად ვითამაშეთ და შეგვეძლო ანგარიში 3:1 გაგვეხადა, რაც გადამწყვეტ უპირატესობას მოგვიტანდა. საბოლოოდ, მთავარი შედეგია, რომელიც ფიქსირდება და ვფიქრობ, 12 მატჩით ადრე პირველ ადგილთან 3 ქულაში ყოფნა, ცუდი არ არის. „ატლეტიკომ“ ყველას დაუმტკიცა, რომ ცოცხალია“ - თქვა სიმეონემ.

კარლო ანჩელოტი: „მეტოქე უხეშად და აგრესიულად თამაშობდა, რაც ჩვენი სტილი არ გახლავთ. ჩვენ, უბრალოდ, ფეხბურთის თამაშზე ვფიქრობთ. ფრე უნდა მივილოთ, რადგან რთული მატჩი იყო და შეხვედრაში, რომელსაც ვაგებდით, ქულა ავიღეთ, ცუდი არ არის. თანაც „ატლეტიკო“ ძალიან კარგი გუნდია, განსაკუთრებით საკუთარ კედლებში. გოლის შემდეგ, მეტოქეს ადვილად მივეცით თამაშის საშუალება და ამიტომაც გაგვიჭირდა. მეორე ნახევარში უკეთ გამოვიყურებოდით და „ატლეტიკოს“ პრობლემებიც შევუქმენით. არბელოა და კოენტრაო დასვენებულნი იყვნენ და ამიტომ ვათამაშე, ხოლო როდესაც ფლანგების გააქტიურება იყო საჭირო, მარსელო და კარვახალი შევიყვანე. შევცდი თუ არა შემადგენლობის დაყენებისას? იმდენს სასტარტო თერთმეტეულზე არავინ ფიქრობს, რამდენსაც მე. ცხრილის სათავეში ვრჩებით და გასათვალისწინებელია ისიც, რომ დარჩენილი 12 მატჩიდან 5 გასვლაზე გვაქვს, 7 კი შინ“.

ტრადიციულ გაწევ-გამოწევებსაც ვერ ავცდით. ცხადია, ვერც საკამათო ეპიზოდებსა და მსაჯების შეცდომებს. ჩვეულ სტილში წყობიდან გამოვიდა სიმეონეს ასისტენტი **ხერმან „მონო“ ბურგოსი**, რომელიც მინდვრიდან მიაბრძანეს. თუმცა „ჩოლომ“ თქვა, ხერმანს არაფერი ცუდი არ უთქვამს და არ გაუკეთებია, სანამ გააძევებდნენო.

მთელი მატჩის განმავლობაში გრძელდებოდა **სერხიო რამოსისა** და **დიეგო კოშტას** დუელი. ერთ ეპიზოდში რამოსმა „ატლეტიკოს“ ფორვარდი და ამიერიდან ნაკრებში მისი თანაგუნდელი წააქცია კიდეც და პენალტი არ დაინიშნა. მათ შორის მცირე უთანხმოებაც იყო.

„ჩემი აზრით, დიეგო კოშტა შესანიშნავი არჩევანია და მას შეუძლია ესპანეთის ნაკრებისთვის სარგებლის მოტანა. ფეხბურთი გუნდური სპორტია, ჩვენ ახლა თანაგუნდელები ვართ და ერთმანეთთან არანაირი პრობლემა არ გვაქვს. რაც შეეხება მატჩს, ყველა თავისი კლუბის ინტერესებს იცავს. ვიცით, რომ „ატლეტიკო“ მტკიცე ხასიათის გუნდია და დიდი შემართებით თამაშობს. ისინი თავისი სტილით ცდილობდნენ თამაშს, ჟინითა და სპორტული აგრესიით, ჩვენ კი ჩვენი სტილით, ბურთის გაკონტროლებას ვცდილობდით. მეორე ტაიმში კარგად ვითამაშეთ და მოგებაც შეგვეძლო. კარგია, რომ „ატლეტიკოს“ სახით კიდევ ერთი, ჩემპიონობისთვის მებრძოლი კლუბი გამოჩნდა“ - თქვა რამოსმა.

„ცოტა გულდაწყვეტილი დავრჩი, რადგან გამარჯვებაც შეიძლებოდა. ღია და კარგი მატჩი გახლდათ, რომელშიდაც შანსი ორივე გუნდს ჰქონდა. გულშემატკივრებისთვის დადებითი მუხტის მიცემა გვინდოდა და ვფიქრობ, გამოგვივიდა. ვილებთ და მიჩვეულნი ვართ, კრიტიკასაც და შექებასაც. იმავე შემართებით გავაგრძელებთ მუშაობას. არ დაგვავიწყდეს, რომ „კლასიკო“ კიდევ ჩასატარებელია, ლიდერს მხოლოდ 3 ქულით ჩამოვრჩებით და შანსი არის“ - ეს კი „რეალის“ კარში სამეფო გოლის ავტორის „ატლეტიკოს“ კაპიტნის, **გაბის** სიტყვებია.

„ათლეტების“ მცველი **ხუანფრანი:** „მოგებას ვიმსახურებდით. კარგად ვითამაშეთ, ბევრი მომენტი გვქონდა და ფრე უსამართლო შედეგია. გუნდი ცოცხალია. ზოგი ამბობს, რომ ზედმეტად აგრესიულები ვართ და გადავილალეთ, გადავიწვით, მაგრამ აქ არავინ გადამწვარა“.

### ყველაფერი ბარსას ხელშია

„ბარსელონამ“ საბოლოოდ 4:1 კი მოიგო, მაგრამ თამაში მთლად იოლი არ იყო. ეს მატჩის შემდეგ **სერხიო ბუსკეტსმაც** აღიარა. თუმცა მთავარია, კატალონიელებმა სამი ქულა აიღეს. საკუთარ აქტივს თითო გოლი მიამატეს **ალექსის სანჩესმა** და **ლიონელ მესიმ.** არგენტინელმა ჯადოქრული ჯარიმა გაიტანა მოჭრილი დარტყმით. „ალმერიას“ რიგებში კი ისევ ძალიან კარგი იყო მცველი **ალეხანდრო ტრუხილიო**, რომელმაც „კამპ ნოუზე“ გოლიც კი შეაგდო.

**სესკ ფაბრეგასი:** „ჩემი აზრით, ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. გუნდი ტოპ-კლასის ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული და დანარჩენი ჩვენი თავების და ჩვენი ფეხების საქმეა, თუ როგორ დავიხარჯებით და ვითამაშებთ. არც ერთ გუნდს არ ჰყავს ისეთი ნიჭიერი შემადგენლობა, როგორც ჩვენ“.

„რეალურად არანაირი საშიშროება არ დამდგარა, მატჩის მსვლელობას ვაკონტროლებდით. თუმცა ვიცით, რომ უნდა მოვუმატოთ, მათ შორის დაცვაშიც. ფანები ბოლომდე გვამხნევებდნენ. 15-16 შანსი გვქონდა და მხოლოდ 4 გამოვიყენეთ. მომენტების რეალიზაცია დასახვეწია, მაგრამ მთავარია, მათი მრავლად შექმნა გავაგრძელოთ. ნეიმარი აუცილებლად მოუმატებს და სტაბილურად, კიდევ უფრო კარგად ათამაშდება“ - განაცხადა **ხორხე პაუტასომ**, რომელიც დისკვალიფიცირებული **ხერარდო მარტინოს** ნაცვლად საუბრობდა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე.

**საუკეთესო ბომბარდირები:**

23 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
21 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო)
16 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა)
15 - ქარიმ ბენზემა (რეალი), ანტუან გრიზმანი (სოსიედადი), ლიონელ მესი (ბარსელონა)

**საუკეთესო ასისტენტები:**

12 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)
11 - კოკე (ატლეტიკო)
10 - გარეთ ბეილი (რეალი)
9 - კარლოს ველა (სოსიედადი), ივან რაკიტიჩი (სევილია)
8 -ლიონელ მესი (ბარსელონა), ნეიმარი (ბარსელონა), პედრო (ბარსელონა), სუსაეტა (ბილბაო)

**გოლი + პასი:**

29 - კრიშტიანო რონალდო (რეალი) - 23+6
24 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო) - 21+3
23 - ლიონელ მესი (ბარსელონა) - 15+8
22 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა) - 16+6
21 - ქარიმ ბენზემა (რეალი) - 15+6, პედრო (ბარსელონა) - 13+8
20 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა) - 8+12, გარეთ ბეილი (რეალი) - 10+10

**გიორგი პაპაბაძე**




ტოტენჰემი

# რიგითი სოლდადოს გაბრწყინება

„ტოტენჰემს“ 28 წლის **რობერტო სოლდადოს** შეძენა „ვალენსიიდან“ 27 მილიონი ევრო დაუჯდა. თავდამსხმელს ინგლისთან ადაპტაცია გაუჯანჯლდა. უკვე დაიწერა, რომ ეს „დეზების“ მორიგი წარუმატებელი გარიგება იყო. „ჯარისკაცს“ შარშან 20 ოქტომბრის შემდეგ თამაშიდან გოლიც კი არ ჰქონდა გატანილი. **ტიმ შერვუდმა** ფეხბურთელი რამდენჯერმე სათადარიგოთა შორისაც დასვა და ზუსტად ამ დროს... სოლდადომ „კარდიფთან“ არაჩვეულებრივი გოლი გაიტანა. საჯარიმოში შეჭრილმა **ემანუელ ადებაიორის** პასი ერთი შეხებით დაამუშავა, მეორე ფეხით კი **დევიდ მარშალს** ახლო კუთხეში დაურტყა. მატჩის შემდგომ ფეხბურთელებმა თანაგუნდელის მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურეს. თავდასხმაში პარტნიორის გარჯით ყველაზე ბედნიერი საგოლე გადაცემის ავტორი აღმოჩნდა. აი, რა თქვა ადებაიორმა „სქაი სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში:

„რობერტო თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. მას მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა, დღეს კი მოედანზე ზუსტად ის ფეხბურთელი ვნახეთ, როგორსაც ვიცნობდით. მისი წარმატებით ყველანი ბედნიერები ვართ. აუცილებელია, მომავალშიც ისე ვიმოქმედოთ, როგორც ერთიანმა გუნდმა. ამდენი წარუმატებლობის შემდეგ შეუძლებელია, საკუთარ ძალებში არ დაეჭვდე. მუდმივად ეკითხები შენს თავს, როდის გადალახავ დანავსულ სერიას. საკუთარ თავში დარწმუნებული ფეხბურთელი კი, დამიჯერეთ, განსხვავებულად აზროვნებს და განსხვავებულად თამაშობს. მიხარია რობერტოს წარმატება, რადგან ის არასოდეს დანებებულა და ყოველთვის ბევრს შრომობდა. თავდადება კი დღეს დაუფასდა. „კარდიფი“ გადარჩენისთვის იბრძვის, ჩვენ - ოთხეულში მოსახვედრად. შესაბამისად, რთული თამაში გამოდგა. 90 წუთის განმავლობაში სულ 2-3 რეალური შანსი გვქონდა და აქედან ერთი გამოვიყენეთ, რამაც სასურველი შედეგი მოიტანა. მომდევნო ტურებში უფრო ყურადღებით გვმართებს თამაში. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ გულშემატკივარი ანგარიშით იმედგაცრუებული დარჩა, მაგრამ მთავარია, რომ ვიბრძოლეთ და სამი ქულა ავიღეთ. ამ ეტაპზე კი ეს ყველაზე მნიშვნელოვანია“.



რობერტო სოლდადო და ემანუელ ადებაიორი ზეიმობენ

**ლევან ბიბილაშვილი**

მანჩესტერ იუნაიტედი



დევიდ მოიესი

# რა მოხდება თუკი...

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობა წინასწარ ფიქრობს, თუ რა გზებს შეიძლება მიმართოს, თუკი **დევიდ მოიესის** გუნდი სეზონის შედეგების მიხედვით ევროტურნირების მიღმა დარჩება. მოვლენათა ამგვარი განვითარება კი საკმაოდ იოლად წარმოსადგენია. ლიგის თასის გათამაშება დასრულდა, ასოციაციის თასიდან „იუნაიტედი“ „სუონსიმ“ გამოაგდო, რეალურია, ჩემპიონთა ლიგასაც უახლოეს მომავალში გამოთხოვებაც, რადგან გუნდს „ოლიმპიაკოსთან“ ორბურთიანი ფორა აქვს აღმოსაფხვრელი. ასე რომ, ლიგის მოგების მიზერული შანსი კიდევ უფრო გაუფერულებულია. იმ შემთხვევაში, თუკი „ეშმაკები“ მომდევნო სეზონში ევროპული შეჯიბრებების მიღმა დარჩებიან, მათ შორეულ რეგიონებში მოუწევთ მოგზაურობა, სადაც მათ სანახავად სოლიდურ თანხებს გადაიხდიან. მაგალითად, ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ ამერიკასა და ინდოეთში. მანჩესტერელებს ამგვარი გამოცდილება უკვე აქვთ. შარშან ზაფხულს მოიესმა ფეხბურთელები აშშ-ში წაიყვანა შეკრებაზე, რამაც „იუნაიტედის“ ხაზინა 12 მილიონი ფუნტით შეავსო. მანკუნიანელები უკვე ფიქრობენ კონკრეტულ მეტოქეებზეც. მაგალითად, „ინტერზე“, „პორტუზე“, „ვალენსიასა“ და „დორტმუნდზე“.

ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ გეგმებია და მათზე სერიოზულად მუშაობა მხოლოდ სეზონის შეჯამების შემდეგ დაიწყება.

**ლევან ბიბილაშვილი**

● გერმანია. ბუნდესლიგა. XXIII ტურის შეჯამება

# ბუნდესლიგა ბაიერნისთვის უკვე ვარჯიშია

## იცით, რამდენი რეკორდი დაამყარა უკვე რეკორდმაისტერმა?

**„ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონობას უპრობლემოდ რომ შეინარჩუნებდა, ამას საფეხბურთო საზოგადოება ჯერ კიდევ შემოდგომაზე მიხვდა. თავად მიუნხენელები კი ამის შესახებ მხოლოდ ახლაღა ალაპარაკდნენ - „შალკესთან" მორიგი ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ რამდენიმე ბაიერნელმა აღიარა, რომ გერმანიის ჩემპიონატის ბედი ფაქტობრივად გადაწყვეტილია და რომ ბუნდესლიგა რეკორდმაისტერისთვის კარგ გასართობ ვარჯიშად იქცა.**



ბაიერნი ყველა მეტოქეს დეპრესიაში აგდებს

15 მოგება ზედიზედ - „ბაიერნი" რიგით 24-ე ჩემპიონობას ელვის სისწრაფით უახლოვდება. მიუნხენში უკვე გაისმა ოფიციალური კომენტარები იმის შესახებ, რაც ისედაც ყველასათვის ცხადი იყო: ბუნდესლიგა „ბაიერნისთვის" უკვე მხოლოდ ვარჯიშია!

„შალკესთან" დაფიქსირებული 5:1-ის შემდეგ რეკორდმაისტერის 24 წლის ნახევარმცველმა **ტონი კროოსმა** გასაგებად თქვა: *„გერმანიის ჩემპიონები, რა თქმა უნდა, ჩვენ გავხდებით. ამ საკითხზე ორი აზრის არსებობა დაუშვებელია. ამაში ეჭვი არავის გვეპარება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ გერმანიის ჩემპიონატის თითოეულ დარჩენილ მატჩში მაქსიმალურად დავიხარჯოთ და კონცენტრაცია არ დავკარგოთ - ბუნდესლიგაში მაქსიმალური შემართება ჩემპიონთა ლიგაზე გამოგვადგება."*

კროოსისგან განსხვავებით, 30 წლის **არიენ რობენი**, რომელმაც „შალკესთან" ჰეთთრიკი შეასრულა, შედარებით მოკლე კომენტარით შემოიფარგლა, მაგრამ სათქმელი ჰოლანდიელმაც გასაგებად თქვა: *„ამ რიტმის შენარჩუნება აუცილებელია, რადგან ჩემპიონთა ლიგაში სერიოზული მეტოქეები გვეყოლება."* რობენმა ამით „შალკეს" ფანებს ატკინა გული, რადგან ისე გამოუვიდა, რომ გელზენკირხენული კლუბი არასერიოზული მეტოქეა, მაგრამ შალკელებს ცივი წყლის დალევა მოუწევთ - შაბათს, „ალიანს არენაზე" დაფიქსირებულმა ანგარიშმა ზემოთ მოყვანილ მოსაზრებაში ყველა რობენის კომენტარამდე დაარწმუნა.

ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა „ბაიერნის" სერიოზულ თუ არასერიოზულ მეტოქეთა ფეხბურთელები და ხელმძღვანელებიც გამოკითხეს.

„შტუტგარტის" მენეჯერი **ფრედი ბობიჩი**: *„ბაიერნს" ბოლო ტურში ვხვდებით და ფაქტია, რომ ამ მატჩს გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში არანაირი მნიშვნელობა არ ექნება."*

„ლევერკუზენის" მეკარე **ბერნდ ლენო** (21 წლის): *„ბაიერნის" ჩემპიონობა, რა თქმა უნდა, გარდაუვალია. „ვერცხლის სინის" ჩამორთმევა კი არა, დღესდღეობით მიუნხენელებთან ფრის დაფიქსირებაც კი სასწაულის ტოლფასია. იმისათვის, რომ „ბაიერნმა" ვერ მოგიგოს, შენ ძალიან კარგი დღე უნდა გაგითენდეს და მაგრადაც უნდა გაგიმართლოს, „ბაიერნს" კი - პირიქით, უიღბლობათა კასკადი უნდა დაატყდეს."*

დორტმუნდის „ბორუსიას" გენერალური მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე**: *„გასაგებია, რომ ყველა ასე ფიქრობს, მაგრამ ჩვენ „ბაიერნთან" თამაშებს, იქნება ეს ბუნდესლიგაში, გერმანიის თასზე, თუ ჩემპიონთა ლიგაში, ნებისმიერ დროს მაქსიმალურად სერიოზულად მივუდგებით."*

„ჰერტას" მენეჯერი **მიხაელ პრეეტცი**: *„ბაიერნს" მეორე წრეში საკუთარ მოედანზე ვეთამაშებით და ეს მატჩი წლის მოვლენა იქნება. ამ შეხვედრისთვის ძალიან კარგად მოვემზადებით და ჩვენთან მიუნხენელები ნამდვილად ვერ ივარჯიშებენ!"*

### ბაიერნის 14 დაუჯერებელი რეკორდი ამ სეზონში

ამასობაში, გაზეთმა „ბილდმა" „ბაიერნის" ყველა აქტუალური რეკორდი და საინტერესო სტატისტიკური ფაქტები გამოაქვეყნა. მოდით, ერთად გადავხედოთ, მართლა როგორი ძლიერია **ხოსეპ გვარდიოლას** ფორმაციის რეკორდმაისტერი:

- ზედიზედ 15 გამარჯვება ბუნდესლიგაში - რეკორდი გამეორებულია.
- ბუნდესლიგის ზედიზედ 15 ტურში „ბაიერნს" თითოეულ შეხვედრაში მინიმუმ 2 გოლი გააქვს - ეს ახალი რეკორდია.
- მიუნხენურ გრანდს ბუნდესლიგაში 48-მატჩიანი (!) წაუგებელი სერია აქვს.
- ზედიზედ 60 მატჩია, მიუნხენელებს მოედანი უგოლოდ (!) არ დაუტოვებიათ.
- სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში „ბაიერნს" 30-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს.
- ზედიზედ 30 გასვლით თამაშში „ბაიერნს" მოედანი უგოლოდ არ დაუტოვებია.
- ყველა დროის საუკეთესო ბალანსი 23 ტურის შემდეგ: 65 ქულა!
- ბურთების შეფარდება: +56.
- 20-ქულიანი უპირატესობა მეორეადგილოსან „დორტმუნდთან".
- **ტიაგო ალკანტარას** ბუნდესლიგაში სულ 12 მატჩი აქვს ჩატარებული და „ბაიერნმა" თორმეტივე მოიგო.
- **ხავი მარტინესმა** ბუნდესლიგის უკანასკნელი 22 თამაშიდან ყველა მოიგო - ეს რეკორდია.
- ხავი მარტინესს ბუნდესლიგაში სულ 37 შეხვედრა აქვს ჩატარებული და არც ერთში არ დამარცხებულა! ბუნდესლიგის ისტორიაში სხვა არც ერთი ფეხბურთელი არ ყოფილა ამდენ ხანს წაუგებლად.
- **მანუელ ნოიერს** ბუნდესლიგაში უკვე 44-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს.
- პეპ გვარდიოლა პირველი მწვრთნელია ბუნდესლიგის ისტორიაში, რომელმაც პირველი 23 თამაშიდან არცერთი არ წააგო.

მიუნხენელები მომდევნო ტურში „ვოლფსბურგს" სტუმრობენ და იმ შეხვედრაში, რა თქმა უნდა, ყველა რეკორდის გაუმჯობესება შესაძლებელი იქნება...

**გოტფრიდ ლენცი**

სიმბოლური ნაკრები




### XXI ტურის გმირი
### არიენ რობენი (ბაიერნი)



ჩემპიონთა ლიგის 2012 წლის ფინალის შემდეგ, მიუნხენის „ბაიერნში" არიენ რობენს პენალტი პირველად დაარტყმევინეს. გეხსომებათ, როგორ უსტვენდა მაშინ 30 წლის ჰოლანდიელს მიუნხენის პუბლიკა. დღეს კი რობენი „ბაიერნის" და მთლიანად ბუნდესლიგის ტურის გმირია. „შალკესთან" მან ჰეთთრიკი შეასრულა და მატჩის შემდეგ ბურთი სახლში წაიღო. ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ რობენი „ბაიერნთან" კონტრაქტს 2017 წლამდე გააგრძელებს.

### სეზონის საუკეთესო ფეხბურთელები
#### „კიკერის" შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | საშ. შეფ |
|---|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 14 | 2.08 |
| 2. ფილიპ ლამი | ბაიერნი | 20 | 2.58 |
| 3. ტონი კროოსი | ბაიერნი | 21 | 2.59 |
| 4. ბერნდ ლენო | ლევერკუზენი | 23 | 2.65 |
| 5. მარკო როისი | დორტმუნდი | 21 | 2.70 |
| 6. რაფაელ შეფერი | ნიურნბერგი | 23 | 2.72 |
| 7. რომან ვაიდენფელერი | დორტმუნდი | 21 | 2.76 |
| 8. რონ-რობერტ ცილერი | ჰანოვერი | 23 | 2.80 |
| 9. მანუელ ნოიერი | ბაიერნი | 22 | 2.82 |
| 10. მარკ-ანდრე ტერ შტეგენი | გლადბახი | 23 | 2.83 |

### გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 23 | 15 | 10 | 25 |
| 2. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 21 | 14 | 6 | 20 |
| 3. ადრიან რამოსი | ჰერტა | 23 | 14 | 6 | 20 |
| 4. რობერტო ფირმინო | ჰოფენჰაიმი | 23 | 12 | 8 | 20 |
| 5. თომას მიულერი | ბაიერნი | 21 | 10 | 7 | 17 |
| 6. მარკო როისი | დორტმუნდი | 21 | 8 | 9 | 17 |
| 7. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 14 | 7 | 10 | 17 |
| 8. ჯეფერსონ ფარფანი | შალკე | 18 | 8 | 8 | 16 |
| 9. რაფაელი | გლადბახი | 23 | 10 | 6 | 16 |
| 10. პიერ-ემერიკ ობამეიანგი | დორტმუნდი | 22 | 13 | 2 | 15 |

## ამბები



მარკუს ბაბელი და არმინ ფეე

### ფეეს ბაბელი შეცვლის?

„აინტრახტის" მთავარმა მწვრთნელმა **არმინ ფეემ** გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ოფიციალურად დაადასტურა დილიდან გავრცელებული ცნობები იმის შესახებ, რომ სეზონის დასრულების შემდეგ ფრანკფურტულ კლუბს დატოვებს. 53 წლის სპეციალისტის განცხადებით, ზაფხულში თანამდებობიდან გადადგომა გადაწყვეტილია. ფეემ ჯერ არ იცის, სად გააგრძელებს მუშაობას - სავარაუდოდ, ცოტა ხანს დაისვენებს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, დიდი შანსია, რომ არმინ ფეე „აინტრახტის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე 41 წლის **მარკუს ბაბელმა** შეცვალოს.

### სლომკას ვან დერ ვაარტის იმედი აქვს

ჰოლანდიელი გამთამაშებელი **რაფაელ ვან დერ ვაარტი** საშინელ ფორმაშია, რასაც თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ „ჰამბურგის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **მირკო სლომკამ** ბუნდესლიგის გასულ ტურში (0:1 ვერდერთან) ჰოლანდიელი ძირითად შემადგენლობაში არ გაამწესა და თამაშში მხოლოდ მეორე ტაიმიდან ჩართო. თუმცა სლომკა ვან დერ ვაარტზე უდიდეს იმედებს ამყარებს: *„ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ რაფაელი ძველებურად ათამაშდეს. ყველამ ვიცით, რაც შეუძლია და ვფიქრობ, რომ ვან დერ ვაარტმა „ჰამბურგის" გადარჩენის მისიაში ერთ-ერთი უმთავრესი როლი უნდა შეასრულოს,"* - აცხადებს 46 წლის სპეციალისტი.

**გოტფრიდ ლენცი**

### დანაკლისი ინგლისის ნაკრებში



კაილ უოლკერი და ანდროს ტაუნსენდი

„სქაი სპორტსის" ცნობით, 5 მარტს დანიასთან ამხანაგური მატჩისთვის შეკრებაზე გამოძახებულთაგან გუშინ ერთბაშად ხუთმა ფეხბურთელმა ვერ შეძლო გუნდთან ერთად ვარჯიში. ლაპარაკია **ჯონ რადიზე** (ნორვიჩი), **კაილ უოლკერზე**, **ანდროს ტაუნსენდზე** (ორივე ტოტენჰემი), **ადამ ლალანასა** (საუთჰემპტონი) და **სტივენ კოლკერზე** (კარდიფი). ისინი მხოლოდ ინდივიდუალურად დაიტვირთნენ. ხუთეულიდან უკვე გამოირიცხა უოლკერის ასპარეზობა. დანარჩენებს კი განაცხადში მოხვედრის შანსი ჯერ კიდევ აქვთ. „უემბლიზე" ასპარეზობას ვერ შეძლებს ვერც დანიელთა გამთამაშებელი **კრისტიან ერიქსენი** (ტოტენჰემი), ვინც ხერხემალმა შეაწუხა. ის ვარჯიშს მომდევნო კვირაში თუ შეუდგება.

### ბირმინგემის მესაკუთრე დაიჭირეს



კარსონ იუნგი

„ბირმინგემის" 54 წლის ჰონკონგელი მესაკუთრე **კარსონ იუნგი** სამშობლოში 55 მილიონი ფუნტი სტერლინგის გათეთრების ბრალდებით სასამართლოს წინაშე პირველად გასული წლის ნოემბერში წარდგა. ქმედებები 2001/07 წლებშია ჩადენილი. გუშინ ის დამნაშავედ ცნეს. რა ხნით მოუწევს ბიზნესმენს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნა, ამას სასამართლო უკვე პარასკევს გამოაცხადებს. იუნგი „ბირმინგემს" 2009 წლიდან ფლობს.

### ტანი გამორიცხავს



ვინსენტ ტანი

„კარდიფის" მესაკუთრე **ვინსენტ ტანმა** კლუბის მართვისას იმდენი უცნაური გადაწყვეტილება მიიღო, რომ უელსელი გულშემატკივარი მტრად გადაიკიდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ 58 წლის მალაიზიელი „კარდიფის" წითელი ფერებიდან ტრადიციულ ლურჯზე დაბრუნებას გეგმავდა. BBC-სთან ინტერვიუში მან ვრცლად ილაპარაკა მის მიმართ წაყენებულ პრეტენზიებზე და საკლუბო ფერების შეცვლის იდეა კატეგორიულად უარყო: *„სტადიონზე შავი სათვალეები იმიტომ მიკეთია, რომ პროჟექტორების შუქი მაწუხებს. ხელთათმანებს ვხმარობ მხოლოდ იმიტომ, რომ ინგლისში ხშირად აუტანელი სიცივეებია. სიმართლე გითხრათ, მსგავს წვრილმანებზე გამოდევნება საკმაოდ მალიზიანებს. ხაზგასმით უნდა ვთქვა, რომ „კარდიფისთვის" ლურჯი ფერის დაბრუნებაზე არ მიფიქრია. ჩემი წასვლის შემთხვევაში ამ იდეამ შესაძლოა ვინმე მოხიბლოს კიდეც, მაგრამ სანამ მე აქ ვარ, ეს არ მოხდება. იქამდე კი წითელი კლუბის აშენებას შევეცდები".*

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალია. სერია A. XXVI ტურის შეჯამება

# კალჩოს ოსკარი იუვენტუსს

## მოჩვენებითი ინტრიგა

**სერია A-ს მიმდინარე გათამაშების 26-ე ტური დახუნძლული იყო საინტერესო მოვლენებით, თუმცა მთავარი ამბავი „იუვენტუსის" მორიგი ტრიუმფია. ტურინულმა გრანდმა „მილანი" „სან სიროზე" დაამარცხა, კიდევ უფრო გაზარდა ფორა უახლოეს მდევართან და სკუდეტოს თვალებში ჩახედა. იტალიურ სპორტულ პრესაში უკვე ღიად საუბრობენ, რომ „იუვე" პირველი იქნება, სასკუდეტო ინტრიგა კი უფრო მოჩვენებითია, ვიდრე რეალური.**

### იუვეს ვერც საუკეთესო მილანი მოერია

„მილანმა" საუკეთესო მატჩი გამართა სეზონში და მაინც გამარჯვება „იუვენტუსს" დარჩა. ტურინულმა მანქანამ მორიგი მეტოქე მოინელა და მორიგი ქულები ჩაიწერა აქტივში. **ანტონიო კონტეს** გუნდის გამარჯვება უშუალო კონკურენტის, „რომას" ნაფორხილებამ ორმაგად ფასეული გახადა - დღეს უკვე თამამად საუბრობენ, რომ „ვეკია სენიორა" ჩემპიონის ტიტულს არავის დაუთმობს.

არადა, მილანური პაექრობა მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, განსაკუთრებით კი ეს პირველ ტაიმზე ითქმის... **კლარენს ზეედორფის** შეგირდებმა არაერთი რეალური მომენტი შექმნეს, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ, რამდენჯერმე კი საკუთარი გუნდი **ჯანლუიჯი ბუფონმა** გადაარჩინა. მომენტები ტურინელებსაც ჰქონდათ, საიდანაც ორი გოლი „გამოადნეს". პირველ ტაიმში, მრავალსვლიანი კომბინაცია **ფერნანდო ლორენტემ** დააგვირგვინა, ანტრაქტის შემდეგ კი **კარლოს ტევესმა** გაიბრწყინა: არგენტინელმა დაახლოებით 25 მეტრიდან გაისროლა და **კრისტიან აბიატი** უშანსოდ დატოვა. მასპინძელთაგან გატანის კარგი შანსი ჰქონდათ **რიკარდო კაკას, ჯამპაოლო პაცინის, ადელ ტაარაბტს** და **რობინიოს**.

მთლიანობაში, „მილანმა" კარგი შთაბეჭდილება დატოვა და უპირობოდ საუკეთესო მატჩი ჩაატარა მიმდინარე სეზონში, თუმცა კლასმა თავისი გაიტანა. დღეს „იუვეს" ფეხბურთელებმა უკეთ იციან, როგორ უნდა მიიყვანონ საქმე გამარჯვებამდე და ეს გვაჩვენეს კიდეც.

კლარენს ზეედორფი (მილანი): *„შედეგი უარყოფითია, მაგრამ გუნდის თამაშით უაღრესად კმაყოფილი ვარ. მეტიც, გახარებული ვარ იმ პროგრესით, რაც დღევანდელ შეხვედრაში ნათლად გამოჩნდა. ვფიქრობ, ჩვენ ყველას დავანახვეთ, რომ თანაბრად შეგვიძლია თამაში ევროპული ფეხბურთის საუკეთესო გუნდებთან".*

ანტონიო კონტე (იუვენტუსი): *„ჩვენ შევეჯახეთ საშუალო გაბარიტების ტანკს და, უნდა ვაღიარო, რომ ურთულესი ბრძოლა გადავიტანეთ. ჩემი კომპლიმენტები „მილანს" და კლარენს ზეედორფს, რადგან მიმდინარე სეზონში ასეთი გამოცდა სულ რამდენიმე გუნდმა მოგვიწყო. ამასთან, მინდა ჩემი შეგირდები შევაქო, რომლებმაც დიდებულად ითამაშეს. კარლოს ტევესი მართლაც ფენომენალური იყო, შეტევაში გაიბრწყინა და დაცვასაც აქტიურად ეხმარებოდა".*



„იუვენტუსმა" „მილანიც" დაამარცხა



ლორიკ კანას „მაკრატელა"

### ვიოლა კრიზისში?

ბოლო პერიოდში „ფიორენტინამ" აშკარად მოუკლო და იტალიურ სპორტულ პრესაში უკვე კრიზისზე ალაპარაკდნენ. **ვინჩენცო მონტელას** გუნდმა მიჯრით მეორე საშინაო მატჩი წააგო და „ინტერის" შემდეგ სამი ქულა „ლაციოსაც" გაატანა. ერთადერთი და გამარჯვების გოლი რომაელებმა სტარტზევე გაიტანეს და შემდეგ, დაცვა გაამაგრეს. გოლი მართლაც ფანტასტიკური გამოვიდა, **ლორიკ კანამ** ვარდნაში დაჰკრა ბურთს ფეხი და ისე შეარხია მეტოქის კარის ბადე. მთლიანობაში, „ლაციომ" უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა და უმნიშვნელოვანესი ქულები მოიპოვა. მატჩის შემდეგ **ედი რეიამ** მოკლე კომენტარი გააკეთა:

*„ევროპალიგიდან გავარდნა მძიმედ გადავიტანეთ და ეს გამარჯვება ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი იყო. „ფიორენტინას" მისსავე მოედანზე ძლევა ურთულესია და შეგირდების მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. მატჩში იყო მომენტები, როდესაც უპირატესობას მეტოქე ფლობდა, მაგრამ მთლიანობაში, უკეთ ჩვენ გავისარჯეთ".*

### უსახური რომა

თუ „მილანმა" საუკეთესო მატჩი გამართა, **რუდი გარსიას** „რომას" კი ასე ცუდად არასდროს უასპარეზია. დედაქალაქელებმა სულ რამდენჯერმე მიიტანეს იერიში მეტოქის კართან და აქედან მხოლოდ ერთი იყო საგოლე ეპიზოდი. მოკლედ, „ჯალოროსის" მოგება არ ეკუთვნოდა და ვერც მოიგო. რაც შეეხება „ინტერს", ვერც **ვალტერ მაცარის** გუნდმა გაიბრწყინა, მაგრამ შედეგით სწორედაც რომ სტუმრები დარჩნენ კმაყოფილნი.

მატჩის შემდეგ მაცარიმ და გარსიამ დაახლოებით იდენტური განცხადებები გააკეთეს - „ინტერის" მესაჭე ჯერ კიდევ უმიზნებს ჩემპიონთა ლიგის საგზურს, „რომას" დამრიგებელი კი სკუდეტოს ეპოტინება. ერთი ფაქტია - ამ თამაშით ვერც ერთი და ვერც მეორე სანუკვარ მიზნებს ვერ მიაღწევს.

### ტენდენციები

დაძაბულია ევროპალიგის საგზურისთვის ბრძოლა. ამ მხრივ, ტური ყველაზე წარმატებული „პარმასთვის" გამოდგა. ემილიელებმა „სასუოლო" დაამარცხეს, მათ კონკურენტებს კი ხელი მოეცარათ. „ინტერზე" იცით, „ტორინო" საკუთარ კედლებში „სამპდორიასთან" დამარცხდა, „ვერონამ" კი „ბოლონიას" ვერ სძლია. „პარმას" პროგრესი გრძელდება და ამ გადასახედიდან, ეს გუნდი უდავოდ იმსახურებს ევროსაგზურს. აი, „ტორინოს" და „ვერონას" კი არასტაბილურობა დასჩემდათ, რაც სატურნირო ცხრილზეც შესაბამისად აისახა.

მორიგი მარცხი იწვნიეს „სასუოლომ" და „კატანიამ" და თუ ამ გუნდებმა დროულად არ უშველეს თავს, სერია B-ში ამოყოფენ თავს. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაში „სასუოლოა", რომელმაც „მილანთან" ისტორიული გამარჯვების შემდეგ, ყველა მატჩი წააგო. როგორც ჩანს, მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ალბერტო მალეზანის** დანიშვნა შეცდომა იყო.

### პერსონები

„მილანის" გულშემატკივრებმა **ანდრეა პირლოს** ობსტრუქცია მოუწყვეს, რაც არ იყო მოსალოდნელი. ტიფოზები განსაკუთრებით მაშინ უსტვენდნენ, როდესაც ანდრეა კუთხურს აწოდებდა, ან საჯარიმო დარტყმას ასრულებდა. ამ თემაზე, ჟურნალისტებმა პირლოს კითხვა დაუსვეს და შემდეგი მოისმინეს: *„გულშემატკივართა ერთი ჯგუფი ჩემ წინააღმდეგ იყო განწყობილი, რაც ფეხბურთში ჩვეულებრივი ამბავია. არ ღირს ამ თემაზე დიდი აჟიოტაჟის ატეხვა".*

„რომა"-„ინტერის" შეხვედრაში ერთ ინციდენტს ჰქონდა ადგილი, რომელშიც **დანიელე დე როსი** და **მაურო იკარდი** მონაწილეობდნენ. დე როსიმ ახალგაზრდა მილანელს ხელი დაარტყა, რის გამოც **ჩეზარე პრანდელიმ** ეროვნული გუნდიდან მოკვეთა; ჩეზარეს სასჯელი ერთმატჩიანია და დანიელე ესპანეთთან ამხანაგურ პაექრობას გამოტოვებს.

„სასუოლოს" ფორვარდი **დომენიკო ბერარდი** 50 წამის შესული იყო მინდორზე, როდესაც არასპორტულად მოიქცა და წითელი ბარათი მიიღო! დე როსის მსგავსად, ბერარდიმაც მიიღო სასჯელი - ის იტალიის ახალგაზრდული ნაკრების სიიდან ამოიღეს.

„ნაპოლიმ" კიდევ ერთ შეხვედრაში დაკარგა ქულები, რაც დიდწილად, **პეპე რეინას** „დამსახურებაა". ნეაპოლელთა მეკარემ საკუთარი კარი დალაშქრა და „ლივორნოს" ქულა აჩუქა.




● იტალიის ნაკრები

# დე როსი ნაკრებიდან მოკვეთეს

## პრანდელის უფლებები ეზრდება?

5 მარტს, იტალიის ეროვნული ნაკრები ესპანეთის უმთავრეს გუნდს ამხანაგურად გაეჯიბრება, აღნიშნული შეხვედრა კი მადრიდში, „ვისენტე კალდერონზე" გაიმართება. **ჩეზარე პრანდელიმ** იმ ფეხბურთელთა სია დაასახელა, რომლებსაც მოახლოებულ პაექრობაში დაეყრდნობა.

**მეკარეები:** ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), სალვატორე სირიგუ (პსჟ, საფრანგეთი), მატია პერინი (ჯენოა).

**მცველები:** ანდრეა ბარცალი (იუვენტუსი), ლეონარდო ბონუჩი (იუვენტუსი), ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი), ინაციო აბატე (მილანი), მატია დე შილიო (მილანი), დავიდე ასტორი (კალიარი), დომენიკო კრიშიტო (ზენიტი, რუსეთი), კრისტიან მაჯო (ნაპოლი), გაბრიელ პალეტა (პარმა).

**ნახევარმცველი:** ანტონიო კანდრევა (ლაციო), ემანუელე ჯაკერინი (სანდერლენდი, ინგლისი), კლაუდიო მარკიზიო (იუვენტუსი), ანდრეა პირლო (იუვენტუსი), მარკო პაროლო (პარმა), რიკარდო მონტოლივო (მილანი), ტიაგო მოტა (პსჟ, საფრანგეთი), მარკო ვერატი (პსჟ, საფრანგეთი).

**თავდამსხმელები:** ალესიო ჩერჩი (ტორინო), ჩირო იმობილე (ტორინო), ალბერტო ჯილარდინო (ჯენოა), მატია დესტრო (რომა), ლორენცო ინსინიე (ნაპოლი), პაბლო დანიელ ოსვალდო (იუვენტუსი).

ჩეზარე პრანდელის მიერ შემადგენლობის დასახელებას რამდენიმე საინტერესო ფაქტი უსწრებდა წინ. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ მწვრთნელთან მოლაპარაკება წამოიწყო, რომლის მიხედვითაც პრანდელისთვის ახალი ხელშეკრულება უნდა გამზადდეს. დიახ, ახალი რეალობით სენიორ ჩეზარე სულაც არ ფიქრობს „აძურას" დატოვებს და ამჟამინდელ პოსტზე კიდევ დიდხანს აპირებს მუშაობას. ლაპარაკია ახალ, 4-წლიან ხელშეკრულებაზე, რომლის განმავლობაშიც პრანდელი გაზრდილი უფლებებით ისარგებლებს. ჩეზარე ახალგაზრდული გუნდების კურატორიც იქნება და იტალიის ყველა ასაკობრივი ნაკრები სწორედ ეროვნული გუნდის მწვრთნელის ტაქტიკა-სტრატეგიით იასპარეზებს. ეს პრაქტიკა რამდენიმე ქვეყანაშია დანერგილი და როგორც წესი, ამართლებს. მოლაპარაკება მიმდინარეობს და როგორც ამბობენ, შეთანხმების ალბათობა ძალიან მაღალია.

„სკუადრა აძურას" თავკაცმა **დანიელე დე როსი** დასაჯა და ერთი მატჩით ეროვნული გუნდიდან მოკვეთა. საქმე იმაშია, რომ „რომა"-„ინტერის" პაექრობაში დე როსიმ **მაურო იკარდის** ხელი უთავაზა.

### ცვლილებები

მეკარეთა ტრადიციული სამეულიდან **ფედერიკო მარკეტი** ამოვარდა, მისი ადგილი კი **მატია პერინმა** დაიკავა. დაცვაში **გაბრიელ პალეტაა** ახალი სახე, რომელიც არგენტინაშია დაბადებულ-გაზრდილი და ამ ქვეყნის ახალგაზრდულ გუნდშიც აქვს ნათამაშები. ნახევარდაცვაში **ალესანდრო დიამანტის** ვერ ვხედავთ, რომელსაც ჩინეთში გადაბარგება ალბათ „აძურას" დატოვებად დაუჯდება. არც **ალესანდრო ფლორენცისთვის** და **ალბერტო აკვილანისთვის** გამოიძებნა ადგილი - სამაგიეროდ, დაბრუნდა **მარკო ვერატი**, რომელმაც მყარად დაიმკვიდრა ადგილი პსჟ-ს ძირითად შემადგენლობაში.

თავდასხმაში ახალი სახე **ჩირო იმობილეა** „ტორინოდან", რომელიც „აძურას" თანაგუნდელთან, **ალესიო ჩერჩისთან** ერთად შეუერთდება. ტრადიციულად, პრანდელი **ალბერტო ჯილარდინოს** ენდობა. აი, **პაბლო ოსვალდომ** კი ალბათ **მარიო ბალოტელი** უნდა შეცვალოს. სუპერმარიო ტრავმირებულია, ისევე როგორც - **ჯუზეპე როსი**. მოკლედ, პრანდელის ის ორი თავდამსხმელი აკლია, რომლებსაც ბრაზილიურ მუნდიალზე ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობას უწინასწარმეტყველებენ.



ჩეზარე პრანდელიმ დანიელე დე როსი დასაჯა

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

**P.S.** დანიელე დე როსის სერია A-ში 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. ლიგის თასის ფინალი. გამოხმაურება



„მანჩესტერ სიტი“ ზეიმობს

# პირველი ინგლისური ბიგბული

ნოემბრის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ვიდრე იანვრის ბოლომდე, **მანუელ პელეგრინის** „მანჩესტერ სიტი“ ზღაპრულად თამაშობდა - მოიგო 20-დან 18 მატჩი და 2-ჯერ ითამაშა ფრედ. თებერვალში „ქალაქელებს“ მოულოდნელად ჩავარდნა დაეწყოთ: წააგეს პირველი საშინაო დაპირისპირება „ჩელსისთან“, უგოლოდ ითამაშეს „ნორვიჩთან“, მერე „ბარსელონასთან“ ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფის შეხვედრაშიც დამარცხდნენ და თანაც ისევ „ეტიჰადზე“.

„სიტის“ ზუსტად ამ ფონზე მოუწია ლიგის თასის ფინალმა, სადაც მისგან მთელი დუნია ულაპარაკოდ ითხოვდა მოგებას. პირველ ტაიმში უნიათო ასპარეზობის შემდეგ გუნდმა მეორეში დაამტკიცა, რომ ტრიუმფს ამ საღამოს მხოლოდ ის იმსახურებდა. ბუნებრივია, თამაშის შემდეგ ყველანი ძალიან ბედნიერები იყვნენ. ქვემოთ შემდგომ კომენტარებს გთავაზობთ.

მანუელ პელეგრინი: „პირველი ტაიმის შემდეგ გუნდი ვალდებული იყო, დაცვაში ყურადღებით ეთამაშა და სიმშვიდე შეენარჩუნებინა. მომეჩვენა, რომ ფეხბურთელებზე შარშანდელი ასოციაციის თასის ფინალში მარცხის ტვირთი მოქმედებდა, თუმცა, ამასთან, ბიჭებს ერთმანეთისადმი ნდობა მაინც არ დაუკარგავთ. კიდევ ერთი წარუმატებლობა ჩვენზე დამღუპველად იმოქმედებდა. არ მინდა, „სანდერლენდს“ დამსახურება დავუკარგო. გუს პოიეტის გუნდი შესანიშნავად გამოიყურებოდა და იმსახურებდა ფინალში თამაშის პატივს. სამომავლოდ წარმატება საკუთარი ძალების რწმენას გაგვიორმაგებს. „სიტი“ ერთადერთი ინგლისური გუნდია, ვისაც ყველა ფრონტზე რჩება წარმატების შანსი და როცა შანსი არსებობს, ესე იგი, ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ“.

**ვენსან კომპანი:** „დღეს საღამოს ვარ ძალიან ბედნიერი და ძალიან ამაყი. ტიტულს უპირველესად ჩვენს გულშემატკივარს ვუძღვნით, ვინც არნახული მხარდაჭერა გამოგვიცხადა. ისინი ამ წარმატების შემოქმედნი არიან. ჩვენს გუნდში არიან ფეხბურთელები, ვისთვისაც ეს პირველი ტიტულია „სიტიში“. შემიძლია თითოეული მათგანი დავარწმუნო, რომ ამაზე უკეთესი შეგრძნება ფეხბურთში არც არსებობს. ვიცოდით, რომ მძიმე თამაში გველოდა, რადგან ფინალამდე „სანდერლენდმა“ რთული გზა გამოიარა, დაამარცხა რა „ჩელსი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“.

**გუსტავო პოიეტი:** „ჩემი ფეხბურთელებით დღეს ძალიან ამაყი ვარ. ძალიან არ მინდოდა, მათგან უხეში შეცდომები, არასწორი გადაწყვეტილებები და მსგავსი რამეები მენახა და ეს ასეც მოხდა. გუნდმა ბოლომდე თავდადებით იბრძოლა, პირველი 45 წუთი კი საერთოდ უმაღლეს დონეზე ჩაატარა. როცა მეტოქეს ჰყავს იაია ტურე, რომელსაც 30 მეტრიდან შეუძლია ასეთი გოლების გატანა, გამოდის, რომ ორი მეკარე გჭირდება ამის ასაკვეთად. დღეს ყველაფერი „სიტის“ სათამაშო კლასმა გადაწყვიტა“.

**ლევან ბიბილაშვილი**

ჩელსი

# შიურლეს იდეალური დღე

„ჩელსის“ ჩემპიონატში მიმდინარე სეზონის სარეკორდო 13-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს. უქმეებზე **ჟოზე მოურინიოს** გუნდმა ლონდონურ დერბიში „ფულჰემს“ სტუმრად 3:1 მოუგო. ერთადერთი, რაშიც მასპინძლებმა მეტოქეს ტოლი არ დაუდეს, უბურთოდ მოძრაობა იყო, რაც **ფელიქს მაგათის** გუნდისგან გასაკვირი არ უნდა იყოს. გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო 23 წლის გერმანელმა გარემარბმა **ანდრე შიურლემ**, ვინც 16 წუთში 3 გოლი გაიტანა. აქამდე მას არათუ პრემიერლიგაში, ჰეთთრიკი ბუნდესლიგაშიც კი არ ჰქონდა შესრულებული (განსხვავებით გერმანიის ნაკრებისგან. 2013 წლის 15 ოქტომბერს შვედეთს მან ასევე სამჯერ გაუტანა). ტურის საუკეთესო ფეხბურთელმა მატჩის შემდგომ „ჩელსის“ ვებგვერდს მისცა მცირე ინტერვიუ.


„ფულჰემთან“ მატჩის ტრიუმფატორი ანდრე შიურლე

- მთავარია, რომ მოვიგეთ, რადგან სამი ქულა ჰაერივით გვჭირდებოდა. ჩემთვის ნამდვილად საუკეთესო დღე იყო. მიხარია, რომ გუნდმა სწორედ ჩემი გოლებით იმარჯვა. როცა პირველის შემდეგ მეორე გოლი სწრაფადვე გაქვს, კიდევ გინდება თავის გამოჩენა. ჩემს შემთხვევაშიც ზუსტად ეს მოხდა. შესვენებაზე მწვრთნელს არაფერი უთქვამს, მაგრამ რაც უნდა გაგვეკეთებინა, ეს თავადაც კარგად ვიცოდით. მეორე ტაიმში უფრო აგრესიულად ავთამაშდით, რამაც გამოიღო კიდეც შედეგი. ამასთან, ვერ გეტყვით, რომ ეს კომპონენტი პირველ ნახევარში გვაკლდა. უბრალოდ თამაში არ გამოგვდიოდა. წარმატება მთლიანად გუნდის დამსახურებაა. „ჩელსის“ ნამდვილად ჰყავს შემადგენლობა, რომელსაც იოლად შეუძლია წარუმატებლად მიმდინარე თამაშის შემოტრიალება. შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგის მძიმე მატჩის შემდეგ დაღლილობა გვეტყობოდა, თუმცა კლასის ხარჯზე მაინც ვიმარჯვეთ.

**ლევან ბიბილაშვილი**

შემთხვევა

# ოლიმპიაკოსის ფეხბურთელი სიკვდილს გადაურჩა


მაიკლ ოლაიტანი

კვირას „ოლიმპიაკოსი“-“პანათინაიკოსის“ შეხვედრის (0:3) 35-ე წუთზე პირეოსელთა 21 წლის ნიგერიელი თავდამსხმელი **მაიკლ ოლაიტანი** მინდორზე უგონოდ დაეცა, თანაც ისე, რომ არც არავინ შეხებია და არც ტრიბუნებიდან ნასროლი საგანი მოხვედრია. ექიმებმა ფეხბურთელი სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ის გონებაზე მალევე მოვიდა. ღამის განმავლობაში მაიკლის მდგომარეობა სტაბილური იყო, თუმცა საბოლოო დიაგნოზი ჯერ დასმული არ არის. დიდი ალბათობით, ინციდენტი გულის ბრალი უნდა იყოს.

**ლევან ბიბილაშვილი**



რეალი

# კასილიასს რეალიდან წასვლა არ უნდა


იკერ კასილიასი

**იკერ კასილიასმა** ძალიან გაახარა მადრიდის „რეალის" გულშემატკივრები. მისი თქმით, კლუბში დარჩენა სურს და სიამოვნებით ითამაშებდა „რეალში" ასე 40 წლის ასაკამდე. კარგად იცით, რომ **ჟოზე მოურინიოს** დაწყებულ საქმეს **კარლო ანჩელოტიც** აგრძელებს და კასილიასი, როგორც წესი, სათადარიგოთა სკამზეა, ხოლო ძირითადში **დიეგო ლოპესს** ვხედავთ. ამიტომაც, იკერის შესაძლო წასვლაზე საუბარი არ წყდება.

*„იღბალს დიდი მნიშვნელობა აქვს და ამას დამალვა არ უნდა. არ დაგვავიწყდეს, რომ ჩემი დებიუტი „ბილბაოსთან" შედგა და კარგად ვერ ვითამაშე, რის გამოც მეორე გუნდში დავბრუნდი. შემდეგ, ბოდო ილგნერმა ტრავმა მიიღო და ისევ პირველ გუნდში აღმოვჩნდი, რის მერეც საქმე კარგად წავიდა. ხანდახან ფეხბურთში ისეთი რაღაცები ხდება, რასაც არ ელი ან ვერ წარმოიდგენ, როგორც, მაგალითად, 2002 კორეა-იაპონიის მუნდიალზე იყო. რასაკვირველია, მე არ მსურდა, რომ თანაგუნდელს ტრავმა მიეღო, უბრალოდ, ასე გამოვიდა. ვაგრძელებ ძველებური შემართებით ვარჯიშს და მუდმივად თამაში მინდა, მაგრამ პატივს ვცემ თანაკლუბელებსა და მწვრთნელის გადაწყვეტილებას. ვფიქრობ, თამაშს 40 წლამდე შევძლებ, თანამედროვე რეალობაში თუ მეკარე თავს უვლის ამ ასაკამდე თავისუფლად შეუძლია ასპარეზობა. მინდა „რეალში" რაც შეიძლება დიდი ხანი ვიყო, მაგრამ ვიცი, რომ ადრე თუ გვიან წასვლა მომიწევს. როდესაც კონტრაქტი დამიმთავრდება, გადავხედავთ სიტუაციას და გადაწყვეტილებას მივიღებ. კარიერის დასრულებას ჯერ არ ვაპირებ, მაგრამ როდესაც ეს მოხდება, მინდა ისევ ფეხბურთში დავრჩე და დახმარება ვცადო, თუ ცხადია კლუბს დავჭირდები"* - თქვა 32 წლის კასილიასმა, რომელმაც **ვისენტე დელ ბოსკესაც** მადლობა გადაუხადა იტალიასთან ამხანაგური მატჩისთვის ნაკრებში გამოძახებისთვის.

კლასიკის მერე

# ბლანის კლასიკური სიხარული

„პარი სენ-ჟერმენმა", როგორც მოსალოდნელი, იყო „მარსელთან" „კლასიკი" მოიგო და მთავარი მწვრთნელი **ლორან ბლანი** ძალიან გაახარა. „მონაკოს" წაგების გათვალისწინებით, სხვაობა უკვე 8 ქულამდე გაიზარდა. ზოგის აზრით, ამან შეიძლება ერთგვარი „დათვური სამსახური" გაუწიოს პარიზელებს, რადგან ისინი შესაძლოა მოდუნდნენ და მერე ეს იგივე ჩემპიონთა ლიგაზე ძვირად დაუჯდეთ, მაგრამ ასე არ ფიქრობს თავად ბლანი.

სათქმელია ისიც, რომ „პარკ დე პრენსზე" შეხვედრას „რომას" ფეხბურთელები - **მეჰდი ბენატია** და **მირალემ პიანიჩი** ესწრებოდნენ. ასევე, საფრანგეთის ექსპრეზიდენტი **ნიკოლა სარკოზი**.

*„ვფიქრობ, რომ ძალიან კარგ სიტუაციაში ვიმყოფებით. ვინმემ შეიძლება თქვას, რომ ამხელა უპირატესობის ფონზე კონცენტრაციის პრობლემები გვექნება, მაგრამ იდეალური ვარიანტები არ არსებობს. საკმაოდ დიდი სხვაობით ვართ წინ და ეს ძალიან კარგია, საწუწუნო არაფერი გვაქვს"* - აღნიშნა დედაქალაქელთა მწვრთნელმა.

ბლანმა ასევე **ლუკასზე** ისაუბრა. ბრაზილიელმა შემტევმა კარგი მატჩი ჩაატარა, მაგრამ გოლის გატანა ვერ შეძლო. არადა, ერთ ეპიზოდში ისეთი გოლი გაჰქონდა, შედევრი იქნებოდა, მაგრამ მას ცოტა დააკლდა. ბლანის აზრით, ლუკასსაც ცოტა აკლია სრულყოფილებამდე. მუსიე ლორანი თვლის, რომ ეს ნორჩი ტალანტი დასახვეწია.

*„ლუკასს რომ გაეტანა, ამ გოლზე დიდხანს ილაპარაკებდნენ. მან კარგი მატჩი ჩაატარა, მაგრამ უნდა გაიაზროს, რომ შემტევი ფეხბურთელისთვის გოლების გატანა აუცილებელია, თუმცა იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, დიდ გუნდში თამაშობს და წესით, პროგრესი მალე უნდა განიცადოს"* - თქვას ბლანმა.

ძალიან გახარებული იყო **მარკო ვერატიც**. ბოლო დროს, იტალიელი ნახევარმცველის შესაძლო წასვლასა და კერძოდ, აპენინებზე დაბრუნებაზე ბევრს საუბრობენ, მაგრამ თავად ვერატის თქმით, იგი გუნდის გამოცვლას არ აპირებს. *„მე რომ ახლა „იუვენტუსში" გადავიდე, ეს უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება. ბავშვობაში ტურინული გუნდი მომწონდა, მაგრამ ამჟამად პსჟ-ში ყველაფრით კმაყოფილი ვარ და აქ დიდი ხნით დარჩენა მინდა. ეს ერთ-ერთი საუკეთესო პროექტია და უახლოეს წლებში ყველა ტიტულის მოგების შანსი გვექნება"* - განაცხადა ვერატიმ.


ლორან ბლანი გასახდელში გახარებული ჩავიდა

მწვრთნელები


ანტონიო კონტე ყურადღების ცენტრში

# კონტეს ოქროს სკამი

## სასუაოლომ დი ფრანჩესკო დააბრუნა

ტურინის „იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელი **ანტონიო კონტე** ზედიზედ მეორედ გახდა იტალიის წლის საუკეთესო სპეციალისტი. ცხადია, ამის მთავარი მიზეზი მის მიერ „ბებერ ქალბატონთან" ერთად მოგებული სკუდეტოა. სხვათა შორის, „ოქროს სკამის" გამარჯვებულს თავად იტალიაში მომუშავე ტაქტიკოსები ავლენენ და კონტემ სულ რაღაც 3 ხმით გაუსწრო ფლორენციის „ფიორენტინას" თავკაცს **ვინჩენცო მონტელას**. „აეროპლანინომ" 23 ხმა დააგროვა, ხოლო „კონტისიმემ" 26. საინტერესო იქნება მათი დუელი ევროპალიგაზეც. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სერია A-ში „ფიორენტინა" ერთადერთი გუნდია, რომელმაც „იუვე" დაამარცხა. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ მესამე ადგილზე „ინტერის" მწვრთნელი **ვალტერ მაცარი** გავიდა, გასულ სეზონში „ნაპოლისთან" ერთად ნაჩვენები შედეგების გამო.

*„ძალიან რთულია ჯილდოს ზედიზედ ორჯერ მოგება, მაგრამ კმაყოფილი და ბედნიერი ვარ, განსაკუთრებით იმიტომ, რომ საუკეთესოს მწვრთნელები არჩევენ, რომლებმაც ყველაზე უკეთ იციან, რა მსხვერპლზე გიწევს წასვლა ამ საქმისთვის, რამდენ დროს აკლებ ოჯახს კლუბისთვის... ამ ჯილდოს პირველ რიგში, სწორედ მათ ვუძღვნი, ასევე ჩემს ფეხბურთელებს და მთლიანად გუნდს"* - თქვა კონტემ.

„იუვენტუსის" დამრიგებელს იტალიის ნაკრებში წასვლის შესაძლებლობაზეც ჰკითხეს. თუმცა კონტემ უპასუხა, პოსტზე ვრჩები, ტყუილად იგონებთ რაღაცებსო. პარალელურად, ფედერაციის პრეზიდენტმა **ჯანკარლო აბეტემ** განაცხადა, რომ ძალიან გვინდა **ჩეზარე პრანდელი** მუნდიალის მერეც „სკუადრა აძურას" თავკაცად დარჩეს და იმედია, ასეც იქნებაო.

ვინჩენცო მონტელა: *„ბოლო წლებში კონტემ დაამტკიცა, რომ უძლიერესია. იგი საუკეთესოა და ეს ჯილდო დამსახურებულად მოიგო. მას, როგორც ინდივიდუალურ დონეზე ასევე გუნდურად, ყველაზე კარგი კლუბი ჰყავს. ნებისმიერს სურს „იუვენტუსს" შეედაროს და დაემსგავსოს. ვფიქრობ, ევროპალიგაზე ძალიან სანახაობრივი და კარგი მატჩები გამოვა, სასიამოვნო იქნება ქვეყნის უძლიერესი გუნდის დამარცხებას თუ შევძლებთ"*.

აქვე აღვნიშნოთ, რომ სერია B-ს 2013 წლის საუკეთესო მწვრთნელად **ეუსებიო დი ფრანჩესკო** დასახელდა. წესით, „სასუოლოს" ყოფილი მწვრთნელითქო უნდა დამეწერა, მაგრამ გუშინ იგი პოსტზე დააბრუნეს, რაც ცოტა მოულოდნელი იყო. ასე რომ, **ალბერტო მალეზანის** „სასუოლოში" ყოფნამ სულ ცოტა ხანი გასტანა. ახლა კი გუნდის გადარჩენა ისევ დი ფრანჩესკოს დაევალა. შეგახსენებთ, რომ „ნეროვერდის" ჩემპიონატში ბოლო 12 მატჩიდან 11 წაგებული აქვს, დი ფრანჩესკო კი 6 კვირის წინ დაითხოვეს.




ამბები

### ვერტონგენი და ეშლი კოული ლივერპულში?

„ლივერპული" ზაფხულში **იან ვერტონგენით** გაძლიერებას აპირებს. ბელგიელი არ მალავს, რომ სეზონის ბოლოს შესაძლოა „ტოტენჰემიდან" წავიდეს, რადგან ჩემპიონთა ლიგაზე თამაში სურს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მერსისაიდელები ლიგის საგზურს ნამდვილად მოიპოვებენ, ხოლო ლონდონელებისა რა გითხრათ... ვერტონგენის გარდა, ლივერპულელთა მწვრთნელს **ბრენდან როჯერსს ეშლი კოულის** ხელში ჩაგდებაც გადაუწყვეტია, რომელიც ზაფხულში სულაც თავისუფალი აგენტი გახდება, თუ „ჩელსი" ვეტერანს ახალ კონტრაქტს არ გაუფორმებს.

### ვენგერმა გრიზმანი დაადასტურა

ლონდონის „არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა **არსენ ვენგერმა** ოფიციალურად დაადასტურა, რომ „მეთოფეები" „სოსიედადის" 22 წლის ფრანგი თავდამსხმელით **ანტუან გრიზმანით** არის დაინტერესებულნი. თუმცა ახალგაზრდა შემტევს სხვა სერიოზული მსურველებიც ჰყავს - „რეალი", „იუვენტუსი" და პსჟ.

*„დიახ, გრიზმანი გვაინტერესებს. იგი სხვების ყურადღებასაც იქცევს, მაგრამ ჩვენ დიდი ხანია ვაკვირდებით მას"* - თქვა ვენგერმა.

გვერდი მოამზადა
**გიორგი კაკაბაძემ**

ცურვა

# საქართველო ოლიმპიკში

თბილისის, რუსთავის, საჩხერის, ჭიათურის, ბათუმისა და გორის 130-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა მოცურავეთა საქართველოს ზამთრის ჩემპიონატში, რომელსაც „ოლიმპიკის" აუზმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში დედაქალაქიდან საცურაო აუზების — „ტონუსის", „ლაგუნა ვერეს", „გლდანის", „ოლიმპიკის", „დილმის", „ვაკისა" და „არენა-2"-ის სპორტსმენები იბრძოდნენ საპრიზო ადგილებისთვის. სამდღიანი ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკზე ავიდნენ:

**ქალები. ბატერფლაი. 50 მ.** 1. რუსუდან გოგინაშვილი (რუსთავი, 31,84), 2. ელენე ბერაია („გლდანი", 33,40), 3. მარიამ ზუბიაშვილი (საჩხერე, 34,06); **100 მ.** 1. რუსუდან გოგინაშვილი (რუსთავი, 1.28,86), 2. მარიამ ზუბიაშვილი (საჩხერე, 1.18,13), 3. ლიკა ჭიხორია (რუსთავი, 1.22,59); **გულაღმა. 50 მ.** 1. მარიამ წერეთელი („ტონუსი", 34,84), 2. ოქსანა ბელოვა (რუსთავი, 36,19), 3. კესო ბარკალაია („გლდანი", 36,22); **100 მ.** 1. მარიამ წერეთელი („ტონუსი", 1.15,92), 2. კესო ბარკალაია („გლდანი", 1.19,61), 3. ოქსანა ბელოვა (რუსთავი, 1.19,93); **200 მ.** 1. მარიამ წერეთელი („ტონუსი", 2.45,85), 2. ლიკა ჭიხორია (2.50,29), 3. თამარ მეგრელიძე (ორივე-რუსთავი, 3.01,04); **ბრასი. 50 მ.** 1. რუსუდან გოგინაშვილი (რუსთავი, 37,10), 2. მარიამ ზუბიაშვილი (საჩხერე, 38,84), 3. მარიამ კალანდაძე („ტონუსი", 38,88); **100 მ.** 1. რუსუდან გოგინაშვილი (რუსთავი, 1.22,65), 2. მარიამ ზუბიაშვილი (საჩხერე, 1.25,48), 3. მარიამ კალანდაძე („ტონუსი", 1.26,59); **200 მ.** 1. რუსუდან გოგინაშვილი (რუსთავი, 2.54,80), 2. მარიამ ზუბიაშვილი (საჩხერე, 3.03,67), 3. მარიამ კალანდაძე („ტონუსი", 3.07,09); **თავისუფალი ყაიდა. 50 მ.** 1. მერი მუმლაძე („ტონუსი", 29,52), 2. ელენე ბერაია („გლდანი", 29,94), 3. ოქსანა ბელოვა (რუსთავი, 31,59); **100 მ.** 1. მერი მუმლაძე („ტონუსი", 1.05,35), 2. ელენე ბერაია („გლდანი", 1.06,62), 3. თინათინ გიგაური („გლდანი", 1.11,65); **200 მ.** 1. მერი მუმლაძე („ტონუსი", 2.28,42), 2. თეონა ბოსტაშვილი (რუსთავი, 2.29,59), 3. მარიამ პაპაშვილი („ოლიმპიკი", 2.41,44); **კომპლექსი. 200 მ.** 1. რუსუდან გოგინაშვილი (2.40,59), 2. ლიკა ჭიხორია (ორივე-რუსთავი, 2.49,28), 3. მარიამ ზუბიაშვილი (საჩხერე, 2.51,00); **400 მ.** 1. რუსუდან გოგინაშვილი (5.43,65), 2. ლიკა ჭიხორია (ორივე-რუსთავი, 5.57,18), 3. მარიამ ზუბიაშვილი (საჩხერე, 6.08,31). **4X50 მ. თავისუფალი.** 1. რუსთავი (2.07,47), 2. „გლდანი" (2.08,26), 3. საჩხერე (2.16,41); **4X100 მ. კომბინირებული.** 1. „ტონუსი" (5.08,62), 2. რუსთავი (5.11,86), 3. „გლდანი" (5.23,38).

**ვაჟები. ბატერფლაი, 50 მ.** 1. თეიმურაზ კობახიძე (26,73), 2. გიორგი ბიგანიშვილი (ორივე-„ლაგუნა-ვერე", 27,22), 3. დავით შახნაზაროვი („ტონუსი", 27,29); **100 მ.** 1. აკაკი ვაშაკიძე (რუსთავი, 57,49), 2. ირაკლი კვარაცხელია („ტონუსი", 1.05,51), 3. დავით მურჯიკნელი („გლდანი", 1.06,19); **200 მ.** 1. აკაკი ვაშაკიძე (2.08,00), 2. ლუკა პატარაია (ორივე-რუსთავი, 2.34,90), 3. ბაჩანა ტყემალაძე (ჭიათურა, 2.46,59); **გულაღმა. 50 მ.** 1. აკაკი ვაშაკიძე (რუსთავი, 28,53), 2. ზურაბ ხაბაზი („გლდანი", 31,17), 3. ნიკოლოზ შუშიაშვილი („ივერია", 31,19); **100 მ.** 1. ილია ნიკლაური („ოლიმპიკი", 1.08,30), 2. ნიკიტა გიორგაძე („ლაგუნა-ვერე", 1.09,67), 3. გიორგი ხვედელიძე („ტონუსი", 1.11,40); **200 მ.** 1. ილია ნიკლაური („ოლიმპიკი", 2.28,39), 2. გიორგი ხვედელიძე („ტონუსი", 2.31,96), 3. გიორგი სამარლანიშვილი („გლდანი", 2.39,56); **ბრასი. 50 მ.** 1. თეიმურაზ კობახიძე („ლაგუნა-ვერე", 31,80), 2. დავით ბოკერია (32,28), 3. ვასილ ხიზანიშვილი (ორივე-„ტონუსი", 32,32); **100 მ.** 1. ვასილ ხიზანიშვილი (1.09,80), 2. დავით ბოკერია (ორივე-„ტონუსი", 1.11,67), 3. ლევან ბახტურიძე (საჩხერე, 1.15,05); **200 მ.** 1. ვასილ ხიზანიშვილი („ტონუსი, 2.30,85), 2. ლევან ბახტურიძე (2.45,61), 3. ნიკოლოზ კაციტაძე (ორივე-საჩხერე, 2.53,00); **თავისუფალი. 50 მ.** 1. დავით შახნაზაროვი („ტონუსი", 24,79), 2. თეიმურაზ კობახიძე (25,20), 3. გიორგი ბიგანიშვილი (ორივე-„ლაგუნა-ვერე", 25,40); **100 მ.** 1. დავით შახნაზაროვი („ტონუსი, 55,69), 2. გიორგი ბიგანიშვილი („ლაგუნა-ვერე", 56,46), 3. ჯუდერ ბიჭიკაშვილი (რუსთავი, 56,78); **200 მ.** 1. ირაკლი რევიშვილი („ტონუსი", 1.55,22), 2. ცოტნე მაისურაძე (2.07,57), 3. ნიკოლოზ ყაულაშვილი (ორივე-რუსთავი, 2.08,95); **400 მ.** 1. ირაკლი რევიშვილი („ტონუსი, 4.04,22), 2. აკაკი ვაშაკიძე (რუსთავი, 4.18,59), 3. თეიმურაზ კობახიძე („ლაგუნა-ვერე", 4.21,00); **1500 მ.** 1. ირაკლი რევიშვილი („ტონუსი", 18.16,40), 2. ცოტნე მაისურაძე (რუსთავი, 18.21,49), 3. ოთარ ივანაშვილი (საჩხერე, 20.53,15); **კომპლექსი. 200 მ.** 1. თეიმურაზ კობახიძე („ლაგუნა-ვერე", 2.21,81), 2. ირაკლი კვარაცხელია (2.26,13), 3. დავით ბოკერია (ორივე-„ტონუსი", 2.31,03); **400 მ.** 1. ვასილ ხიზანიშვილი (5.09,37), 2. ირაკლი კვარაცხელია (ორივე-„ტონუსი", 5.14,34), 3. ნიკოლოზ ყაულაშვილი (რუსთავი, 5.16,37); **თავისუფალი. 4X50 მ.** 1. „ტონუსი" (1.44,21), 2. რუსთავი (1.44,35), 3. „გლდანი" (1.44,75); **4X100 მ.** 1. რუსთავი (3.49,97), 2. „ტონუსი" (3.50,69), 3. „დილომი" (4.17,05); **კომბინირებული. 4X100 მ.** 1. „ტონუსი" (4.20,13), 2. რუსთავი (4.26,00), 3. „გლდანი" (4.39,27).



**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი



ანა ტატიშვილი

## სად ვართ, სად ვითამაშებთ...

წინა კვირას შედეგების გათვალისწინებით ქალთა საჩოგბურთო ასოციაციამ (WTA) განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. საქართველოს ქალთა ჩოგბურთის ლიდერი **ანა ტატიშვილი** 3 საფეხურით დაწინაურდა და ახლა 554 ქულით 111-ე საფეხურზე იმყოფება. დანარჩენ ჩვენებურთა მაჩვენებლები ასეთია: 224 (207). **სოფიო შაფათავა** (263 ქულა), 316 (313). **ოქსანა კალაშნიკოვა** (143), 396 (400). **ეკატერინე გორგოძე** (102), 449 (453). **მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი** (81), 747 (763). **სოფიო ქვაცაბაია** (26), 1185 (1186). **მარიამ ბოლქვაძე** (5), 1233 (1236). **თამარ ჭალაგანიძე** (3).

წყვილებში. 50 (50). კალაშნიკოვა (1677), 71 (75). ტატიშვილი (1175), 160 (165). შაფათავა (415), 452 (457). გორგოძე (103), 525 (567). ქვაცაბაია (84), 772 (772). ჩახნაშვილი-რანცინგერი (33), 1249 (1252). ჭალაგანიძე (5), 1299 (1300). ბოლქვაძე (3).

**ანა ტატიშვილი** ამჟამად ამერიკაში იმყოფება ინდიან ველსის საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 5.946.740 დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეში ჩაებმება. პირველ წრეში ავსტრალიელ კეისი დელაკუას დაუპირისპირდება.

ანტალიაში ახალ 10.000-იან ტურნირში ჩაებმებიან წინა შეჯიბრების გამარჯვებული სოფიო ქვაცაბაია და მეორე პრიზიორი **ეკატერინე გორგოძე**. ეს უკანასკნელი პირველ ნომრადაა განთესილი და სტარტზე კვალიფიკაციიდან აღზევებულ ნორა ენგელმანთან (გერმანია) გაარკვევს ურთიერთობას, ქვაცაბაია კი პირველ წრეში იაპონელ იუმი ნაკანოს გაუწევს მეტოქეობას. წყვილებში ჩვენებურები ისევ ერთად მოსინჯავენ ძალებს. ისინი ასპარეზობის მესამე ნომრები არიან და გზიდან სუსანე გელიკისა (შვედეთი) და დოლენა კირპოტის (უკრაინა) ჩამოშორებას შეეცდებიან.

ასტანის 10.000-იანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში ჩაება **ბაბილინა მაჩაიძე** და პირველსავე წრეში რუს იანა პერშინასთან დამარცხდა - 3:6, 1:6.

ამერიკული გეინსვილის 10.000-იანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპის სტარტზე იყოჩაღა თამარ ჭალაგანიძემ – იტალიელ ფლავია პორუს აჯობა - 3:6, 6:4, 6:3 და მეორე წრეში მასპინძელ ერიკა ოოსტერჰუტს შეხვდება.

ყაზახეთში იმყოფება სამი ჩოგბურთელი ვაჟიც. 10.00-იანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში პირველი წრეც ვერ გადალახა **გიორგი ცივაძემ** — ბელარუს ანტონ დუბროვთან დამარცხდა - 6:4, 1:6, 3:6. ამის მიუხედავად, იღბლიანი წაგებულის სტატუსით მაინც მოხვდა ძირითად ბადეში, სადაც ბელარუს იარასლაუ შილასთან გაარკვევს ურთიერთობას. **ალექსანდრე მეტრეველი** კირილ დმიტრიევს (რუსეთი), ხოლო **გიორგი ჯავახიშვილი** ალექსანდრ დავიდს (საფრანგეთი) ეთამაშება. წყვილებში ჩვენებურები სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან არიან შეამხანაგებული. პირველ წრეში წინა ტურნირის ფინალისტები - მეტრეველი და დენის ევსეევი (ყაზახეთი) ჯავახიშვილისა და ფიოდორ ჩერვიაკოვის (რუსეთი) დუეტს დაუპირისპირდებიან, ხოლო ცივაძესა და შომიგმატიონ შოფაზიევს (უზბეკეთი) მესამე ნომერ კირილ დმიტრიევთან (რუსეთი) და ტიმურ ხაბიბულინთან (ყაზახეთი) პაექრობა ელით.

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) რეიტინგით ქართველთა საკლასიფიკაციო მდგომარეობა ასეთია: 310 (321). ნიკოლოზ ბასილაშვილ (145 ქულა), 940 (941). ალექსანდრე მეტრეველი (13), 1)441 (1439). გიორგი ჯავახიშვილი (3), 1654 (1648). გიორგი ცივაძე (2), 2110) 210). მიხეილ ხმიადაშვილი (1).

**ვაჟა დანელია**

საქართველოს ოლიმპიელთა კლუბი

# ოლიმპიელთა სტუმრობა მომავალ ოლიმპიელებთან

## როგორ ჩაიჭრა მაია აზარაშვილი რბენაში

**28 თებერვალს თბილისის 115-ე საჯარო სკოლას (დირექტორი მარგალიტა ჭინჭარაული) საპატიო სტუმრები ჰყავდა – სახელოვან სპორტსმენთა დიდი ჯგუფი. შეხვედრის ინიციატორი საქართველოს ოლიმპიელთა კლუბი იყო, რომელმაც ეს სკოლა ერთი მიზეზით აარჩია – მათ გაიმარჯვეს საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ ორგანიზებულ მინიფეხბურთის სასკოლო ლიგის გათამაშებაში, რომლის ფინალსაც აღნიშნულმა სკოლამ უმასპინძლა.**

სკოლის ვრცელი სააქტო დარბაზი პირთამდე გადაიჭედა... დასაწყისში მოსწავლეებმა სტუმრებს საკუთარი ძალებით მომზადებული საკონცერტო პროგრამა შესთავაზეს, მერე კი ოლიმპიადის ისტორია წარმოადგინეს – დასაბამიდან დღემდე. გაიხსენეს ვანკუვერის ოლიმპიადაზე ტრაგიკულად დაღუპული ნოდარ ქუმარიტაშვილი და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მის ხსოვნას...

ხელცარიელნი არც ვეტერანები მისულან და დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში პატარებს ემოციური წუთები აჩუქეს. კახიაშვილმა იქვე, დარბაზში, უბრალო ხის ჯოხისა და წყლის ბოთლების დახმარებით სახელდახელოდ გააკეთა შტანგა და მოუწოდა, თუ დარბაზში სიარულის დრო ან ინვენტარის შეძენის საშუალება არ გაქვთ, სახლში დაამზადეთ ასეთი მარტივი მოწყობილობა და ივარჯიშეთო. უკლებლივ ყველა სტუმარმა მოუწოდა ბავშვებს ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სპორტში აქტიურად ჩართვისკენ. თან დასძინეს, რომ სპორტი ერთ-ერთი გზაა, გახდნენ საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები.



ფინალზე ოლიმპიური კლუბის ხელმძღვანელობაც იყო მიწვეული და სწორედ მაშინ გამოთქვა სურვილი ამ კლუბის დამაარსებელმა, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **კახი კახიაშვილმა**, სწვეოდა გამარჯვებულ სკოლას და გაემართა შეხვედრა მოსწავლეებთან. ის ფინალი მასპინძლებმა – 115-ე სკოლის გუნდმა მოიგო და კლუბის სტუმრობაც ასე დაიგეგმა.

ოლიმპიური კლუბი ჯანსაღის ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და სპორტის პოპულარიზაციის მიზნით უკვე სისტემატურად ატარებს ანალოგიურ შეხვედრებს საჯარო სკოლებში. ისინი თბილისის საზღვრებსაც გასცდნენ და დედაქალაქთან ერთად რეგიონებიც მოიცვეს, შეხვედრებზე კი თან დაჰყავთ ცნობილი ვეტერანი სპორტსმენები. ვინაიდან სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციაც (მისი პრეზიდენტი **გია ბეგიაშვილი** 115-ე სკოლის სპორტის პედაგოგია) იმავე მიზნებს ემსახურება, რასაც - ოლიმპიელთა კლუბი, საერთო ინტერესებიც იოლად მოიძებნა და თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმიც გააფორმეს ერთმანეთში. ზემოაღნიშნული შეხვედრა ამ თანამშრომლობის ფარგლებშიც მოეწყო და სკოლას საპატიო სტუმართა მოზრდილი დელეგაცია ეწვია: ოლიმპიური ჩემპიონები, ძიუდოისტი **შოთა ხაბარელი**, ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე **ვახტანგ ბლაგიძე**, ფრენბურთელი **ვაჟა კაჭარავა**, ძალოსანი **კახი კახიაშვილი**, ოლიმპიური პრიზიორი მძლეოსნობაში **მაია აზარაშვილი**, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში **გურამ სალარაძე**, ევროპის ორგზის ჩემპიონი ძიუდოში, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **ნესტორ ხერგიანი**, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი **ელგუჯა ბერიშვილი**...

ასეთი დელეგაციის სტუმრობამ მოსწავლეთა დიდი ინტერესიც გამოიწვია და

აზარაშვილმა ამ სკოლასთან დაკავშირებული ერთი ეპიზოდი გაიხსენა, როგორ გახდა ეს ოლიმპიური პრიზიორი ქალი რბენაში... სამოსანი. მოგეხსენებათ, ის მოსწავლეობისას გლდანში, მაშინდელ სკოლა-ინტერნატში სწავლობდა, 115-ე სკოლიდან სულ რამდენიმე მეტრის დაშორებით. ერთხელაც ინტერნატში რემონტი წამოუწყიათ, ბავშვები კი ჩვეულებრივ სკოლებში გადაუნაწილებიათ. აზარაშვილი 115-ში მოხვედრილა, სადაც მისთვის ნორმატივების ჩაბარება მოუთხოვიათ. თანაც – ჩვეულებრივ ასფალტიან საფარზე, რაც პროფესიონალისთვის საფრთხეს შეიცავდა. არადა, ნორმატივის გარეშე ფიზკულტურაში ნიშანს არ უწერდნენ, იმ საღამოს აზარაშვილს საქართველოს ჩემპიონატში უნდა ესასპარეზა. ორ წყალს შუა ჩავარდნილი მომავალი ოლიმპიური პრიზიორი გასულა სკოლის ასფალტზე და თავი დიდად არ მოუკლავს – მხოლოდ ნორმატივის ჩასაბარებლად ირბინა და არა – შედეგზე, რის გამოც ფიზკულტურაში 3-იანი დაუწერეს. სამაგიეროდ, საღამოს საქართველოს პირველობაზე იქროლა ქარივით და ჩემპიონიც გახდა, მაგრამ ის 3-იანი დღემდე ახსოვს, თუმცა ახლა იუმორით იხსენებს ამ ამბავს.

დარბაზი გასუსული უსმენდა კაჭარავას საუბარს, რომელიც ბავშვებთან ოლიმპიური ოქროთი მივიდა და მათ ნება მისცა, შეხვედრის დასრულების შემდეგ ხელითაც შეხებოდნენ, ახლოს ენახათ ეს ჯილდო. მანამ

მე-11 გვერდზე »

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-10 გვერდიდან

მედლის უკანა ფასადის ისტორიაც გააცნო, სადაც გამოსახულია სცენა, როგორ გაჰყავს ორ კაცს მხრებზე შესმული მამაკაცი ხალხის ბრბოში. მან განმარტა, რომ ესაა ანტიკური ეპოქის ბერძენი ოლიმპიური ჩემპიონი დიაგორი, რომლის შვილებიც – ორი ვაჟი ასევე ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ. გამარჯვების შემდეგ მადლიერი შვილები დარბაზში საქომაგოდ მისული მამისკენ გაემართნენ, მხრებზე შეისვეს ის და ალტაცებულ ქომაგთა გარემოცვაში გაიყვანეს გარეთ. მედალზეც სწორედ ეს სცენაა ასახული, რომელიც 1928-68 წლებში გამოსულ ყველა საჩემპიონო მედალს ამშვენებდა, მერე კი შეცვალეს.

მოგვიანებით ვიქტორინა გაიმართა - ბავშვებმა ოლიმპიურ თემატიკაზე დასმულ შეკითხვებს უპასუხეს, ჯილდოდ კი სეოკ-ის მიერ გამოცემული წიგნები მიიღეს. ცხადია, მათთვის სასურველ ვეტერანთა ავტოგრაფით.

სპორტსმენებთან კითხვების დასმის საშუალება ბავშვებსაც მიეცათ, რა დროსაც, პირდაპირ ვიტყვით, გაგვაკვირვეს კითხვებით. ბუნებრივია, იყო „ყოფითი" კითხვებიც, მაგალითად, გაგიჭირდათ თუ არა ოლიმპიადაზე გამარჯვება; ძნელია თუ არა წარმატების მოპოვება და ასე შემდეგ. ერთმა მოსწავლემ აზარაშვილს ჰკითხა, ახსოვდა თუ არა პირველი გამარჯვება. აღმოჩნდა, რომ მას ყველა დეტალი ახსოვდა, რაც დიდმა სპორტსმენმა ჩვეული გულწრფელობით გაიხსენა და დარბაზიც გაამხიარულა. *„პირველი ოქრო 11 წლისამ მოვიპოვე, როცა საქართველოს ჩემპიონი გავხდი, ჯილდოდ კი 43 ზომა ბუცები მივიღე. თუმცა უბედნიერესი ვიყავი ჩემი საჩუქრით, დედაჩემმა კი მთელი სამეზობლო შემოიარა და ყველას უჩვენებდა ამ საჩუქარს"* - განაცხადა აზარაშვილმა.

თუმცა ასეთთა გვერდით იყო ბევრად სიღრმისეული კითხვებიც – ისეთი, რომლითაც, წესით, უფროსები უნდა ინტერესდებოდნენ და არა ბავშვები. მაგალითად, ერთმა გოგონამ ჰკითხა ვეტერანებს, გამართლებულად მიაჩნდათ თუ არა სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა და იქვე დასძინა, რომ თვითონ არ მიესალმებოდა ამას. მეორე მოსწავლემ ყურადღება გაამახვილა საკუთარი სკოლის გასაჭირზე, რომელსაც არ აქვს სპორტული დარბაზი (არადა, სკოლაში 1600-მდე ბავშვი სწავლობს), მესამემ კი იკითხა, ქვეყანაში რატომ არ არსებობს უფასო სპორტული სექციებიო და დაამატა, მინდა სპორტზე სიარული, მაგრამ ფინანსურად საშუალება არ მაქვსო. ბუნებრივია, ეს კითხვები მათ ბევრ თანატოლს აწუხებს, მაგრამ სტუმრები კონკრეტულ პასუხს ვერ გასცემდნენ. კახიაშვილმა მხოლოდ ის თქვა, რომ ამგვარ პრობლემებზე სისტემატურად მუშაობენ საპარლამენტო კომიტეტთან და ცდილობენ მათ მოგვარებას... კონკრეტული პასუხი მხოლოდ სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის თემას გასცა ვახტანგ ბლაგიძემ. *„ლოს-ანჯელესის თამაშებისთვის მთელი ოთხი წელიწადი ვემზადებოდი და როცა იქ გამოსვლის უფლება არ მოგვცეს, ამით ხომ დავზარალდი? რას ვერჩით სპორტსმენებს?"* - იკითხა მან. სტუმართა საერთო აზრიც ის იყო, რომ უნდა გამოვსულიყავით.

შეხვედრის დასასრული (თუმცა ბოლო ნაბიჯი ეზოში ხეების დარგვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა სახელზე, მათ შორის კი ამ სკოლის 5 აღზრდილია) კიდევ უფრო ემოციური იყო – ბოლო არ უჩანდა ავტოგრაფებს, ფოტოებს... განსაკუთრებით ბევრი ავტოგრაფი კაჭარავამ და აზარაშვილმა დაარიგეს, იქით მოჭიდავე ბიჭი გურამ სალარაძეს სთხოვდა სურათის გადაღებას, აქეთ სხვები ხერგიანსა და კახიაშვილს შემოხვეოდნენ... ვფიქრობ, ამ აჟიოტაჟის შემხედვარე, სავსებით მართებულად ბრძანა მაია აზარაშვილმა, მჯერა, დღეს ჩვენ რამდენიმე ბავშვის ცხოვრება მნიშვნელოვნად შევცვალეთო.

ცხოვრების სასიკეთოდ შეცვლა კი მასპინძლებისთვის ახალი არაა - 2011 წელს, მაშინდელი სასკოლო კლუბ „მორკინალის" (მასაც გია ბეგიაშვილი ედგა სათავეში) ორგანიზებულ ფრენბურთელთა ტურნირში ერთი მოსწავლე შეამჩნიეს, რომელიც არც სპორტული ცხოვრების წესით გამოირჩეოდა და არც – დისციპლინით, მაგრამ დღეს უკვე ეროვნული ნაკრების კანდიდატია.

**ირაკლი თავაძე**

● თანამედროვე ხუთჭიდი. მსოფლიო თასი ქალთა შორის



ვარვარა ივანოვა

# დაუსრულებელი ფინალი

## ასპარეზობა პროგრამის სამი სახეობის შემდეგ შეწყდა

იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება, როცა მაღალი დონის სპორტული ასპარეზობა მიზეზთა გამო დაუსრულებელი რჩება. ასეთი ბედი ეწია ქალთა შორის მსოფლიო თასის ფინალს თანამედროვე ხუთჭიდში, რომელსაც ქ. აკაპულკო (მექსიკა) მასპინძლობდა.

საქმე ისაა, რომ ორგანიზატორებმა ვერ შეძლეს შესაბამისად მომზადებული ცხენების რაოდენობით მონაწილეთა უზრუნველყოფა, რის გამოც ხშირი იყო მოასპარეზეთა ცხენიდან ჩამოვარდნა დაბრკოლებათა გადალახვისას და ბევრ სპორტსმენს დაეწერა ნულოვანი შეფასება.

36 ქალთა მონაწილეს შორის სტარტზე გამოვიდა საქართველოს წარმომადგენელი **ვარვარა ივანოვა.** შეგახსენებთ, რომ ქართული სპორტის ისტორიაში, ჩვენი სპორტსმენი პირველად ასპარეზობდა თანამედროვე ხუთჭიდში მსოფლიო თასის ფინალში და არცთუ ურიგოდ.

ივანოვამ საკმაოდ კარგად დაიწყო გამოსვლა. ფარიკაობაში მან მოიგო 18 ორთაბრძოლა და დაიკავა მე-14 ადგილი. თუმცა ცურვის შემდეგ ჩვენი სპორტსმენი მე-19 ადგილამდე დაქვეითდა. საცხენოსნო კონკურის დროს დრამატულად განვითარებული მოვლენების ფონზეც კი, ჩვენმა თანამედროვე ხუთჭიდელმა შეძლო დისტანციის დასრულება და პროგრამის სამი სახეობის შედეგით უკვე მე-6 ადგილზე გადაინაცვლა, მაგრამ ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, მოგვიანებით კონკურის შედეგები გააუქმეს და შეჯიბრება დაუსრულებელი დარჩა.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**

● ნარდი

# ტყიბულელთა წარმატება სტამბოლში

20 ქვეყნის 400-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა მონარდეთა სტამბოლის მე-6 დიდ საერთაშორისო ტურნირში. მთავარი ჯილდოების მაძიებელთა შორის 10 ქართველიც (ასოციაციის პრეზიდენტი **თემურ ქურციკიძე**) იყო. ჩვენი ქვეყნის ნარგზავნილებს ურიგოდ არ უასპარეზიათ. განსაკუთრებით კონსულტაციებით წყვილთა თამაშში გამოიჩინეს თავი ტყიბულელებმა - **რომან გვენეტაძემ** და **გოჩა ჭოხონელიძემ.** ამ დისციპლინაში 128 დუეტი ცდიდა ძალებს. ოლიმპიური სისტემით გამართულ პაექრობაში ქართველებმა რვა წრე განვლეს. ნახევარფინალში ირანელთა ტანდემს 7:4 მოუგეს, ფინალში კი მოსკოველი ქართველების - **ვალერი ნარსიას** და **ნოდარ გაგუას** მძლეველ თურქებს აჯობეს 7:5 და პირველი ადგილი დაიკავეს, რაც ქართული ნარდის ისტორიაში თვალსაჩინო მიღწევაა.

**ვაჟა დანელია**



რომან გვენეტაძე (მარცხნივ) და გოჩა ჭოხონელიძე

# გაზეთი მემატიანე

## დრო, მოვლენები და ფაქტები

პუბლიკაციები ეძღვნება გაზეთ „ლელოსა" და ქართული სპორტის თანაცხოვრების 80 წლის საიუბილეო თარიღს

### საქართველო უპირველეს ყოვლისა

*დასაწყისი „ლელო" № 16-19, 21-23, 38-39.*

1970 და 1980-იანი წლების პირველ ნახევარში იგრძნობოდა, რომ საქართველოს პარტიულმა ლიდერებმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში დროულად და სხვებზე უკეთ აუღეს ალღო ორგანიზაციული სიახლეების ძიებას, რასაც ზედმიწევნით კარგად უხამებდნენ პარტიის სახელმწიფო სოციალურ პროგრამას. მოკავშირე რესპუბლიკებიდანაც კი ჩამოდიოდნენ ნოვატორობით ადრევე გამორჩეულ ჩვენს რესპუბლიკაში გამოცდილების გასაზიარებლად. და ეს არ იყო შემთხვევითი. ტრადიცია გრძელდებოდა. ჯერ კიდევ ხომ 1930-იან წლებში მთელ საბჭოეთში პირველად ჩვენთან შეიქმნა ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლები განათლების სისტემაში, გაიხსნა პირველი სპორტული სკოლა-ინტერნატი, რომლის ეფექტი და აქტუალობა გასცდა საბჭოთა კავშირსაც კი - სხვებზე უწინ უცხოელთაგან გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გადანერგა. შემდეგშიც მხოლოდ ჩვენგან გავრცელდა მთელ საბჭოთა კავშირში ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლების სისტემა. ყველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

გვინდა აქვე გავიხსენო ერთი ფაქტიც სერიიდან: „ინიციატივა დასჯადია". თბილისის სპორტის სასახლე 1961 წელს გაიხსნა. სწორედ იმავე პერიოდში ჩამოვიდა თბილისში **ნიკიტა ხრუშჩოვი,** რომელმაც ხსენებული ნაგებობით თავმომწონე საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელებს იმავე სასახლის გუმბათქვეშ თავის გამოსვლაში „ცივი შხაპი" გადაასხა. „რა დროს სპორტის ასეთი სასახლის მშენებლობა იყო, აჯობებდა ამ ფულით საბავშვო ბაგა-ბაღები აგეშენებინათო"- თითი დაუქნია ლოჟაში გალურსულ საქართველოს პარტიულ ბოსებს ხრუშჩოვმა. ნუ დაუკარგავთ დამსახურებას **გიორგი გეგეშიძეს,** რომელიც საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი იყო და მშენებლობებს კურირებდა. ეს მისი თაოსნობით აიგო მართლაც რომ ქვეყნის ერთ-ერთი სიამაყე — თბილისის სპორტის სასახლე, ისევე როგორც მეტროპოლიტენი ჩვენს დედაქალაქში.

■ ■ ■

მოკლედ უნდა ითქვას სახელმწიფო სპორტკომიტეტის კოლეგიის წევრებზეც. მისი შემადგენლობა ყველაზე ავტორიტეტული სპორტული ორგანიზაციებისა და იმ დარგების (პარტია, კომკავშირი, პროფკავშირი, განათლება, ჯანდაცვა, არმია) ხელმძღვანელებით იყო წარმოდგენილი, ვისაც თავისი წილი პასუხისმგებლობა სამსახურეობრივად ეკისრებოდა მოსახლეობისათვის (ფართო გაგებით) ფიზკულტურისა და სპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში. ყველაზე აქტიურად იყო ჩართული პროცესებში ჯერ კიდევ კომკავშირის ცკა-დან მოყოლებული **ნუგზარ ფოფხაძე.** კომკავშირის ცეკას მდივანი ფიზიკურ კულტურასა და სპორტსაც კურირებდა. სპორტი მისთვის უცხო არ ყოფილა - თამაშობდა კალათბურთს, ხელბურთს მსაჯობდა. შესანიშნავად ესმოდა ახალგაზრდების პიროვნულ ფორმირებაში სპორტის როლი და მტკიცედ იცავდა სპორტის მასობრიობის, ბავშვთა სპორტის საფუძვლების და ამით საერთოდ ქართული სპორტის ბალავარის განმტკიცების აუცილებლობის პრინციპებს. სადაც უმუშავია, იყო მრავალი სიახლის წამომწყები და მისი არაერთი წინადადება იქცა რეალობად. ამასთან იყო ჟურნალისტიკის დიდი ქომაგი და თავადაც შესანიშნავად უჭრიდა კალამი.

რაკი განზრახული გვაქვს „ლელოს" 80 წლის იუბილეს მოახლოებასთან დაკავშირებით იმ ადამიანების ღვაწლიც გავიხსენოთ, ვინც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული სპორტის წინსვლა-განვითარებაში და ჩვენი ეროვნული სპორტული მატიანეს გამდიდრებაში, ბარემ აქვე ვიტყვი **ნუგზარ ფოფხაძის** სხვა დამსახურებებზე. მისი პირდაპირი მოვალეობა სამსახურეობრივად არასდროს ყოფილა პროცესების უშუალო მართვა ქართულ სპორტში. ის ან კურატორი იყო, ან სპორტისადმი ყურადღებას სამსახურეობრივი ცენზი ავალდებულებდა. ყველაზე მნიშვნელოვნად კი უნდა მივიჩნიოთ განათლების მინისტრის მოადგილედ მისი მუშაობის პერიოდი, სადაც, როგორც უნარიანმა ორგანიზატორმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი. მანამდე არასდსროს ყოფილა ისე დახვეწილი და სისტემურად გამართული მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და ბავშვთა სპორტის განვითარება—სრულყოფის პროცესი საქართველოში, როგორც ხსენებულ თანამდებობაზე **ნუგზარ ფოფხაძის** მუშაობის დროს. მისი ძალისხმევით გაფართოვდა სპეციალიზებული და




ჟურნალ „მართვეს" პირველი ნომრის გარეკანი

ოლიმპიური რეზერვის მომზადების სპორტული სკოლების ქსელი, გაჩნდა მოზარდთა ახალი სპორტული შეჯიბრებები. პირადად ვარ მოწმე და მონაწილე, მისი ინიციატივით როგორ შეიქმნა პედაგოგიურ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მეთოდური დამატების საფარით სპორტული ჟურნალი „მართვე". მანვე დიდი როლი ითამაშა ამ ჟურნალის სახელის შერჩევა-დამტკიცებაში, ახალი გამოცემის რედაქტორსა და მის მოადგილესაც პირადად გაუწია რეკომენდაცია. მერე შეიქმნა მისივე ინიციატივით ბავშვთა საკალათბურთო გუნდი „მართვე", ბევრი სიკეთის ჩამოთვლა შეიძლება... და კიდევ, უკვე დამოუკიდებელ საქართველოში, როცა სათავეში ედგა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტს, გაატარა რეფორმები, უნივერსიტეტში პირადი თაოსნობით გახსნა გაზეთ „ლელოს" მასტერკლასი იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი სპორტის ჟურნალისტიკით იყვნენ. მასტერკლასის გაძღოლა მე მომანდო, არა მხოლოდ იმიტომ, რომ გაზეთის მთავარი რედაქტორი მე ვიყავი, არამედ იმიტომაც, რომ ადრე იგივე ფაკულტეტი, აგრეთვე ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო ინსტიტუტი მქონდა დამთავრებული. „ლელოსთვისაც" და ჩემთვისაც, ცხადია, ეს დიდი პატივი იყო.

აქვე გავიხსენებ იმ ადამიანებსაც, რომლებიც სპორტის განხრით პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ თუ განათლების სისტემაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობისას ყველაფერს აკეთებდნენ ქართული სპორტის სასიკეთოდ. აი, ისინიც: **ნუგზარ ენდელაძე, ჯუანშერ კვარაცხელია, ვახტანგ მახარაძე, ოთარ ქინქლაძე, როზა პოპოვა, ომარ სიამაშვილი, ზურაბ ლომიძე, რამაზ ლომინაძე, გიგლა ბარამიძე, ივანე ბოჭორიძე, ვაჟა შუბლაძე, თემურ ჟღენტი, გიორგი მაქასარაშვილი, ლევან თედიაშვილი, ვლადიმერ ისელიძე, რევაზ აიწურაძე...**

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

*გაგრძელება იქნება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვიის სროლა. ევროპის ჩემპიონატი.



ცოტნე მაჭავარიანი

# პროგრესი – დიდი, ადგილი – იგივე

უცნაურად წარიმართა **ცოტნე მაჭავარიანის** სანაკრებო დებიუტი მოსკოვში, პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდებს შორის. გუშინ მან საჩემპიონატო ტურნირში იასპარეზა და მთელი 7 ქულით უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე – ორიოდე დღის წინ, მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშების საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში (ისიც ამ პირველობის ფარგლებში გაიმართა), თუმცა რაღაც უცნაური ბედისწერით, მე-13 ადგილს მაინც ვერ ასცდა. მაშინ ჩვენებურმა 564 ქულა დააგროვა, გუშინ საკვალიფიკაციო ეტაპზე კი – 571, რაც ურიგო შედეგი არაა, მაგრამ, ცხადია, ფინალურ ოქტეტში ვერ მოხვდა.

მაჭავარიანმა ტურნირი საკმაოდ კარგად დაიწყო – 96 ქულით. ასეთივე მაჩვენებელი კიდევ ორჯერ აჩვენა - მესამე და მეოთხე სერიებში, ხოლო მეხუთეში მშვენივრად გაისარჯა - ერთადერთი ქულა დააცილა და 99 დააგროვა. სამაგიეროდ, სუსტად გამოვიდა მეორეში (93) და განსაკუთრებით ბოლო, მეექვსე სერიაში, სადაც უცუდესი მაჩვენებელი ჰქონდა – 91 ქულა. არ ვიცით, ტექნიკური პრობლემა შეექმნა, ფიზიკურად ვერ გაუძლო თუ რატომ გაუმრუდდა ასე სამიზნე, მაგრამ ფინალამდე სამი ქულალა დააკლდა.

მთლიანობაში, **ნინო სალუქვაძის** შვილის გამოსვლას ურიგო არ ეთქმის – ის პირველად ისროდა ამ რანგის შეჯიბრებაში და ვერც რიგით უცხოურ ტურნირებში ასპარეზობის გამოცდილებით დაიკვეხნის. რაც მთავარია, შედეგი გააუმჯობესა და არცთუ ცუდი მაჩვენებლით დაასრულა ჩემპიონატი.

საკვალიფიკაციო ეტაპი 580 ქულით უკრაინელმა **პავლო კოროსტილოვმა** მოიგო, 578-ით სამეულში მომდევნო ადგილებზე იტალიელი **დარიო დი მარტინო** და მეორე უკრაინელი **ალექსეი სიდორენკო** შევიდნენ. ფინალში 577 ქულით რუსი **ილია ლიპკინი** და ახალგაზრდული თამაშების სალიცენზიო შეჯიბრების მომგები სომეხი **ზავენ იგიტიანი** მოხვდნენ, 575-ით – გერმანელი **ალექსანდრ კინდიგი** და ლატვიელი **ლაურის სტრაუტმანისი**, ოქტეტი კი მეორე ლატვიელმა – **ემილს ვასერმანისმა** დახურა 574-ით. საფინალო პლეი ოფის შემდეგ კოროსტილოვმა პირველობა შეინარჩუნა და მსოფლიოს ახალგაზრდული რეკორდით გახდა ევროპის ჩემპიონი – 202.8 ქულა. ვერცხლი თითქოს მაჩანჩალა ვასერმანისმა ირგუნა 199.1-ით, ბრინჯაო კი კინდიგიმ მოიპოვა 178.6 ქულით.

დღეს მოსკოვში ნინო სალუქვაძე ისვრის, ხვალ – **ლევან ქადაგიძე.**

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# ევროპის ბედი ერევანში წყდება

სომხეთის დედაქალაქში გუშინ დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა მე-15 ევროპის ჩემპიონატი, რომელიც მსოფლიოს მე-9 ჩემპიონის - **ტიგრან პეტროსიანის** ხსოვნას ეძღვნება. შეჯიბრებაში 27 ქვეყნის 258 ქალ-ვაჟი მონაწილეობს. ტურნირის საპრიზო ფონდია 160.000 ევრო, საიდანაც ჩემპიონი 20.000 ევროთი დაჯილდოვდება, მეორე-მესამეადგილოსანნი, შესაბამისად, 16.000 და 14.000 ევროს მიიღებენ. გამარჯვებულის გამოსავლენად გათამაშდება 11 ტური (9 მარტი დასვენების დღეა). ჩემპიონატის შედეგებით 23 საუკეთესო მსოფლიოს თასის გათამაშების საგზურს დაიმსახურებს. ასპარეზობის 15 მონაწილე 2700-იანთა კლუბის წევრია. ესენი არიან: ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი, 2739), პაველ ელიანოვი (უკრაინა, 2723), დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი, 2723), ანტონ კოროვოვი (უკრაინა, 2719), ვლადიმირ მალახოვი (რუსეთი, 2717), **ბაადურ ჯობავა** (საქართველო, 2716), დენის ხისმატულინი (რუსეთი, 2714), რადოსლავ ვოიტაშეკი (პოლონეთი, 2713), ალექსანდრ მოისეენკო (უკრაინა, 2712), ევგენი ტომაშევსკი (რუსეთი, 2711), ლორან ფრესინე (საფრანგეთი, 2709), იური კრივორუჩკო (უკრაინა, 2706), ალექსანდრ არეშჩენკო (უკრაინა, 2705), ზოლტან ალმაში (უნგრეთი, 2704), დავიდ ნავარა (ჩეხეთი, 2700).

სარიჩი



არაბიძე

36...... e5

37. ლxh6 ლxf6 38. კxb4 a5 39. კc5 ლg7 40. ლxg7+ მფxg7 41. კb6 a4 42. კb5 მფf6 43. კd8+ მფe6 44. კxa4 f5 45. კe8 კf3 46. g5 მფd5 და შავები დანებდნენ.

ქართული დესანტიდან ბაადურ ჯობავას ფინელი ვილკა სიპილას (2457) დასამარცხებლად 62 სვლა დასჭირდა. დანარჩენ ჩვენებურთა პარტიები ასე დამთავრდა: რადოსლავ ვოიტაშეკი (პოლონეთი)-**სალომე მელია** (2453) 1:0, გაბრიელ სარგისიანი (სომხეთი, 2676)-**გიორგი ბაღათუროვი** (საქართველო, 2408) 0.5:0.5, **ალექსანდრე ყაშაშვილი** (2378)-ბართოშ სოჩკო (პოლონეთი, 2654) 0.5:0.5, ლუდვიგ ჯონ ჰამერი (ნორვეგია, 2547)-**ივერი ჭილლაძე** (2365) 1:0, ილია სმირინი (ისრაელი, 2644)-**ირაკლი ბერაძე** (2364) 1:0, დარიუშ სვირჟი (პოლონეთი, 2631)-**ბაჩანა მორჩიაშვილი** (2335) 1:0, **ლევან ფანცულაია** (2606)-გრიგოლ დილანიანი (სომხეთი, 2266) 1:0, ვლადისლავ ნევედნიჩი (რუმინეთი, 2591)-**გიორგი სიბაშვილი** (2239) 0.5:0.5, იანკრისტოფ დუდა (პოლონეთი, 2563)-**ნოე თუთისანი** (2137) 1:0, მლადენ პალაჩი (ხორვატია, 2561)-**ნიკა ლვამბერია** (2133) 1:0, **ნანა ძაგნიძე** (2546)-არიელ ერენბურგი (ისრაელი, 2092) 1:0, სტელიოს ჰალკიასი (საბერძნეთი, 2551)-**ნატო იმნაძე** (2100) 1:0, **ლუკა პაიჭაძე** (2529)-ვლადიმირ კანჯარიანი (სომხეთი, 2067) 1:0, **გაიოზ ნიგალიძე** (2527)-სუსანა გაბოიანი (სომხეთი, 2043) 1:0, **გიგა ყუფარაძე** (2507) -კონსტანტინ იაილოიანი (სომხეთი, 1963) 0.5:0.5.

ბაადურ ჯობავა



საქართველოდან შეჯიბრებაში 17 მოჭადრაკე ჩაება. ბაადურ ჯობავა მსგავსი ჩემპიონატების ორგზის პრიზიორია - 2009 წელს ბუდვაში (ჩერნოგორია) მე-3 ადგილი დაიკავა, მომდევნო წელს რიეკაში (ხორვატია) კი ვერცხლი ერგო (ჩვენებურთაგან **ზურაბ აზმაიფარაშვილმა** 2003 წელს ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა).

გუშინ პირველი ტურის პარტიები გათამაშდა. სენსაცია სემოგვთავაზა **მერი არაბიძემ** (2388), რომელმაც თეთრი ფიგურებით რეიტინგით მასზე საკმაოდ მაღლა მდგარი ივან სარიჩი (ხორვატია, 2661) დაამარცხა 46-ე სვლაზე. დიაგრამიდანაც კარგად ჩანს, რომ შავებს 36-ე სვლიდან, ფაქტობრივად, ნაგებული პოზიცია აქვთ, რადგან ფიგურას კარგავენ. თეთრებს საბოლოო წარმატების მისაღწევად კიდევ 10 სვლა დასჭირდათ და პარტიაც ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს.

**ვაჟა დანელია**



სოფიო გვეტაძე

# მიეძღვნა დედის დღეს

თბილისის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში გუშინ დედის დღისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა ბლიცში. შეჯიბრებაში 12 მოჭადრაკე მონაწილეობდა. შვიდი შესაძლებლიდან 5,5-5,5 ქულა მოაგროვეს დიდოსტატებმა **სოფიო გვეტაძემ** და საქართველოს ნაკრების წევრმა **ნინო ხურციძემ.** უკეთესი დამატებითი მაჩვენებლებით პირველი ადგილი გვეტაძემ დაიკავა, მეორე იყო ხურციძე. 5 ქულით მესამე ადგილზე საერთაშორისო ოსტატი **სოფიო ნიკოლაძე** გავიდა. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: **მირანდა მიქაძე** (4,5), **სოფიკო გურამიშვილი** (4), **ნინო ხომერიკი** (4), **ანა კუჭავა** (3,5), **ნათია ჯანჯღავა** (3), **ნინო მელაშვილი** (3), **მაია მუმლაძე** (2), **მარიამ ჯავახიშვილი** (1), **ქეთევან ხომერიკი** (1).

**ვაჟა დანელია.**

**ავტორის ფოტო**

კალათბურთი. ქართული ლეგიონერი



გიორგიოს კეცელიდისი (მარცხნივ) და გიორგი ცინცაძე. ეს ფოტო მწვრთნელის, გიორგიოს კეცელიდისის აპარატითაა გადაღებული ლიბანში

# გიორგი გიორგიოსთან

## სანიკიძე: 31 და 13

გასულ კვირას ჩვენი ლეგიონერების ამბებში მნიშვნელოვანი სიახლეები იყო: უკრაინული „დონეცკიდან" ლიბანურ „ჩამპვილში" გადავიდა **გიორგი ცინცაძე.** ხოლო ესპანური „სარაგოსადან" ბერძნულ „ოლიმპიაკოსში" გადაბარგდა **გიორგი შერმადინი**, რომელიც ახალი გუნდის მაისურას სავარაუდოდ ამ კვირაში, 6 მარტს მოირგებს - ევროლიგაზე იტალიურ „მილანს" დაუპირისპირდება.

რაც შეეხება ცინცაძეს, მართალია, ყველას გვსურდა მას ევროპის რომელიმე კარგ გუნდში ეთამაშა, მაგრამ მაშინ, როცა საქართველოს ნაკრებს სათამაშო პრაქტიკის მქონე კალათბურთელი სჭირდება, „ჩამპვილი" შესაძლოა კარგი ვარიანტიც იყოს. საქმე ისაა, რომ „დონეცკში" „ბუს" (ცინცაძის მეტსახელი) არ ჰქონდა გასაქანი, სასტარტო ხუთეულში კი თამაშობდა, მაგრამ მწვრთნელი თამაშს მაინც ამერიკელებზე აგებდა. „ჩამპვილში" კი „შსს აკადემიას" ყოფილი თავკაცი **გიორგიოს კეცელიდისი** მუშაობს. სწორედ მისი მიწვევით მოხვდა გიორგი ლიბანში და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, კეცელიდისი ცინცაძის მონაცემებს შესანიშნავად იცნობს და იცის, რატომაც წაიყვანა.

**ესპანეთი**

შერმადინის გარეშე დარჩენილმა „სარაგოსამ" ესპანეთის ჩემპიონატში აკრეფილი სიჩქარე არ დააგდო და კიდევ ერთი გასვლითი გამარჯვება მოიპოვა - **ნიკა ცქიტიშვილის** ყოფილ გუნდ „ფუენლაბრადას" ესტუმრა და 81:72 დაამარცხა.

მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით (20) საუკეთესო **ვიქტორ სანიკიძე** იყო, რომელსაც 1 და 3-იანები ფუტკრებივით თან სდევდნენ: „სარაგოსას" მე-13 ნომერმა 31:31 წუთში 13 ქულა (4/3 ორქულიანი, 5/2 სამიანი, 2/1 საჯარიმო), 7 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა მოაგროვა.

ვიქტორს არც გუნდი ჩამორჩა და „სარაგოსამაც" სატურნირო ცხრილში 13 ჩაიწერა - ამდენი მოგებითა და 8 მარცხით არაგონელები ცხრილში მეექვსე ადგილზე არიან.

■ ■ ■

ესპანეთის პირველობაზე დასანანი მარცხი განიცადა **ბექა ბურჯანაძის** „კახასოლმა" - „მურსიასთან", 73:93.

ანგარიშის მიხედვით შეიძლება იკითხოთ, რას ნიშნავს სიტყვა დასანანი? მოგახსენებთ: „კახასოლს" შინ ლოგიკის მიხედვით „მურსია" უნდა დაემარცხებინა, მაგრამ მეთექვსმეტეადგილოსან გუნდთან ვერაფერი გააწყო. შესაბამისად, სევილიელებმა მეათე ადგილზე ჩამოინაცვლეს.

სევილიელთა შემადგენლობაში 3 წუთი ითამაშა ახალგაზრდა ბექა ბურჯანაძემ, რომელმაც დროის ამ მონაკვეთში 2 ქულა და 1 მოხსნა მოაგროვა.

■ ■ ■

**თორნიკე შენგელიას** ახალი გუნდი „ჩიკაგო" შეუჩერებელია. ამჯერად „ხარებმა" „ნიუ იორკს" სძლიეს - 109:90.

შენგელიამ 3 წუთი ითამაშა და მატჩი 1 შედეგიანი გადაცემით დაასრულა.

■ ■ ■

ამერიკაში, ოღონდ კოლეჯების ლიგაში რეგულარული ეტაპის ბოლო მატჩი ჩაატარა **დუდა სანაძის** „სან დიეგომ", რომელმაც „ბრიგჰემ იანგთან" 60:68 დათმო.

დუდამ მხოლოდ 10 წუთი ითამაშა, რადგან ტრავმა მიიღო და მეორე ტაიმში მოედანზე აღარ გამოჩენილა. მან 6 ქულა და 2 მოხსნა მოაგროვა.

■ ■ ■

ფინეთის ჩემპიონატში 4 წუთი ითამაშა **გივი ბაქრაძემ** (1 პასი). მისმა „კორიკობრატმა" სტუმრად „ვილპართან" 63:90 წააგო.

■ ■ ■

სლოვენიის მეორე ლიგაში „ტერმე ოლიმია" დაამარცხა „კრნომელიმ", რომელშიც თებერვლიდან **დავით უგრეხელიძე** თამაშობს.

ქართველმა ცენტრმა 19 წუთში 4 ქულა, 3 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი



# ბორჯღალოსნები ტულონში მოემზადებიან

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის გათამაშების მორიგი ტურის მატჩს შაბათს, 8 მარტს მადრიდში ესპანეთის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ გამართავს. „ბორჯღალოსნები", რომლებმაც 2015 წლის მსოფლიოს თასის საგზური უკვე მოიპოვეს, მატჩისთვის მოსამზადებლად საფრანგეთში, ტულონთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქ სიპრიენში შეიკრიბნენ. მადრიდს კი 6 მარტს ეწვევიან.**

საქართველოს ნაკრების ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** საესპანეთოდ 28 მორაგბეს უხმო. იმათ, ვინც წინა ტურში რუსეთის ნაკრებთან მატჩისთვის ემზადებოდა, მესამეხაზელი **შალვა სუთიაშვილი** (მასი) და ფულბეკი **ირაკლი ყიასაშვილი** (ლელო) დაემატნენ.

ჩვენი გუნდის მიზანი ერთა თასზე და, შესაბამისად, მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში პირველი ადგილის დაკავებაა, რაც საშუალებას მოგვცემს ნოემბრის ტესტებზე ირლანდიის ნაკრებს დავუპირისპირდეთ და ინგლისში, მსოფლიოს თასის გათამაშებაში სასურველ ჯგუფში მოვხვდეთ.

ცხადია, „ბორჯღალოსნებთან" თამაშისთვის მზადებას შეუდგა ესპანეთის ნაკრებიც. „ლომების" მთავარმა მწვრთნელმა **სანტიაგო სანტოსმა** ის 23 მორაგბე იხმო, რომლებმაც წინა ტურში რუმინეთის ნაკრებთან ითამაშეს. ალსანიშნავია, რომ ესპანელთა გუნდში 23 მოთამაშედან 18 საფრანგეთის კლუბებში ასპარეზობს. სანტოსს ამის გამო ესპანეთში ბევრი აკრიტიკებს, ვინაიდან ეროვნული გუნდის მილმა ბევრი ნამდვილად ეროვნებით ესპანელი რჩება.

თუმცა, სანტოსისთვის ახლა მთავარია გუნდმა ერთა თასზე ადგილი შეინარჩუნოს. ესპანელები 10 ქულით მეხუთე ადგილზე არიან და აუტსაიდერ ბელგიას მხოლოდ ოთხი ქულით უსწრებენ. „ლომები" ბოლო ტურში სტუმრად ეთამაშებიან პორტუგალიას. შესაბამისად, წარმატების მიღწევის შანსი ძალიან ცოტაა. თუმცა, საკმაოდ რთული კალენდარი აქვთ ბელგიელებსაც. ისინი მე-4 ტურში სტუმრად ეთამაშებიან რუმინეთს, მერე კი შინ მიიღებენ რუსეთს. ცხადია, „შავი ეშმაკების" შანსი მიზერულია, მაგრამ თეორიულად მათ ისევ შეუძლიათ ერთა თასზე ადგილი შეინარჩუნონ.

პარადოქსია, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ესპანელები ერთა თასზე ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვიან, მესამე ადგილზე გასვლის თეორიული შანსიც აქვთ, რაც მათ რეპეშაჟის გავლით მსოფლიოს თასზე მოხვედრის შესაძლებლობას მისცემს. საამისოდ „ლომებმა" ორივე მატჩი უნდა მოიგონ, რუსებმა კი ორივე წააგონ.

**საქართველოს ნაკრები**

**პირველი ხაზი:** დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), ზურაბ ჟვანია (ორივე-სტად ფრანსე), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), შალვა მამუკაშვილი (არმია), ლევან ჩილაჩავა (ტულონი), ჯაბა ბრეგვაძე (ტულუზი).

**მეორე ხაზი:** კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), შალვა სუთიაშვილი (მასი), გიორგი ნემსაძე (ტარბი).

**მესამე ხაზი:** მამუკა გორგოძე (მონპელიე), გიორგი ჩხაიძე (ტარბი), ვიქტორ კოლელიშვილი (ლიონი), გიორგი თხილაიშვილი (არმია), დიმიტრი ბასილაია (ედინბირგი), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი).

**№9:** გიორგი ბეგაძე (ყოჩები), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).

**№10** ლაშა ხმალაძე (ლელო), მერაბ კვირიკაშვილი (ვიენი)

**№12-13:** მერაბ შარიქაძე (ბურგ ან ბრესი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), დავით კაჭარავა (ენისეი)

**№11-14:** თამაზ მჭედლიძე (ბურგ ან ბრესი), ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), ალექსანდრე თოდუა (ალბი).

**№15:** ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო).

**ესპანეთის ნაკრები**

მატიო პელუკონი (ალბი), ანიბალ ბონანი (ბაგნერე), გილემ რუე (ბაიონი), მარკო ფერერი, ჩარლი მალი (ორივე-ბეზიე), ხულიენ გოია (ბიარიცი), ბენატ ოზქუი, გაუტიერ გიბუნი (ბორდო), ხაიმე ნავა (ბურგ ან ბრესი), პიერ ბელუნსე (კოლომიე), დავიდ ბარერა (სენ ჟან დანჟელი), დამიენ ელგონინი (სენ ჟან დე ლუზი), ფრანკ ლაბე, მარკოს პოგი (ლორმონი), ხესუს მორენო (მონლუსონი), აუგუსტინ ორტისი (ნარაფოა), ხესუს რეკუერდა (დაქსი), ფედერიკო ნეგრილო (ვანი), ხავიერ სანსი (სატანდერი), სესარ სემპერე (ელ სალვადორი), პაბლო ფეიხოო (ბერა ბერა), დანიე სნი (გეტხო), მეთ კუკი (ტანბრიჯი).

**III ტური**

**8 მარტი**

ესპანეთი-საქართველო
რუმინეთი-ბელგია
რუსეთი-პორტუგალია

ლეგიონერები

# ბრეგვაძის ლელომ ტულუზს მოაგებინა

**ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში 21-ე ტურის მატჩების შემდეგ სატურნირო ცხრილში ლიდერი შეიცვალა. თუმცა ამან საერთო სურათზე დიდი გავლენა არ იქონია. პლეი ოფში მოხვედრის შანსი ერთბაშად ათ გუნდს აქვს და აქედან ცხრა ქართველ მორაგბეთა კლუბებია.**



ჯაბა ბრეგვაძის შეტევა

სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურზე დაბრუნდა **ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონი", რომელმაც შინ დივიზიონის დებიუტანტი „ოიონაქსი" დიდი ანგარიშით დაამარცხა - 64:10. ტულონელებს ცოტა ხნის წინათ ჩავარდნა ჰქონდათ, რის გამოც გუნდის თავკაცი **ბერნარ ლაპორტი** კრიტიკის ქარცეცხლის ქვეშ მოექცა და მისი თანამდებობიდან წასვლის შესახებაც ალაპარაკდნენ. თუმცა გამოცდილმა მწვრთნელმა მალე შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და ზედიზედ რამდენიმე გამარჯვების შემდეგ ისევ პირველ ადგილზე დაბრუნდა.

„ოიონაქსთან" დაპირისპირებაში ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

„ტულონის" მსგავსად 60 ქულა აქვს და მეორე ადგილზეა **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი", რომელმაც სტუმრად წააგო **ზაზა ნავროზაშვილის** „ბორდოსთან" - 16:26. პირველი ტაიმი „ვულკანებმა" 13:9 მოიგეს. თუმცა შესვენების შემდეგ მასპინძლებმა მატჩში გარდატეხის შეტანა შეძლეს.

ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 63-ე წუთზე შეცვალეს. მან „კლერმონის" მიერ გატანილ ერთადერთ ლელოში აქტიური მონაწილეობა მიიღო, ნავროზაშვილი განაცხადში არ იყო.

დაწინაურებულებს სამი ქულით ჩამორჩება **მამუკა გორგოძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე", რომელმაც შინ **ზურაბ ჟვანიასა** და **დავით ქუბრიაშვილის** „სტად ფრანსეს" სძლია - 19:10. საგულისხმოა, რომ პარიზელებმა მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და მატჩის პირველი ნახევარი ფრედ 0:0 დასრულდა. მონპელიელებმა თამაში, ფაქტობრივად, მეორე ნახევრის საწყის 6 წუთში მოიგეს, როცა ორი ლელო გაიტანეს და 12:0 დაწინაურდნენ.

ნარიაშვილმა სრულად ითამაშა, გორგოძე 58-ე წუთზე შეცვალეს, ქუბრიაშვილი ტრავმირებულია, ჟვანია განაცხადში არ იყო. „სტად ფრანსე" მონპელიელებს ერთი ქულით ჩამორჩება და მეოთხე ადგილზეა.

ნელ-ნელა ძალას იკრებს ფრანგული რაგბის გრანდი **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზი", რომელმაც შინ დამაჯერებლად სძლია **გიორგი ჟღენტის** „პერპინიანს" - 37:9. მასპინძლები 32-ე წუთამდე აგებდნენ, მაგრამ ამ დროს ბრეგვაძის ლელოთი დაწინაურდნენ და სათამაშო უპირატესობა მატჩის ბოლომდე აღარ გაუშვიათ ხელიდან.

ბრეგვაძე 68-ე წუთზე შეცვალეს, ერთი წუთით ადრე კი მოედანი ჟღენტმა დატოვა, კაკოვინი ტრავმირებულია.

საპლეიოფო ექვსეულს მჭიდროდ დაუახლოვდა **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგი", რომელმაც შინ დაამარცხა ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი, **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი" - 25:15. ორივე ქართველი თადარიგში იყო და თამაშში ერთდროულად, 58-ე წუთიდან ჩაერთნენ.

„მეტრო რასინგს" ერთი ქულით ჩამორჩება და, ცხადია, პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის **გოდერძი შველიძისა** და **კარლენ ასეიშვილის** „ბრივი", რომელმაც შინ მოუგო „გრენობლს" - 31:6. ასეიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 51-ე წუთზე შველიძემ შეცვალა, იქამდე კი, 27-ე წუთზე, მას არბიტრმა ყვითელი ბარათი უჩვენა.

**I დივიზიონი**

**XXI ტური**

მონპელიე-სტად ფრანსე 19:10, ბორდო-კლერმონი 26:16, მეტრო რასინგი-კასტრი 25:15, ბრივი-გრენობლი 31:6, ტულონი-ოიონაქსი 64:10, ტულუზი-პერპინიანი 37:9, ბიარიცი-ბაიონი 8:11.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულონი - 60 ქულა, 2. კლერმონი - 60, 3. მონპელიე - 57, 4. სტად ფრანსე - 56, 5. ტულუზი - 55, 6. კასტრი - 55, 7. მეტრო რასინგი - 52, 8. ბრივი - 51, 9. ბორდო - 50, 10. გრენობლი - 50, 11. ბაიონი - 43, 12. პერპინიანი - 42, 13. ოიონაქსი - 35, 14. ბიარიცი - 22.

**XXII ტური**

**კასტრი-ბრივი, პერპინიანი-ბიარიცი, ბაიონი-ბორდო, ოიონაქსი-მონპელიე, გრენობლი-მეტრო რასინგი, კლერმონი-ტულონი, სტად ფრანსე-ტულუზი.**

მეორე დივიზიონში ყველა შეხვედრა მასპინძლების გამარჯვებით დასრულდა. მორიგი მოგება მიითვალა გათამაშების ლიდერმა **ვიქტორ კოლელიშვილის** „ლიონმა", რომელმაც შინ „კოლომიეს" სძლია - 27:10. ლიონელებს პირველ ტაიმში მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა გაუჭირდათ, თუმცა შესვენების შემდეგ სტუმრები ყველა კომპონენტში დაჩაგრეს და ლიდერობა განიმტკიცეს. კოლელიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 66-ე წუთზე შეცვალეს.

„ლიონს" 12 ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილზეა **ლექსო ყაულაშვილის** „ლა როშელი", რომელმაც შინ მოუგო „ბურგუენს" - 29:24. ყაულაშვილი თადარიგში იყო და 62-ე წუთზე შეცვალეს.

ლიდერთა ჯგუფის კიდევ ერთი წარმომადგენელი **ტარიელ რატიანიძის** „აჟენი" სტუმრად დამარცხდა **გიორგი ნემსაძის, გიორგი ჩხაიძისა და ირაკლი მირცხულავას** „ტარბთან" - 21:12.

ნემსაძემ სრულად ითამაშა, მირცხულავა თამაშში 58-ე წუთიდან ჩაერთო, ჩხაიძე თადარიგში იყო, თუმცა მოედანზე არ გამოჩენილა, რატიანიძე განაცხადში არ გახლდათ.

პლეი ოფში მოხვედრის თეორიულ შანსს ინარჩუნებს **ლევან დათუნაშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკი", რომელმაც შინ დაამარცხა აუტსაიდერი „ოში" - 29:6. დათუნაშვილმა სრულად ითამაშა, ნაცარაშვილი განაცხადში არ იყო.

**ვახტანგ ახობაძის, ალექსანდრე თოდუას, ხვიჩა ბუჯიაშვილის, ვახტანგ მაისურაძისა** და **გიორგი თეთრაშვილის** „ალბიმ" შინ მოუგო **გურამ კავთიძის, მერაბ შარიქაძისა** და **თამაზ მჭედლიძის** „ბურგ ან ბრესს" - 31:24. თოდუამ და შარიქაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშეს, მჭედლიძე თამაშში 26-ე წუთიდან ჩაერთო, 23 წუთის შემდეგ მოედანზე თეთრაშვილიც გამოჩნდა, სხვა ქართველი მორაგბეები განაცხადში არ იყვნენ.

**II დივიზიონი**

**XXII ტური**

**ორიაკი-ოში 29:6, ალბი-ბურგ ან ბრესი 31:24, ლა როშელი-ბურგუენი 29:24, მონ დე მარსანი-კარკასონი 18:12, ლიონი-კოლომიე 27:10, პო-ბეზიე 41:7, ნარბონი-დაქსი 64:20, ტარბი-აჟენი 21:12.**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლიონი - 83 ქულა, 2. ლა როშელი - 71, 3. პო - 68, 4. აჟენი -66, 5. ნარბონი - 66, 6. ტარბი - 58, 7. კოლომიე - 53, 8. ორიაკი - 52, 9. ბურგუენი - 51, 10. მონ დე მარსანი - 46, 11. დაქსი - 44, 12. ბეზიე - 43, 13. ალბი - 40, 14. ბურგ ანბრესი - 32, 15. კარკასონი - 29, 16. ოში - 27.

**XXIII ტური**

ბეზიე-ალბი, აჟენი-ორიაკი, ნარბონი-კარკასონი, ბურგ ან ბრესი-ლა როშელი, ოში-ლიონი, ბურგუენი-მონ დე მარსანი, კოლომიე-ტარბი, დაქსი-პო.




უკანა პლანზე დავით ზირაქაშვილი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანჯღავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურნირები



გრიგორ დიმიტროვი

# დიმიტროვი ათეულს უმიზნებს

გასულ კვირას, მამაკაცი და ქალი ჩოგბურთელები ერთბაშად ხუთ ტურნირში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, მათ შორის ოთხი მექსიკასა და ბრაზილიაში გაიმართა. დუბაიში **როჯერ ფედერერის** გამარჯვების შესახებ გუშინდელ ნომერში ვწერდით, დღეს სამხრეთამერიკულ ბატალიებზე მოვყვეთ.

მექსიკური აკაპულკოს სატურნირო ბადე უფრო ღარიბი იყო ვარსკვლავების რაოდენობით, ვიდრე დუბაიში. აქ პირველ ნომრად განთესილი იყო ესპანელი **დავიდ ფერერი**, რომელიც გამარჯვების შემთხვევაში, იბრუნებდა მესამე ადგილს რეიტინგში, რადგან **სტანისლას ვავრინკა** გასულ კვირას არ თამაშობდა. თუმცა ფერერს სერიოზული კონკურენტი ჰყავდა **ენდი მარეის** სახით. ბრიტანელისთვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აქ გამარჯვებას, რადგან ენდის შარშანდელი უიმბლდონის შემდეგ ერთი ტიტულიც არ აუღია.

ფერერმა მექსიკაში მეოთხედფინალამდე მიაღწია, მაგრამ იქ უბრძოლველად დაუთმო ნახევარფინალის საგზური **კევინ ანდერსონს**. ესპანელის მუხლის ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა, რის გამოც გამოტოვებს ინდიან უელსის მასტერსს და, შესაძლოა, ვერც მაიამიში ითამაშოს. ანდერსონმა კი ნახევარფინალში 19 ეისის დახმარებით სამ სეტში მოუგო **ალექსანდრ დოლგოპოლოვს** და ბოლო ორი კვირის განმავლობაში მეორე ფინალში გავიდა (წინა კვირას, მან დელრეი ბიჩში წააგო გადამწყვეტი მატჩი **მარინ ჩილიჩთან**).

ბადის ქვედა ნაწილიდან ნახევარფინალში გავიდნენ ისინი, ვისაც ეს განთესვის მიხედვით ეკუთვნოდათ. ენდი მარეიმ თითო სეტი დაუთმო **პაბლო ანდუხარსა** და **ჟილ სიმონს**. ფრანგთან მარეი 2:4-სა და 3:5-ს აგებდა, მაგრამ გადარჩა. ნახევარფინალში მისი მეტოქე გახდა **გრიგორ დიმიტროვი**, რომელმაც მარათონულ მეოთხედფინალს გაუძლო ლატვიელ **ერნესტ გულბისთან** და 2 საათსა და 39 წუთში გაიმარჯვა.

ენდი მარეისთან ნახევარფინალიც მარათონული გამოდგა. მესამე სეტში 5:4-ზე დიმიტროვმა მატჩზე ვერ ჩააწოდა, მაგრამ გადამწყვეტ ტაი-ბრეიკზე 5:2 დაწინაურდა და ინიციატივა ხელიდან არ გაუშვა. გრიგორმა 2 საათსა და 55 წუთში მოიგო ურთულესი მარათონი და ეს იყო მისი მეხუთე მოგება კარიერაში TOP10-ის მოთამაშეებზე.

დიმიტროვსა და ანდერსონს ადრე ოთხჯერ უთამაშიათ ერთმანეთში და ბულგარელს მიჰყავდა ანგარიში - 3:1. მიუხედავად წინა ორი მარათონული მატჩისა, დიმიტროვმა საკუთარ სტილს არ უღალატა და შეტევითი ჩოგბურთი შესთავაზა მეტოქეს. ანდერსონი კი ნერვებს ვერ გაუმკლავდა. სხვანაირად არ აიხსნება 52 უნებლიე და შვიდი ორმაგი შეცდომა. მიუხედავად ამისა, ანდერსონი ახლოს იყო გამარჯვებასთან. ის მესამე სეტში ბრეიკით იგებდა, მაგრამ მერვე გეიმში დაკარგა ეს უპირატესობა. ტიტულის ბედი ორმა ქულამ გადაწყვიტა. მესამე სეტის ტაი-ბრეიკზე, 5:5-ის დროს ბულგარელმა პირველი მატჩბოლი მიიღო და ის მაშინვე გამოიყენა. აკაპულკოში ბულგარელმა ხუთი ტაი-ბრეიკი ითამაშა და ყველა მოიგო.

ახლა, დიმიტროვს კარიერაში ორი ტიტული აქვს და მე-16 ადგილზე გადავიდა ATP-ის რეიტინგში.

**აკაპულკო**

**ფინალი**

**გრიგორ დიმიტროვი (ბულ, 4)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ, 5) 7:6(1), 3:6, 7:6(5).

# სერენა სელეშზე წინ

გუშინ გამოქვეყნდა WTA-ის ახალი რეიტინგი, რომლის მიხედვითაც პირველი ადგილი შეინარჩუნა ამერიკელმა **სერენა უილიამსმა**. ამით ეს ჩოგბურთელი მეხუთე ადგილზე გადავიდა კლასიფიკაციის პირველ საფეხურზე ყოფნის ხანგრძლივობით - უმცროსმა უილიამსმა თანამემამულე **მონიკა სელეშს** გაუსწრო. სერენა 179 კვირის განმავლობაში ფლობდა ლიდერობას WTA-ის რეიტინგში, რაც ერთი კვირით მეტია სელეშის მაჩვენებელზე.

ამ სიაში პირველ ადგილზეა გერმანელი **შტეფი გრაფი**, რომელიც 377 კვირის განმავლობაში ლიდერობდა. მეორეზე - ამერიკელი **მარტინა ნავრატილოვა** (332), შემდეგ მოდიან - ამერიკელი **კრის ევერტი** (260) და შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი** (209).

*„ამაზე ვერც კი ვიოცნებებდი,* - ამბობს უილიამსი WTA-ის ოფიციალური ვებგვერდისთვის მიცემულ კომენტარში. - *მახსოვს, როგორ მისწრებდა მონიკა „დიდი სლემის“ ტურნირებზე მოგებების რაოდენობით და ესეც დიდ მიღწევად მიმაჩნდა ჩემთვის. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ის უდიდესი ჩოგბურთელი იყო. ახლა, მე მის დონეზე გავედი“.*



მონიკა და სერენა

ჩოგბურთი

# ტიტული 2005 წლის შემდეგ

აკაპულკოში ქალებიც თამაშობდნენ, სადაც პირველ ნომრად განთესილი იყო ავსტრალიის ღიას ფინალისტი **დომინიკა ციბულკოვა**. მექსიკაში მისი მეტოქე არ მოიძებნა და რომ არა რთული ფინალი, იმის თქმაც შეიძლებოდა, რომ ეს ტურნირი მისთვის გასეირნება იყო.

ციბულკოვამ ოთხ მატჩში შვიდი სეტი მოიგო და არც ერთი არ წააგო. ნახევარფინალში სლოვაკმა მხოლოდ ნახევარი საათი გაატარა კორტზე, რადგან მისმა მეტოქემ **შუაი ჟანგმა** ტრავმის გამო ვერ გააგრძელა შეხვედრა.

ციბულკოვას მეტოქედ ფინალში კანადელ **ეჟენი ბუშარს** ვარაუდობდნენ, მაგრამ მან მოულოდნელად სამ სეტში წააგო ფრანგ **კაროლინ გარსიასთან**. სხვათა შორის, ამ უკანასკნელისთვის ეს იყო პირველი მოგება კარიერაში TOP20-ის მოთამაშეების წინააღმდეგ.

მაგრამ გარსიამ ფინალამდე ვერ მიაღწია, რადგან ნახევარფინალში ამერიკელ **კრისტინა მაკჰეილთან** წააგო იმის მიუხედავად, რომ მესამე სეტში 2:0-ს იგებდა.



დომინიკა ციბულკოვა

ფინალი სანახაობრივი გამოვიდა. ციბულკოვას დიდი ჯაფა დაადგა ტიტულის ასაღებად. ბრძოლა 2 საათი და 54 წუთი გაგრძელდა. პირველ პარტიაში დომინიკამ ტაი-ბრეიკზე გაიმარჯვა, მაგრამ ამერიკელმა გაათანაბრა ანგარიში. მესამე სეტში ციბულკოვა 5:2 დაწინაურდა, მაგრამ ნაადრევად მოდუნდა და კინაღამ დაისაჯა. მაკჰეილმა მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ციბულკოვას მონწოდება დაეხმარა. სლოვაკი რეიტინგში მისთვის სარეკორდო მე-11 ადგილზე ავიდა.

■ ■ ■

ჩეხი **კლარა ზაკოპალოვა** საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ჩოგბურთელად მიიჩნეოდა, მაგრამ ვერ შეძლო პოტენციალის რეალიზება. მართალია, ის რეგულარულად თამაშობდა WTA-ის ტურნირების ფინალებში, მაგრამ 2005 წლის შემდეგ არ მოუგია ტიტული. ამ ცხრა წლის განმავლობაში, ჩეხმა ექვს ფინალში ითამაშა და ყველა წააგო, მათ შორის, წელს ჰობარტში, როცა გადამწყვეტი მატჩი **გარბინ მუგურუსას** დაუთმო. და აი, ეს ჩოგბურთელები გასულ კვირას ფლორიანაპოლისის ფინალში ისევ შეხვდნენ ერთმანეთს და 32 წლის ზაკოპალოვამ ნახევარფინალსა და ფინალში პირველ ორ ნომრად განთესილ ესპანელებს - **კარლა სუარეს ნავაროსა** და მუგურუსას აჯობა. არადა, ეს უკანასკნელი გადამწყვეტ მატჩში 6:4, 5:2-ს იგებდა და აქედან მოყოლებული, ზაკოპალოვამ ზედიზედ 11 გეიმი აიღო!

**აკაპულკო**

**ფინალი**

**დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 1)**-კრისტინა მაკჰეილი (აშშ) 7:6(3), 4:6, 6:4.

**ფლორიანაპოლისი**

**ფინალი**

**კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 3)**-გარბინ მუგურუსა (ესპ, 2) 4:6, 7:5, 6:0.



ნადალი და სამპრასი

# რაფა და პიტი ერთ გუნდში

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, აზიაში შეიქმნა ჩოგბურთის პრემიერლიგა (International Premier Tennis League). ეს ტურნირი წლის ბოლოს აზიაში გაიმართება და მასში ოთხი გუნდი მიიღებს მონაწილეობას. გუშინ დუბაიში გაიმართა ტურნირის დრაფტი და მონაწილეებმა გუნდების შემადგენლობები დააკომპლექტეს. თითო გუნდი თითო მასპინძელ ქალაქზე იქნება მიბმული:

**მუმბაი:** რაფაელ ნადალი (ესპანეთი), პიტ სამპრასი (აშშ), გაელ მონფილსი, ფაბრის სანტორო (ორივე - საფრანგეთი), როჰან ბოპანა, სანია მირზა (ორივე - ინდოეთი), ანა ივანოვიჩი (სერბეთი).

**სინგაპური:** ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი), სერენა უილიამსი, ანდრე აგასი (ორივე - აშშ), ლეიტონ ჰიუიტი, პატრიკ რაფტერი, ნიკ კირგიოსი (ყველა - ავსტრალია), დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი), ბრუნო სოარეში (ბრაზილია).

**ბანგკოკი:** ენდი მარეი (ბრიტანეთი), ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფრანგეთი), ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი), დანიელ ნესტორი (კანადა), კარლოს მოია (ესპანეთი), კირსტენ ფლიპკენსი (ბელგია).

**დუბაი:** ნოვაკ ჯოკოვიჩი, იანკო ტიპსარევიჩი, ნენად ზიმონჟიჩი (ყველა - სერბეთი), კაროლინ ვოზნიაცკი (დანია), გორან ივანიშევიჩი (ხორვატია), მარტინ ჰინგისი (შვეიცარია), მალეკ ჟაზირი (ტუნისი).

ტურნირი 17 დღე გაგრძელდება (28 ნოემბერი-20 დეკემბერი). თითო თამაში ხუთი სეტისგან იქნება შემდგარი: გაიმართება თითოსეტიანი მატჩები მამაკაცებისა და ქალების ერთეულებში, მამაკაცთა წყვილში, შერეულ წყვილსა და ლეგენდებს შორის.

# ლინდსი დიდების დარბაზში

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, „დიდი სლემის“ ტურნირების სამგზის ჩემპიონი **ლინდსი დევენპორტი** ჩოგბურთის საერთაშორისო დიდების დარბაზში შეიყვანეს.

ამერიკელთან ერთად, ამგვარი პატივი ერგოთ ლეგენდარულ მწვრთნელს **ნიკ ბოლეტიერის**, პარალიმპიური თამაშების ხუთგზის პრიზიორს **შანტალ ვანდეირენდონკს**, ფუნქციონერს **ჯეინ ბრაუნ გრაიმსსა** და კომენტატორს **ჯონ ბარეტს**.

დევენპორტმა პირველად „დიდი სლემის“ ტურნირი 1998 წელს მოიგო. ერთი წლის შემდეგ ის უიმბლდონის ტრიუმფატორი გახდა, 2000 წელს კი ავსტრალიის ღიაზე გაიმარჯვა. გარდა ამისა, ამერიკელი 1996 წელს ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონია.



ლინდსი დავენპორტი

კრივი

# ფლოიდმა ხანი გამოიწვია



ფლოიდ მეივეზერი

მსოფლიოს საუკეთესო მოკრივეთა რეიტინგის ლიდერმა, 37 წლის დაუმარცხებელმა ამერიკელმა **ფლოიდ მეივეზერმა** ბრძოლის შესახებ წინადადებით მიმართა პირველ ნახევრადსაშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონს, ბრიტანელ **ამირ ხანს**. მაგრამ ამერიკელმა ერთი პირობა წამოაყენა: ხანმა 3 მარტს, საკრივო შოუს დროს უნდა დაამარცხოს სამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ედრიენ ბრონერი**. სწორედ ამ შოუზე შედგება მეივეზერის ბრძოლა ნახევრადსაშუალო წონაში WBA-ის მსოფლიოს ჩემპიონთან **მარკო მაიდანასთან**.

*„3 მარტს რთული ბრძოლა მელოდება და სხვა შეხვედრები არ მაინტერესებს. მაგრამ თუ ამირ ხანი იმ საღამოს ედრიან ბრონერს შეხვდება და დაამარცხებს მას, მე შევხვდები ბრიტანელს“,* - ამბობს მეივეზერი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ნოა ხარების გამთამაშებელია



ჟოაკიმ ნოა ჩენდლერის წინააღმდეგ

გუშინდელ სათამაშო დღეს ხსნიდა „ნიუ იორკისა" და „ჩიკაგოს" მატჩი. და უკვე პირველი მეოთხედის მსვლელობისას გამოჩნდა, რომ „ნიქსს" ამ მატჩში შანსი არ ჰქონდა. „ხარები" დომინირებდნენ მოედანზე და პირველი 12-წუთეული 21 ქულის სხვაობით მოიგეს.

თუმცა მეორე მეოთხედში სტუმრები გააქტიურდნენ. წარმატებით შევიდა მოედანზე **ამარე სტაუდმაიერი**, რომელმაც ამ 12 წუთში 12 ქულა დააგროვა. სხვაობა 12 ქულამდე შემცირდა. საინტერესოა, რომ „ბულზის" ცენტრმა **ჟოაკიმ ნოამ** კინალამ სამმაგი დუბლი შეასრულა პირველ ტაიმში - მას ორი მოხსნა დააკლდა. თუმცა ფრანგმა ამ მატჩში მაინც გაიფორმა კარიერაში მეხუთე ტრიპლ-დაბლი.

„ნიუ იორკმა" მაქსიმალურად მოინდომა, მაგრამ მეორე ტაიმში ვერც ერთხელ ვერ შეძლო სხვაობის 10 ქულაზე ქვემოთ დაყვანა. ამის მიზეზი ნოას ბრწყინვალე თამაში და „ჩიკაგოს" ფანტასტიკური სათამაშო ფორმაა - „ხარებმა" ბოლო 10 მატჩში მეცხრე გამარჯვებას მიაღწიეს. „ნიუ იორკს" კი საპირისპირო შედეგი აქვს - ბოლო 10 მატჩში ერთი მოგება.

ჟოაკიმ ნოა კი გახდა პირველი ცენტრი **ჰაკიმ ოლაჟუონის** შემდეგ (1993-94), ვინც ერთ მატჩში მინიმუმ 12 ქულა, 12 მოხსნა და 12 პასი მიითვალა.

■ ■ ■

ექვსი მატჩის გამოტოვების შემდეგ, „სან ანტონიოს" დაუბრუნდა ძირითადი გამთამაშებელი **ტონი პარკერი**. დაბრუნება ტრიუმფალური აღმოჩნდა. ფრანგი ყველაზე შედეგიანი იყო „დალასთან" პრინციპულ დაპირისპირებაში.

ტონის პრაქტიკულად ყველაფერი გამოსდიოდა: თამაშიდან 15-ჯერ ისროლა და 10-ჯერ ჩააგდო, 22 ქულა დააგროვა და შვიდი შედეგიანი პასი მიითვალა. ამასთან, მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვა. რაც მთავარია, პარკერმა საფინალო სირენამდე 45 წამით ადრე მოხსნა დღის წესრიგიდან გამარჯვებულის საკითხი, როცა **სამუელ დალემბერის** წინააღმდეგობის მიუხედავად, ზუსტად ისროლა ორქულიანი.

**ჩიკაგო-ნიუ იორკი 109:90**

37:16, 22:32, 21:20, 29:22

**ჩ:** ოგასტინი (23), ბატლერი (19), ბუზერი (14), ნოა (13+12 მოხსნა+14 პასი), გიბსონი (13), ჰაინრიხი (11), დანლივი (10).

**ნ-ი:** ენტონი (21), სტაუდმაიერი (14), ჰარდუეი (14), სმიტი (13), ჩენდლერი (8+22 მოხსნა).

**ტორონტო-გ. სტეიტი 104:98**

25:28, 30:22, 20:28, 29:20

**ტ:** დეროზანი (32), ლოური (13+8 პასი), პატერსონი (12), ვასკესი (12), ვალანჩიუნასი (10).

**გ-ს:** კარი (34), ლი (20+11 მოხსნა), ტომპსონი (12), ჰ. ბარნსი (11), ბოგუტი (4+10 მოხსნა).

**ინდიანა-იუტა 94:91**

21:20, 24:26, 30:24, 19:21

**ინდ:** უესტი (25), ჯორჯი (22), უოტსონი (13), სტივენსონი (11).

**იუტ:** ჰეივორდი (21), ფეივორსი (17+10 მოხსნა), ბურკი (16), კანტერი (12), ბერკსი (11+9 მოხსნა).

**ორლანდო-ფილადელფია 92:81**

28:27, 15:19, 23:23, 26:12

**ო:** ჰოვარდი (31), ვუჩევიჩი (18+17 მოხსნა), მური (11), ჰარკლესი (10).

**ფ:** ტ. იანგი (29), კარტერ-უილიამსი (17+11 მოხსნა), სიმსი (12), როტენი (12).

**ოკლაჰომა-შარლოტი 116:99**

31:25, 30:30, 24:26, 31:18

**ო:** დურანტი (28), უესტბრუკი (26), ჯექსონი (17), იბაკა (15+10 მოხსნა).

**შ:** ჯეფერსონი (25), ტოლივერი (17), ნილი (12), ზელერი (10).

**სან ანტონიო-დალასი 112:106**

25:22, 23:25, 30:23, 34:36

**ს-ა:** პარკერი (22), დანკანი (17+9 მოხსნა), ლეონარდი (16), ჯინობილი (15), დიაო (14+10 მოხსნა), სპლიტერი (11).

**დ:** ნოვიცკი (22), კარტერი (21), ელისი (17+8 პასი), დალემბერი (8+10 მოხსნა).

**ფინიქსი-ატლანტა 129:120**

40:37, 39:28, 23:30, 27:25

**ფ:** გრინი (33), მარკიფ მორისი (21), დრაგიჩი (19+8 პასი), მარკუს მორისი (18+9 მოხსნა), ტაკერი (10).

**ა:** ტიგი (29+9 პასი), სკოტი (20), კორვერი (18), უილიამსი (15), ბრენდი (13), მეკი (11), კეროლი (10).

## ამბები


კობი ბრაიანტი

### კობი: ყველაზე შურს ვიძიებთ

მიმდინარე სეზონში **კობი ბრაიანტმა** მხოლოდ 6 მატჩი ჩაატარა „ლეიკერსის" რიგებში, რის შემდეგაც ისევ დაბრუნდა ლაზარეთში. კობის გარეშე კალიფორნიული გრანდი ბოლო ადგილზეა დასავლეთ კონფერენციაში. მაგრამ ბრაიანტს მიაჩნია, რომ მომავალ სეზონში „ლეიკერსი" ისევ დაადგება გამარჯვების გზას.

*„ყველამ იცის, რომ წელს ჩვენი საქმეები ცუდად მიდის. მაგრამ ამის გამო პანიკამ არ უნდა მოგვიცვას. ბიჭებმა ყველაფერი ისე უნდა მიიღონ, როგორც არის და სწორი დასკვნები გააკეთონ. უნდა დავიმახსოვროთ ყველა, ვინც ამ სეზონში დაგვცინოდა და ჩვენს გუნდს ამცირებდა.*

*მომავალ სეზონში ყველაფერი სხვანაირად იქნება. შურს ვიძიებთ. დაიმახსოვრეთ ეს"*, - განაცხადა კობი ბრაიანტმა თავის ბოლო ინტერვიუში.

### უკრაინის ბედი 22 მარტს გადაწყდება

ევროპის კალათბურთის ფედერაცია 22 მარტს მიიღებს გადაწყვეტილებას - შეუნარჩუნოს თუ არა უკრაინას 2015 წლის ევრობასკეტის მასპინძლობის უფლება. ამის შესახებ განაცხადა FIBA-ევროპას საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **საკის კონტოსმა**.

EuroBasket UKRAINE 2015

*„ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით სიტუაციას უკრაინაში,* - ამბობს კონტოსი. - *მიუნხენში უკვე გაიმართა აღმასრულებელი კომიტეტის შეხვედრა, სადაც განიხილეს ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის გამართვასთან დაკავშირებული პრობლემები. 22 მარტს გაიმართება ფედერაციის სხდომა, სადაც გადაწყვეტენ - ჩატარდეს თუ არა ევრობასკეტი უკრაინაში თუ ის სხვა ქვეყანაში უნდა გადაიტანონ".*

### სეფოლოშა თვეს გამოტოვებს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, „ოკლაჰომა-სიტის" სასტარტო ხუთეულის წევრი, შვეიცარიელი მცველი **ტაბო სეფოლოშა** 4-6 კვირა ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას. კალათბურთელმა „მემფისთან" ამასწინდელ მატჩში მარცხენა ფეხის კუნთი დაიზიანა.

ამ სეზონში სეფოლოშამ 55 მატჩი ჩაატარა „თანდერის" შემადგენლობაში და საშუალოდ, 6.7 ქულა, 3.7 მოხსნა და 1.5 შედეგიანი პასი დააგროვა.

## მძლეოსნობა

# 12 ჩემპიონით და 12 ჩემპიონის გარეშე

7 მარტს, პოლონეთის ქალაქ სოპოტში დაიწყება მსოფლიოს ჩემპიონატი მძლეოსნობაში დარბაზებისთვის. მასში მონაწილეობას მიიღებს 143 ქვეყნის 600 ათლეტი.

წინა პირველობის 12 მოქმედი ჩემპიონი ეცდება ტიტულის დაცვას. მათ შორის არიან ეთიოპიელი **მოჰამედ ამანი** (800 მ), ამერიკელები - **ბერნარდ ლაგატი** (3000 მ), **ეშტონ იტონი** (მრავალჭიდი), ბრაზილიელი **მაურო და სილვა** (სიგრძეზე ხტომა), იამაიკელი **ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი** (60 მ), ავსტრალიელი **სალი პირსონი** (60 მ/თარჯრბენი), ზელანდიელი **ვალერი ადამსი** (ბირთვის კვრა).

და ზუსტად მსოფლიოს 12 ჩემპიონი არ ჩავა სოპოტში. მაგალითად, ეს არის ტრავმირებული ფრანგი ჭოკით მხტომელი **რენო ლავილენი**, ამერიკელი სიგრძეზე მხტომელი **ბრიტნი რიზი**, რუსი ჭოკით მხტომელი **ელენა ისინბაევა** და სხვები.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა** | |
| ჩესტერფილდი-პორტსმუთი | 0:0 |
| **იტალია** | |
| **სერია C1/A** | |
| რეჯანა-სავონა | 0:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| სტ. პაული-უნიონი | 2:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლანსი-ტური | 2:2 |
| **პორტუგალია** | |
| არუკა-აკადემიკა | 0:3 |
| **საბერძნეთი** | |
| პლატანიასი-იანინა | 1:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ბოლესლავი-სლოვაცკო | 2:0 |
| **პოლონეთი** | |
| პოდბესკიძი-პოგონი | 0:0 |
| **რუმინეთი** | |
| კორონა-კონკორდია | 2:2 |
| ვასლუი-გაზ მეთანი | 1:0 |
| **ბულგარეთი** | |
| ლოკომოტივი (პ)-ჩერნომორეცი | 1:1 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (ჰ)-ბნეი შახნინი | 2:0 |
| **კალათბურთი** | |
| **ადრიატიკის ლიგა** | |
| ზადარი-ციბონა | 59:53 |
| პარტიზანი-რადნიჩკი | 82:70 |
| **საბერძნეთი** | |
| აპოლონი-ოლიმპიაკოსი | 67:76 |
| **თურქეთი** | |
| ფენერბაჰჩე-თოფასი | 70:59 |
| **საფრანგეთი** | |
| ორლეანი-ლიმოჟი | 70:87 |
| **ჰოკეი** | |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-ესეტი | 2:0 |
| **შვედეთი** | |
| ვექსიო-ლინჩოპინგი | 0:1 |
| ლეკსანდი-აიკ | 2:4 |
| შელეფტეო-ფრიოლუნდა | 1:6 |

## TV პროგრამა

**4 მარტი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXIII ტურის მიმოხილვა.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXV ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXIII ტური. ბაიერნი-შალკე.
14:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. XXI ტური. ბელენენსეში-ბენფიკა.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXIII ტური. ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 არგენტინის ჩემპიონატი. V ტური. ველეს სარსფილდი-ბოკა ხუნიორსი.
21:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. XXI ტურის მიმოხილვა.
22:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXV ტური. იგლზი-ეინდჰოვენი.
00:00 არგენტინის ჩემპიონატი. VI ტური. კოლონი-გოდოი კრუსი (LIVE).
00:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/6 ფინალი. ტოტენჰემი-დნეპრი. II მატჩი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. ოლიმპიაკოსი-ბარსელონა.
14:30 საფეხბურთო ტელეჟურნალი - FOOTBALL MUNDIAL.
15:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/6 ფინალი. ტრაბზონი-იუვენტუსი. II მატჩი.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. ინგლისი-ირლანდია.
19:00 სპორტ-NEWS.
19:30 პროგრამა - სპორტი ქუსლებზე.
20:00 საჩოგბურთო მიმოხილვა.
20:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები
13:05 სპორტ-NEWS.
13:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. დუბაი. საემიროები.
17:30 სპორტ-NEWS.
18:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. როჯერ ფედერერი-ტომაშ ბერდიხი. დუბაი. საემიროები
20:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. აკაპულკო. მექსიკა.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 5 | 18 | (მზე) |
| ქუთაისი | 13 | 24 | (მზე) |
| ბათუმი | 13 | 23 | (მზე) |
| ფოთი | 12 | 22 | (მზე) |
| ზუგდიდი | 12 | 23 | (მზე) |
| გორი | 5 | 17 | (მზე) |
| თელავი | 4 | 17 | (მზე) |
| სიღნაღი | 3 | 16 | (მზე) |
| გუდაური | -5 | 7 | (მზე) |
| ბაკურიანი | 0 | 10 | (მზე) |
| ბორჯომი | 3 | 13 | (მზე) |
| მესტია | 2 | 14 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.4122 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.7486 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.9251 |
| 100 რუსული რუბლი | 4.8324 |

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ვაშინგტონი-ფილადელფია 4:5 (ო)**

2:1, 2:1, 0:2, 0:1

**გოლები:** 1:0 ორლოვი-2 (ბროუერი-14, ერატი-23), 1:1 ჟირუ-20 (ტიმონენი-20, ვორაჩეკი-26), 2:1 მ. იოჰანსონი-8 (ჩიმერა-19, მაიკ გრინი-24), 2:2 ა. ჰოლი-4 (კუტური-21), 3:2 ბიგლი-2 (ჯ. უორდი-18, მაიკ გრინი-25), 4:2 ორლოვი-3 (მაიკ გრინი-26, ფერი-12), 4:3 ვორაჩეკი-16 (ტიმონენი-21, ჟირუ-40), 4:4 ჟირუ-21 (ვორაჩეკი-27, ქობურნი-8), 4:5 ლეკავალიე-14 (ტიმონენი-22, ქობურნი-9).

**ნიუ ჯერსი-სან ხოსე 2:4**

0:0, 2:2, 0:2

**გოლები:** 0:1 კუტური-17 (მარლო-30, დემერსი-25), 1:1 ენრიკე-18 (ბერნიე-8, გელინასი-19), 2:1 ელიაში-13 (მერილი-6, ენრიკე-15), 2:2 ტორესი-3 (პაველსკი-26, შეპარდი-8), 2:3 ნიეტო-7 (პაველსკი-27, ჯ. ტორნტონი-51), 2:4 მარლო-25.

**აილენდერსი-ფლორიდა 3:5**

2:0, 1:1, 0:4

**გოლები:** 1:0 ვანეკი-20 (კლატერბეკი-5, დე ჰაანი-10), 2:0 ვანეკი-21 (ვიშნოვსკი-4, ნილსენი-26), 2:1 მატიასი-8 (აპშოლი-18), 3:1 სტრომი-2 (ვანეკი-32, ოკსოპო-36), 3:2 გოკი-11 (იუბერდო-15, გილბერტი-24), 3:3 მატიასი-9 (ჰეიესი-2, იუბერდო-16), 3:4 აპშოლი-11 (მატიასი-7, ბ. კემპბელი-22), 3:5 აპშოლი-12 (ოლსენი-8, კულიკოვი-7).

**ვანკუვერი-ოტავა 2:4**

2:2, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 გარისონი-7 (ჰემჰუისი-12, ჰანსენი-6), 2:0 კასიანი-11, 2:1 მაკარტური-19 (კონდრა-8, გრიბა-8), 2:2 ე. კარლსონი-16 (მაკარტური-25), 2:3 სესი-2 (სპეცა-31, მ. მიხალეკი-16), 2:4 გრინინგი-6 (კ. ნილი-4, ზ. სმიტი-7).

**რეინჯერსი-ბოსტონი 3:6**

1:1, 1:2, 1:3

**გოლები:** რ-ტ. მილერი-3 (სტეპანი-28), 1:1 იგინლა-18 (კრეიჩი-38, დ. ჰემილტონი-10), 1:2 დ. ჰემილტონი-7 (ლუჩიჩი-26, იგინლა-28), 1:3 სოდერბერგი-10 (ლ. ერიქსონი-15, დ. ჰემილტონი-11), 2:3 ბ. რიჩარდსი-16 (კელეჰანი-14, სტრალმანი-7), 2:4 გ. კემპბელი-4 (ლ. ერიქსონი-16, ბოიჩაკი-15), 2:5 გ. კემპბელი-5 (ვეი-7), 3:5 მაკდონაჰი-9 (კრაიდერი-18, სტეპანი-29), 3:6 ლუჩიჩი-19 (ბარტკოვსკი-12, კრეიჩი-39).

**კოლორადო-ტამპა ბეი 6:3**

2:1, 0:1, 4:0

**გოლები:** 0:1 პიატი-2 (პურსელი-25, სალო-10), 1:1 ბერი-8 (პ. შჩასტნი-27, მაკინონი-26), 2:1 რ. ო'რაილი-23 (პარენტო-19, დუშენი-35), 2:2 ნ. ტომპსონი-7 (კოსტკა-2, მეტიუ კარლი-24), 2:3 ნ. ტომპსონი-8 (კოსტკა-3), 3:3 ჰოლდენი-5 (რ. ო'რაილი-23, დუშენი-36), 4:3 ე. ჯონსონი-8, 5:3 ჰოლდენი-6 (ტელბო-14), 6:3 პ. შჩასტნი-19 (მაკინონი-27, ლანდესკოგი-33).

**ფინიქსი-სტ ლუისი 2:4**

1:0, 1:0, 0:4

**გოლები:** 1:0 ბისონეტი-2 (სტოუნი-7), 2:0 ჰალპერნი-3 (იენდლი-33, ჩიპჩურა-8), 2:1 ბერგლუნდი-9 (შვარცი-24, ტარასენკო-17), 2:2 პაიარვი-5 (პიეტრანჯელო-36), 2:3 შატენკირკი-9 (შვარცი-25, სტინი-19), 2:4 ბერგლუნდი-10.

**ანაჰაიმი-კაროლინა 5:3**

3:0, 2:1, 0:2

**გოლები:** 1:0 პერი-31 (პენერი-18, გეტცლაფი-39), 2:0 ბოშემენი-2 (პერი-31, პენერი-19), 3:0 პერი-32 (ფაულერი-27), 4:0 კოლიანო-19 (ს. კოივუ-15), 5:0 სილფვერბერგი-7 (პალმიერი-14), 5:1 სეკერა-11 (ჰეინსი-9, რაილი ნეში-9), 5:2 დუაიერი-6 (ლაილსი-2, გერბე-15), 5:3 სომინი-16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ფეტელმა აღიარა: რედ ბული სუსტია



სებასტიან ფეტელი

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა **სებასტიან ფეტელმა** აღიარა, რომ „რედ ბულის“ ბოლიდის საიმედოობის შემთხვევაშიც, ახალ მანქანას არ გააჩნია საკმარისად მაღალი სიჩქარე, რათა მან მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოს.

ტესტების ბოლო დღეს, გერმანელმა 77 წრე გაიარა - ეს ყველაზე გრძელი დისტანციაა „რედ ბულისთვის“ წელს გამართული სამივე სატესტო სერიის დროს. მიუხედავად ამისა, ფეტელმა ვერ დაასრულა რბოლის სიმულაცია - ტრასის მილმა გაჩერდა.

საბოლოოდ, მსოფლიოს ჩემპიონმა ოთხ წამზე მეტი წააგო **ლუის ჰემილტონთან**. მართალია, ფეტელი შეშფოთებულია მანქანის დაბალი ტემპით, მაგრამ სჯერა, რომ „რედ ბულმა“ ახლა უფრო გლობალურ პრობლემებზე უნდა იფიქროს.

*„დიახ, ეს ასეა და ჩვენ ამას არ ვმალავთ,* - უპასუხა ფეტელმა კითხვას იმის შესახებ - შეშფოთებულია თუ არა ის „რედ ბულის“ დაბალი სიჩქარით. - *გარკვეული მიზეზების გამო, ჩვენ დაბალი ტემპი გვაქვს, მაგრამ ახლა, ჩვენ გვაწუხებს არა მხოლოდ სიჩქარე, არამედ უფრო გლობალური პრობლემები“.*

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ავსტრალიის გრანპრის პარასკევის ვარჯიშებამდე მხოლოდ 11 დღე რჩება, ფეტელი აღიარებს, რომ „რედ ბული“ ჩამორჩენილთა რიგებში იმყოფება.

მაგრამ გერმანელს იმედი აქვს, რომ მისი გუნდი ეფექტურად გამოიყენებს ამ დროს - და მანქანა მოუმატებს როგორც სიჩქარეში, ასევე საიმედოობის მხრივ.

*„სიტუაცია ძალიან რთულია და მე არ შევიყვანდი „რედ ბულს“ ფავორიტთა რიცხვში,* - ლაპარაკობს ფეტელი ავსტრალიის გრანპრიზე მისი გუნდის შანსების შესახებ. - *ჩვენ ვერ გავიარეთ წრეების საჭირო რაოდენობა და კონკურენტებთან სიჩქარეში ვაგებთ. ასე რომ, დაველოდოთ და ვნახოთ, სად აღმოვჩნდებით.*

*ემოციები უნდა მოვიშოროთ. იმ ინფორმაციის თანახმად, რომელიც ახლა გაგვაჩნია, უახლოეს ორ კვირას გამოვიყენებთ ტექნიკური განახლებების მოსამზადებლად“.*

სასამართლო

# პისტორიუსს ხელი დაადეს

გუშინ სამხრეთ აფრიკაში დაიწყო ცნობილი მორბენალი-ამპუტანტის **ოსკარ პისტორიუსის** სასამართლო პროცესი. 27 წლის სპორტსმენს ბრალი ედება 2013 წლის 14 თებერვალს თავისი შეყვარებულის, 29 წლის **რივა სტენკამპის** მკვლელობაში. შეგახსენებთ პისტორიუსის ვერსიით მომხდარის სურათს: სტენკამპმა გადაწყვიტა შეყვარებულების დღეს სიურპრიზი მოეწყო მძლეოსნისთვის და მათი საძინებელი ოთახის ფანჯრიდან სცადა სახლში შესვლა. სპორტსმენმა ის შეცდომით მძარცველად მიიღო და პისტოლეტით სიცოცხლეს გამოასალმა.

მაგრამ ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ მკვლელობა წინასწარ განზრახული იყო და მზად არის სასამართლო დარბაზში გამოიძახოს 107 მოწმე, მათ შორის, მეზობლები, სახლის მცველები, წყვილის მეგობრები...



პისტორიუსის სასამართლო

გუშინ, სასამართლო პროცესი საათნახევრის დაგვიანებით დაიწყო, რის გამოც მოსამართლე **ტოკოზილე მასიპამ** ბოდიში მოიხადა.

პისტორიუსმა ისევ განაცხადა საკუთარი უდანაშაულობის შესახებ ბრალდების ყველა პუნქტში. სპორტსმენის თქმით, მას მიაჩნდა, რომ სახლში უცხო მამაკაცი იყო, რაც საფრთხეს წარმოადგენდა მისთვის და სტენკამპისთვის.

შემდეგ პირველი მოწმის ჩვენების ჯერი დადგა. ეს იყო პისტორიუსის მეზობელი **მიშელ ბიურგერი**. ამ ქალბატონმა სასამართლოს განუცხადა, რომ ღამის სამ საათზე გაალვიძა ქალის კივილმა, რომელშიც შემზარავი შიშის გრძნობა გამოსჭვიოდა. შემდეგ მას მოესმა გასროლის ხმები და მამაკაცის ყვირილი, რომელიც შველას ითხოვდა. კითხვაზე - ხომ არ აერია სროლის ხმა ბეისბოლის ჯოხის ხმაში, ბიურგერმა უპასუხა: *„ერთმნიშვნელოვნად, ეს იყო ოთხი გასროლა“.* მისმა ქმარმა ივარაუდა, რომ გასროლა შეიძლება მეტი ყოფილიყო - დაახლოებით ექვსი, მაგრამ ამაში დარწმუნებული არ არის.

სნუკერი

# გენიალური რონის ახალი ისტორია



რონი ო'სალივანი

ლეგენდარული სნუკერისტი **რონი ო'სალივანი** აგრძელებს ისტორიის გადაწერას - მე-12 მაქსიმუმი კარიერაში, 26-ე ტიტული, სეზონში პირველი მოგებული სარეიტინგო ტურნირი...

უელსის ღია პირველობის ფინალში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ჩინელ **დინ ჯუნჰუს** ხვდებოდა. ამ უკანასკნელს შესანიშნავი სეზონი აქვს - 2014 წელს ოთხი ტურნირის მოგება მოასწრო. მაგრამ ო'სალივანის დომინირება უკვე დღის სესიაში აშკარა იყო. რვა ფრეიმის შემდეგ, ჩემპიონის ვინაობა ეჭვს არ იწვევდა - 7:1 ინგლისელის სასარგებლოდ.

საღამოს სესიის პირველი ორი სასტარტო ფრეიმი ჯუნჰუს დარჩა - ორივეში მან „სენჩური“ გაიფორმა. მაგრამ რონიმ ლამაზი წერტილი დაუსვა შეხვედრას - მე-12 ფრეიმი კარიერაში მე-12 მაქსიმუმით მოიგო - 9:3.

ასე რომ, ო'სალივანმა მაქსიმუმების რაოდენობით გაუსწრო **სტივენ ჰენდრის** (11) და მსოფლიოს ახალი რეკორდის მფლობელი გახდა.

რონისთვის ეს იყო 26-ე ტიტული კარიერაში, რაც სნუკერის ისტორიაში მესამე შედეგია: მასზე წინ არიან სტივენ ჰენდრი (36) და **სტივ დევისი** (28).

# ბაჰრეინის ტესტები: ციფრები და ფაქტები



© xpb.cc / F1News

წინასასეზონო ტესტების დასკვნითი სესია ყველაზე პროდუქტიული აღმოჩნდა: ოთხი დღის განმავლობაში, 22-მა პილოტმა 3306 წრე ანუ 17892 კილომეტრი დაფარა.

ეს რიცხვი კარგად გამოხატავს მანქანების საიმედოობის ზრდას: ხერესში გუნდებმა მხოლოდ 6.4 ათასი კილომეტრი გაიარეს, ბაჰრეინის პირველი ტესტებისას - 12.4 ათასი.

ბოლო ოთხი დღის მნიშვნელობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ არც ერთ საჯინიბოს არ მიუმართავს ტესტ-პილოტების სამსახურისთვის: საჰირში მხოლოდ 22 ძირითადი პილოტი მუშაობდა.

საგულისხმოა, რომ ამავე ავტოდრომზე გამართულ წინა ტესტებთან შედარებით სიჩქარე თითქმის არ შეცვლილა: **ფელიპე მასამ** შაბათს სარეკორდო დრო აჩვენა, მაგრამ **ნიკო როსბერგის** წინა მიღწევას მხოლოდ 0.025 წამით აჯობა: 1.33,258 1.33,283-ის წინააღმდეგ.

საერთო ჩათვლაში ლიდერობას კვლავაც „მერსედესის“ კლიენტები ინარჩუნებენ, მაგრამ მათ რიგებში ძალთა თანაფარდობა შეიცვალა: თუ თავად საქარხნო გუნდი „მერსედესი“ და „უილიამსი“ ისევ სწრაფები არიან, „ფორს ინდია“ და განსაკუთრებით „მაკლარენი“ თმობენ პოზიციებს. თუმცა **სერხიო პერესი** ყველაზე სწრაფი იყო ხუთშაბათსა და პარასკევს.

თუ ერთი კვირის წინ, სარეკორდო დისტანცია ნიკო როსბერგმა დაფარა - 174 წრე, ახლა, **ვალტერი ბოტასმა** 236 წრე გაიარა. ასევე 200-წრიანი ზღვარი გადალახეს პერესმა (213) და მასამ (202). „უილიამსი“ წინ არის გუნდებს შორის დავაში - 438 წრე. შემდეგ მოდიან „ფორს ინდია“ (402) და „ზაუბერი“ (373). ყველაზე ცუდ მდგომარეობაშია „ლოტუსი“: ოთხ დღეში ჯამში მხოლოდ 127 წრე.

ძალიან საინტერესოა სტატისტიკა ძრავების მიხედვით: თითოეული პილოტი „მერსედესის“ ბანაკიდან საშუალოდ დღეში 91.3 წრეს გადიოდა, „ფერარი“ - 80.6, „რენო“ - მხოლოდ 54.8.

ბაჰრეინის წინასასეზონო ტესტების შემაჯამებელი ცხრილი:

| | |
|---|---|
| 1. მასა (Williams) | 1.33,258 (202 წრე) |
| 2. ჰემილტონი (Mercedes) | +0,020 (159) |
| 3. როსბერგი (Mercedes) | +0,226 (192) |
| 4. ბოტასი (Williams) | +0,729 (2[illegible]) |
| 5. ალონსო (Ferrari) | +1,022 (196) |
| 6. პერესი (Force India) | +2,032 (213) |
| 7. რაიკონენი (Ferrari) | +2,168 (141) |
| 8. ჰიულკენბერგი (Force India) | +2,319 (189) |
| 9. ვერნი (Toro Rosso) | +2,443 (135) |
| 10. რიკარდო (Red Bull) | +2,485 (105) |
| 11. მაგნუსენი (McLaren) | +2,636 (197) |
| 12. კვიატი (Toro Rosso) | +2,855 (136) |
| 13. სუტილი (Sauber) | +3,209 (181) |
| 14. ჩილტონი (Marussia) | +3,577 (105) |
| 15. ბატონი (McLaren) | +3,643 (74) |
| 16. ბიანკი (Marussia) | +3,829 (153) |
| 17. გუტიერესი (Sauber) | +4,045 (192) |
| 18. ფეტელი (Red Bull) | +4,210 (78) |
| 19. ერიძსონი (Caterham) | +4,825 (172) |
| 20. კობაიაში (Caterham) | +5,133 (125) |
| 21. გროსჟანი (Lotus) | +6,044 (65) |
| 22. მალდონადო (Lotus) | +7,341 (62) |

# ფერარი ჩამორჩენას არ მალავს



ალონსოს ფერარი

„ფერარის“ ბოსი **სტეფანო დომენიკალი** აცხადებს, რომ კონკურენტები „მერსედესიდან“ და „უილიამსიდან“ უკეთ არიან მომზადებული ახალი სეზონისთვის, ვიდრე მისი შეგირდები.

**ფერნანდო ალონსომ** მესამე დრო აჩვენა ბაჰრეინის ტესტების მეოთხე დღეს, მაგრამ ლიდერ **ლუის ჰემილტონთან** მთელი წამი წააგო, **ვალტერი ბოტასთან** - 0.7 წამი. უფრო მეტიც, F14T-ს მცირე ტექნიკური პრობლემები შეექმნა. ტესტების შემდეგ დომენიკალიმ განაცხადა, რომ მის გუნდს ბევრი შრომა მოუწევს კონკურენტების დასაწევად.

*„საერთო ჯამში, „მერსედესმა“ და „უილიამსმა“ ჩვენზე 1000 კილომეტრით მეტი გაიარეს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი უკეთ არიან მზად სეზონის სტარტისთვის,* - აღნიშნა იტალიელმა. - *ჩვენ უნდა ვიფიქროთ ამ საკითხზე და ძალიან დიდი სამუშაო უნდა გავწიოთ. „უილიამსი“ და „მერსედესი“ ძალიან ძლიერად გამოიყურებიან, მაგრამ ეს მხოლოდ ის არის, რაც ამ მომენტში ვიხილეთ. მიმაჩნია, რომ კარგი საფუძველი მოვამზადეთ და ეს უნდა გამოვიყენოთ.*

*ჩვენ ჯერ ვერ ვაჩვენეთ მთელი პოტენციალი და ამ ამოცანას ინჟინრები რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაუმკლავდნენ, რადგან ქულების რაოდენობას, რომელსაც სეზონის დასაწყისში მოვიპოვებთ, დიდი მნიშვნელობა ექნება“.*

დომენიკალი ვარაუდობს, რომ „ფერარი“ ჯერ ბოლომდე ვერ გაერკვა, როგორ მიაღწიოს მაქსიმუმს ახალი ძრავისგან, რომელიც, როგორც ჩანს, ეფექტურობით აგებს „მერსედესის“ ძალისმიერ აგრეგატებთან.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13)**;
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად 02:55 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70

საბანკო რეკვიზიტები: შპს **„გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია